ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ
2008 წლის 12 მაისს

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ინგლისურიდან სხვადასხვა ენაზე ითარგმნა – მათ შორის ქართულად, ევრობანკის დაინტერესებულ წრეებში პოლიტიკის უკეთესად გაგების ხელშესაწყობად. ევრობანკმა იზრუნა სანდო თარგმანი წარმოედგინა, თუმცა მის სიზუსტესა და ავთენტურობაზე გარანტიას არ კისრულობს. თუ ინგლისურ დედანსა და თარგმანს შორის შეუსაბამობები იარსებებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ინგლისურ ვარიანტს.

სარჩევი

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

A. პოლიტიკის მიზნები

B. ევრობანკის მიერ ნაკისრი ვალდებულება

C. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ინტეგრირება პროექტების განხორციელების პროცესში: ევრობანკის როლი და პასუხისმგებლობა

D. ევრობანკის საზოგადოებრივი ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება

E. ინვესტიციების სტიმულირება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მისაღებად, მათ შორის სხვებთან პარტნიორული მუშაობის გზითაც

F. ქვეყნების და დარგობრივი სტრატეგიები

G. ინსტიტუციური და განმახორციელებელი მექანიზმები

დანართი 1: A კატეგორიის პროექტები
დანართი 2: ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური გამონაკლისების ნუსხა

სამოქმედო მოთხოვნები
მოთხოვნა 1: გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა
მოთხოვნა 2: შრომისა და სამუშაო პირობები
მოთხოვნა 3: გარემოს დაბინძურების პრევენცია და ზემოქმედების შემცირება
მოთხოვნა 4: ადგილობრივი თემების ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და დაცულობა
მოთხოვნა 5: მიწის ნაკვეთების შესყიდვა, არანებაყოფლობითი განსახლება და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა
მოთხოვნა 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების ჰაბიტატის მდგრადი მართვა
მოთხოვნა 7: რეგიონის ძირძველი მოსახლეობა
მოთხოვნა 8: კულტურული მემკვიდრეობა
მოთხოვნა 9: ფინანსური შუამავლები
მოთხოვნა 10: ინფორმაციის გაცემა და დაინტერესებული წრეების ჩართულობა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა

A. პოლიტიკის მიზნები

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „ევრობანკი“), მისი სადამფუძნებლო წესდების, ევრობანკის დაარსების ხელშეკრულების[1] თანახმად, ნაკისრი აქვს ვალდებულება, ხელი შეუწყოს „გარემოს ჯანსაღ და მდგრად განვითარებას“ ყველა თავისი საინვესტიციო და ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. ევრობანკს[2] მიაჩნია, რომ მდგრადი განვითარება საქმის წარმატებული მართვის არსებითი ასპექტია. ამიტომ, რადგან ევრობანკის მისია მდგომარეობს სამოქმედო ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეჟიმში გადასვლის გაძლიერებასა და კერძო მეწარმეობის სტიმულირებაში, მის მიერ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება უცილობლად კავშირშია ამ მიზნებთან. ევრობანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ბანკის ძირითად სამოქმედო პრინციპებს შევსების, გარდაქმნის ეფექტის და მდგრადი საბანკო საქმიანობის წარმართვის სფეროებში. ამასთანავე, ევრობანკი აცნობიერებს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების დაფინანსება ბანკის საქმიანობის პრიორიტეტებში უპირველეს ადგილს უნდა იკავებდეს.

2. პოლიტიკის თაობაზე წინამდებარე განაცხადი მოიცავს მდგრადი განვითარების გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს. წარმოდგენილ დოკუმენტში სოციალური ასპექტები გულისხმობს (ა) შრომის სტანდარტებს და სამუშაო პირობებს, მათ შორის საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებებს, (ბ) ადგილობრივ თემებზე ზემოქმედებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უსაფრთხოების, დაცულობის, გენდერული თანასწორობის, ძირძველ მოსახლეობაზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების, არანებაყოფლობითი განსახლების და საბაზისო მომსახურების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. პოლიტიკაში განსაზღვრულია ევრობანკის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის ხელშესაწყობად ნაკისრი ვალდებულების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით განსახორციელებელი პრონციპები, რაც შემდეგი მექანიზმებით მიიღწევა:

   - გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გატარება მის მიერ განხორციელებული ყველა პროექტისა და პროგრამის ფარგლებში,
   - კლიენტებისთვის იმგვარი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო მოთხოვნების განსაზღვრა, რომლებიც მათ ბანკისათვის მისაღებ ვადებში უნდა შეასრულონ,
   - ევრობანკის და მისი კლიენტების შესაბამისი როლის და პასუხისმგებლობის განსაზღვრა მდგრადი შედეგების მისაღწევად, წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის და სამოქმედო მოთხოვნების თანახმად,

---

[1] იხილეთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსების ხელშეკრულების მუხლი 2(vii),

[2] პოლიტიკის განაცხადის წინამდებარე დოკუმენტში „ევრობანკი“ და „ბანკი“ გულისხმობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

- სტრატეგიული მიზნების დასახვა მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მქონე პროექტების ხელშეწყობისათვის.

B. ევრობანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებები

3. ევრობანკს სურს, რომ მისი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების, ასევე მონიტორინგის პროცესის განხორციელებით მის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს:

   - სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პროექტების მდგრადობა,
   - პროექტების ფარგლებში შესაბამისი კომპანიების მუშა-მოსამსახურეთა და ადგილობრივი თემების უფლებათა გათვალისწინება,
   - პროექტების სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესაბამისობა მოქმედ მარეგულირებელ წესებთან და მიღებულ საერთაშორის პრაქტიკასთან.

   ამ მიზნების წარმატებული პრაქტიკული განხორციელებისთვის ევრობანკმა მიიღო ყოვლისმომცველი ნუსხა კონკრეტული სამოქმედო მოთხოვნებისა რომელთა დაკმაყოფილება მოეთხოვებათ მის კლიენტებს და რომლებიც მოიცავს გარემოზე და სოციალური ზემოქმედებისა და ფაქტორების ძირითად საკითხებს. ბანკმა ვალდებულება იკისრა, ხელი შეუწყოს „ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტებისა“ და „გარემოს დაცვის სფეროში ევროპული პრინციპების” - რომელთაც ბანკი თავად მიუერთდა – შესრულებას, რაც ასახულია სამოქმედო მოთხოვნებში[3]. ევრობანკი იმედოვნებს, რომ კლიენტები მოახდენენ მათ პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვას, რათა მოხდეს სამოქმედო მოთხოვნებთან განუხრელი თანხვედრა. ბანკის როლი მდგომარეობს შემდეგში: (ა) განიხილოს კლიენტების შეფასება, (ბ) დაეხმაროს კლიენტებს შესაბამისი და ეფექტური ზომების შემუშავებაში სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად სოციალური ზემოქმედებისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, ან, იმ შემთხვევებში, თუ ეს შეუძლებელია – მათი მინიმუმამდე დაყვანის, შემსუბუქების, ანაზღაურების ან კომპენსირების მიზნით, (გ) დაეხმაროს დამატებითი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მიღების შესაძლებლობათა გამოვლენაში, (დ) აწარმოოს თავის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობის მონიტორინგი, სანამ პროექტში ფინანსური ინტერესი აქვს[4].

---

[3] ევროპის გარემოსდაცვითი პრინციპების ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.eib.org/infocentre/epe/declaration/index.htm. ეს არის პროექტების დაფინანსებისას გარემოსდაცვითი პრინციპების, პრაქტიკისა და სტანდარტების ჰარმონიზაციის გაფართოებისკენ მოწოდების საპასუხოდ გამოცემული დოკუმენტი. ევროპის გარემოსდაცვითი პრინციპები მიიჩნევა დარგობრივ სახელმძღვანელო დოკუმენტად, როგორც ეს აღიარებულია ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში, და ევროკავშირის მეორად კანონმდებლობაში შეტანილ პრაქტიკად და სტანდარტებად. ხსენებული დოკუმენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები ასახულია პირველ, მე-3, მე-4 და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

[4] წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის ფარგლებში ევრობანკი ვერ იქნება აღქმული, როგორც ფინანსურ ინტერესის მქონე დაწესებულება ისეთ პროექტში, სადაც მას გაყიდული აქვს მისი კუთვნილი წილი ინვესტიციაში (კრედიტის ან წილობრივი მონაწილეობის სახით) ან გამოსულია ამ ინვესტიციიდან მოგვიანებითი დაფარვის პირობით.

4. ევრობანკი გააძლიერებს შემოთავაზებული პროექტების[5] ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის შეფასებას, რათა უფრო ნათლად აისახოს გარდაქმნის სისტემური მდგრადობის ფაქტორი და ამ სფეროში სტრატეგიული მიდგომის სარგებელი. მდგრადი განვითარების ორიენტირების შესაბამისად, ევრობანკის მიერ დაფინანსებული ნებისმიერი პროექტი სრულ შესაბამისობაში მოვა ბანკში დამკვიდრებულ ეკონომიკური გარდაქმნის მისიასთან.

5. ევრობანკი ისურვებს ისეთი პროექტების დაფინანსებას, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მოტანის პოტენციალი, როგორიცაა, მაგალითად, შესაბამისი ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი და შეძლებისდაგვარად – პროექტთან შეხებაში მყოფი მხარეებისთვის ხსენებული სარგებლის თანაბარი ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ პროექტებს, რომლებიც პრიორიტეტების სახით მოიცავენ რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მოგვარებას და რომელთა ფარგლებშიც სტიმულირებულია ევროკავშირის სტრატეგიების განხორციელება, მაგალითად, კლიმატის ცვლილების ეფექტის შემცირება და ადაპტაცია, გაუდაბნოება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ენერგოეფექტურობა და რესურსების ეფექტურობა, სიღარიბის შემსუბუქება, წესიერი სამუშაოს ხელშეწყობა, სოციალური გარიყულობის შემცირება, საბაზისო მომსახურებების ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა, გამჭვირვალობა და სოციალური განვითარება. ევრობანკი ასევე გაითვალისწინებს, რამდენად შეიტანს შემოთავაზებული პროექტები წვლილს მასპინძელი ქვეყნის განვითარებაში და მოუტანს თუ არა საერთო ეკონომიკურ, სოციალურ ან გარემოსდაცვით სარგებელს ადგილობრივ თემებს, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს პროექტი. ევრობანკი ჩამოაყალიბებს პარტნიორულ გაერთიანებებს კლიენტებთან მათი ქმედებებით დამატებითი სარგებლის მოტანის მიზნით, გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობის გაუმჯობესების და მათი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

6. ევრობანკი აცნობიერებს კლიმატის ცვლილების ეფექტის შემცირების და ადაპტაციის მნიშვნელობას. ეს საკითხები ბანკის რეგიონული საქმიანობის პრიორიტეტებს წარმოადგენს. ევრობანკს განზრახული აქვს, უფრო განავითაროს თავისი მიდგომა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სათბურის გაზების შემცირების, ადაპტაციის, განახლებადი და გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის სტიმულირების თვალსაზრისით და დაფინანსებულ პროექტებში ამ ფაქტორების გაძლიერებული აქცენტირებით.

7. ევრობანკს ნათლად აქვს გათვითცნობიერებული მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები კორპორატიული გამჭვირვალობის[6], ანგარიშვალდებულების და დაინტერესებული წრეების ჩართულობის კუთხით. ის სისტემატურად შესთავაზებს ფართო საზოგადოებას ანგარიშს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის შესახებ და

[5] პროექტების ფარგლებში ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი ფასდება ევრობანკის მთავარი ეკონომისტის აპარატის მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევრობანკის ბმული შემდეგ მისამართზე: http://www.ebrd.com/country/sector/econo/impact.htm.

[6] ევრობანკს კონკრეტული მოთხოვნები გააჩნია ჯანსაღი მმართველობის, ფულის გათეთრების, მექრთამეობის და კორუფციის, შემოსავლების გამჭვირვალობის და ტარიფების გამოქვეყნების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევრობანკის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში.

ჩაერთვება დაინტერესებული მხარეების წრეში გამართულ მნიშვნელოვან დიალოგში. ევრობანკი წაახალისებს მსგავსი ჯანსაღი პრაქტიკის დანერგვას მისი კლიენტების საქმიანობაში. სახელდობრ, ევრობანკი კლიენტებისგან ელის დაინტერესებული წრის გამოვლენას და სისტემატური კავშირის ქონას, ასევე პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას ინფორმაციის გაზიარების, კონსულტაციების წარმოების, ინფორმირებული მონაწილეობის გზით, რათა ბანკი დარწმუნდეს, რომ ეს პროცესი პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების ტოლფასია. დაინტერესებულ წრეებთან ასეთი ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს „გარემოს დაცვის საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და სამართლის მისაწვდომობის შესახებ“ გაერო-ს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის კონვენციისა და ევროკავშირის გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ დირექტივის სულისკვეთებას, მიზნებსა და ორიენტირებს[7], ხოლო პროექტებმა, რომლებმაც გარემოზე პოტენციურად მნიშნელოვანი ზეგავლენა შეიძლება მოახდინონ საერთაშორისო მასშტაბით, უნდა დააკმაყოფილონ გაერო-ს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის კონვენცია სახელმწიფოთაშორის კონტექსტში[8] გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, ამ კონვენციის რატიფიცირების სტატუსის მიუხედავად.

8. ევრობანკი მხარს უჭერს ფრთხილ დამოკიდებულებას ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების რესუსების (მაგალითად, გარეულ ცხოველთა სამყაროს, წყლის ბინადრების, ტყის პროდუქტების) კონსერვაციის, მართვის და მდგრადი გამოყენებისადმი და შეეცდება, თავის საქმიანობაში უზრუნველყოს ისეთი ზომების გათვალისწინება, რომლებიც კრიტიკული მნიშვნელობის ჰაბიტატს დაიცავს და შეძლებისდაგვარად გააძლიერებს მათ ბუნებრივ საარსებო პირობებსა და ბიომრავალფეროვნებას.

9. ევრობანკი აქტიურად შეეცდება, მის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ფარგლებში გარკვეული წვლილი შეიტანოს გარემოსდაცვით, შრომის, კორპორატიული პასუხისმგებლობის[9] და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების სფეროში არსებული შესაბამისი პრინციპების და საერთაშორისო კანონმდებლობის ეფექტურ განხორციელებაში. ეს პრინციპები და წესები ჩამოყალიბებულია კონვენციებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მრავალმხრივ, რეგიონულ ან ორმხრივ შეთანხმებებში, ისევე, როგორც შესაბამის არასავალდებულო იურიდიულ ინსტრუმენტებში. ევრობანკი მიზანმიმართულად არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებიც დაარღვევენ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და გარემოსდაცვით, ადამიანის უფლებებისა და მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული შეთანხმებების ფარგლებში ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რაც პროექტის შეფასების ეტაპზე გამოვლინდება.

---

[7] „არჰუს კონვენცია“, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ შემდეგ ბმულს: www.unece.org/env/pp/

[8] „ესპუ კონვენცია“ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ შემდეგ ბმულს: www.unece.org/env/eia/

[9] საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ინსტრუმენტები, რომლებიც უკავშირდება კორპორატიულ პასუხისმგებლობას, გულისხმობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპების სამმხრივ დეკლარაციას მრავალეროვანი საწარმოების და სოციალური პოლიტიკის შესახებ, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ინსტრუქციას მრავალეროვანი საწარმოების შესახებ.

10. ევრობანკი ითანამშრომლებს სხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან, ევროკავშირთან, ორმხრივ დონორებთან, გაერო-ს სააგენტოებთან და სხვა ორგანიზაციებთან ეფექტური ინტერვენციების კოორდინაციის მიზნით მისი წევრი ქვეყნების მდგრადი რეგიონული ან დარგობრივი განვითარების ხელშესაწყობად. სხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან ერთად პროექტების თანადაფინანსებისას ევრობანკი ითანამშრომლებს მათთან პროექტების შეფასების, საპროექტო მოთხოვნების და მონიტორინგის საკითხებზე საერთო მიდგომის შესამუშავებლად.

11. ტექნიკური თანამშრომლობის საქმიანობის ფარგლებში ევრობანკი შეეცდება, მობილიზაცია გაუწიოს დახმარებას უნარ-ჩვევების გაუმჯობესების პროგრამების განსახორციელებლად და დახმარების სხვა ფორმების უზრუნველსაყოფად, რათა გაძლიერდეს მის მიერ დაფინანსებული პროექტები, მაგ. მდგრადი ბიზნესის წარმოების პრაქტიკის და კორპორატიული პასუხისმგებლობის სტიმულირებით, აუცილებელი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებით გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განსახილველად და სამართავად მის სამოქმედო ქვეყნებში, ან ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტებით წარმოქმნილი პოტენციური სარგებლის თანაბარი წვდომის შესაძლებლობების გაზრდით.

12. ევრობანკი ჩაერთვება თემატური პოლიტიკის დიალოგში და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას მთავრობის წარმომადგენლებისა და სხვა პარტნიორებისათვის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სტრუქტურული და ენდემური საკითხების მოსაგვარებლად.

13. ევრობანკი თავისი შიდა საქმიანობის პროცესში იხელმძღვანელებს გარემოსდაცვითი საკითხების (მათ შორის ენერგეტიკის და რესურსების ეფექტურობის, ნარჩენების შემცირების და გადამუშავების საკითხების) მართვისა და საკადრო რესურსების მართვის (მაგ. თანაბარი შესაძლებლობები, პროფესიული და პირადი ცხოვრების ბალანსი, ჯანდაცვა და უსაფრთხოება) სფეროში საუკეთესო პრაქტიკით,. ევრობანკი ითანამშრომლებს ისეთ მომწოდებლებთან და კონტრაქტორებთან, რომლებიც ასევე ხელმძღვანელობენ მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებით. ევრობანკი გაითვალისწინებს მდგრადი განვითარების საკითხებს საკუთარი საჭიროებისათვის საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას.

C. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ინტეგრირება პროექტების განხორციელების პროცესში: ევრობანკის როლი და პასუხისმგებლობა

პროექტის შეფასების ეტაპი:

საერთო მიდგომა

14. ევრობანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი ექვემდებარება გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას, რათა ევრობანკმა გადაწყვიტოს დაფინანსების მიზანშეწონილობა და პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რომელი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები უნდა იქნეს მოგვარებული დეგეგმარების, დაფინანსებისა და განხორციელების ეტაპებზე. ევრობანკის სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების შეფასება ინტეგრირებულია ევრობანკის მიერ პროექტების საერთო შეფასების პროცესში, მათ შორის ფინანსური და რეპუტაციის რისკის ფაქტორების შეფასების და პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. ეს შეფასების პროცესი შესაბამისია პროექტის არსთან და მასშტაბთან და შეესატყვისება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის ფაქტორთა და ზეგავლენის დონეებს. შეფასების პროცესში ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენად დააკმაყოფილებს ევრობანკის დაფინანსებით მხარდასაჭერი საქმიანობა პოლიტიკის წინამდებარე განაცხადის პირობებს და მასში ჩამოყალიბებულ სამოქმედო მოთხოვნებს. კლიენტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ საჭირო დეტალური შესწავლით, ინფორმაციის გაზიარებით და დაინტერესებული წრეების ჩართულობით დაკმაყოფილდეს პირველიდან მეათეს ჩათვლით სამოქმედო მოთხოვნები. შემდეგ ეს ინფორმაცია განსახილველად წარედგინება ევრობანკს მისი საკუთარი შეფასების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით. ევრობანკი წარმოდგენილ ინფორმაციას განიხილავს და კლიენტს ურჩევს ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე მიზანშეწონილ გზებს.

15. ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება გულისხმობს სამი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებას: (ა) გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება და შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებული საკითხები, (ბ) კლიენტის მიერ ვალდებულების აღება და მისი შესაძლებლობა, მოაგვაროს სხვადასხვა ზემოქმედება და წამოჭრილი საკითხები წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად, და (გ) მესამე მხარეების როლი წინამდებარე პოლიტიკასთან შესაბამისობის მიღწევაში.

16. ევრობანკმა შეიძლება უარი განაცხადოს შემოთავაზებული პროექტის დაფინანსებაზე გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხების გამო, მაგალითად, როდესაც შემოთავაზებული პროექტით ვერ ხერხდება გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოსწორება ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი სახით და სავარაუდოდ ვერც მომავალში მოხდება წინამდებარე პოლიტიკის განაცხადში ჩამოყალიბებული სამოქმედო მოთხოვნების დაკმაყოფილება ევრობანკის მიერ გონივრულად განსაზღვრულ ვადებში, ან როდესაც ამ საკითხების ნარჩენი ზემოქმედების მასშტაბი მიუღებელია. ამასთანავე, არსებობს რამდენიმე პროფილის საქმიანობა, რომლებსაც ევრობანკი არ აფინანსებს. ასეთი გამორიცხული საქმიანობების ჩამონათვალი იხილეთ მე-2 დანართში.

17. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადში ტერმინი „პროექტი“ გულისხმობს ბიზნეს საქმიანობას, რომელზეც ევრობანკის დაფინანსების მისაღებად თხოვნის განაცხადია მიღებული კლიენტისგან – ევრობანკის საქმიანობის სახეობების მიუხედავად. ევრობანკის საქმიანობა (ე.ი. დაფინანსების გამოყოფა) შემოთავაზებული პროექტებისთვის სხვადასხვა სახის დაფინანსებას მოიცავს, მაგ. პროექტის დაფინანსებას, დაფინანსებას რეგრესის შეზღუდული უფლებით, კორპორატიულ დაფინანსებას, საბრუნავი კაპიტალის გამოყოფას, კომპანიის კაპიტალში კვაზი-მონაწილეობას, წილობრივ მონაწილეობას ან გრანტებს.

18. ევრობანკი ახორციელებს რამდენიმე სპეციალური და თანამშრომლობის ფონდის ადმინისტრირებას. მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული პროექტები ან საქმიანობები წინამდებარე პოლიტიკას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნა თანამშრომლობის ფონდებსაც შეეხება, თუმცა მათ შესაძლოა ასევე შეეხოს დონორთა დამატებითი მოთხოვნები გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ ეს მოთხოვნები წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისი იქნება.

კატეგორიზაცია

19. ევრობანკი შემოთავაზებულ პროექტებს ანიჭებს A/B/C/FI კატეგორიებს გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმების საფუძველზე, რათა: (1) ასახული იქნეს შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედება გარემოზე და სოციალური ზემოქმედება და საკითხები, (ბ) განისაზღვროს ყოველი პროექტისთვის აუცილებელი გარემოსდაცვითი და სოციალური გამოკვლევის, ინფორმაციის გაზიარების, დაინტერესებული წრეების ჩართულობის ხასიათი და დონე საკითხის არსის, ადგილმდებარეობის, სენსიტიურობისა და პროექტის მასშტაბის, ასევე მისი შესაძლო გარემოზე და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

პირდაპირი ინვესტიციებით გამოხატული საქმიანობა[10]

20. შემოთავაზებულ პროექტს A კატეგორია მაშინ ენიჭება, როდესაც დროთა განმავლობაში მან მნიშვნელოვანი საზიანო ზემოქმედება შეიძლება იქონიოს გარემოსა და/ან სოციალურ ფონზე, რისი გამოაშკარავება ან შეფასება შეუძლებელია კატეგორიზაციისას და რაც საჭიროებს ფორმალიზებულ და სკრუპულოზურ შეფასებას დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტების მიერ სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად. A კატეგორიის პროექტების თვალსაჩინო ჩამონათვალი წარმოდგენილია წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის №1 დანართში.

21. შემოთავაზებულ პროექტს ენიჭება B კატეგორია, როდესაც მისი პოტენციური საზიანო ზემოქმედება გარემოზე და/ან სოციალური ზემოქმედება ტიპურად ლოკალურია და/ან იოლად ვლინდება და გამოსწორდება შესაბამისი შემარბილებელი ზომების განხორციელებით. ეს ზემოქმედება ადრინდელი, მიმდინარე ან მომავალი ქმედებების შედეგად შეიძლება წარმოიქმნას. დეტალური შესწავლის მოთხოვნები შეიძლება

[10] ტერმინი „პირდაპირი ინვესტიციები“ გამოიყენება „ფინანსური შუამავლობის“ კონტრასტულად. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კლიენტი აღიქმება ფინანსური მომსახურების უზრუნველმყოფად. ყველა სხვა მექანიზმის შემთხვევაში ნაგულისხმევია პირდაპირი ინვესტიციები.

განსხვავდებოდეს ცალკეული პროექტებისთვის და მათზე შეთანხმება ევრობანკში ინდივიდუალურ საფუძველზე მოხდება პირველი სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

22. შემოთავაზებულ პროექტს ენიჭება C კატეგორია, როდესაც ადვილად სავარაუდოა, რომ მან გამოიწვიოს მინიმალური ან უმნიშვნელო ზემოქმედება გარემოზე ან სოციალური ზემოქმედება და ამიტომ იგი არ საჭიროებს კატეგორიზაციის შემდგომ დამატებით შეფასებას.

23. იმ შემთხვევებში, როდესაც კატეგორიზაციის ეტაპზე არ მოიპოვება საკმარისი ინფორმაცია პროექტისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების და ტექნიკური შეფასების მასშტაბის განსასაზღვრად, ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს სპეციალისტები ჩაატარებენ საწყის გარემოსდაცვით და სოციალურ შემოწმებას.

ფინანსური შუამავლის საქმიანობა

24. შემოთავაზებულ პროექტს ენიჭება FI კლასიფიკაცია, თუ ევრობანკი დაფინანსებას ფინანსურ შუამავალს (FI) გამოუყოფს. ფინანსურ შუამავალთან მუშაობა ძირითადი საშუალებაა ევრობანკისთვის მდგრადი ფინანსური ბაზრების სტიმულირებისთვის და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დასაფინანსებლად ევრობანკის ფინანსური რესურსების მიმართვის მექანიზმის უზრუნველყოფისათვის. სხვა სუბიექტებთან ერთად ეს ფინანსური შუამავლები შეიძლება იყვნენ კერძო კაპიტალის ფონდები, ბანკები, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები. ფინანსურ შუამავალთან ურთიერთობის დამყარებამდე ევრობანკი ატარებს შუამავლის და მისი პორტფელის დეტალურ შესწავლას, რათა შეაფასოს (ა) ფინანსური შუამავლის არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები ევრობანკის მე-9 სამოქმედო მოთხოვნისა და მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით, და (ბ) ფინანსური შუამავლის არსებულ და სავარაუდო სამომავლო პორტფელთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები.

დაინტერესებული წრეების ჩართულობა

25. მე-10 სამოქმედო მოთხოვნა განსაზღვრავს ევრობანკის მიერ კლიენტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება იმ დაინტერესებული წრეების გამოვლენას, რომლებზეც პროექტი სავარაუდო ზეგავლენას იქონიებს, საკმარისი ინფორმაციის გავრცელებას პროექტთან დაკავშირებული საკითხებისა და ზეგავლენის შესახებ და დაინტერესებულ წრეებთან კონსულტაციების გონივრულად და ადგილობრივი კულტურის შესაბამისად წარმოებას. ევრობანკმა შეიძლება ზოგირთ შემთხვევაში თავად გამართოს კონსულტაციები A კატეგორიის პროექტებზე, რათა შეაფასოს დაინტერესებული წრეების მოსაზრებები ბანკის შესაძლო როლზე პროექტის დაფინანსების საქმეში. დაინტერესებული წრეების გამოვლენა და პროცესში ჩართვა შეიძლება საჭიროებისამებრ იქნეს ასევე გათვალისწინებული ევრობანკის ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში.

26. ევრობანკის დირექტორთა საბჭოსათვის პროექტის დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს კლიენტის დაინტერესებული წრეების ჩართულობის პროგრამას, კომენტარებს და მოსაზრებებს კლიენტის საქმიანობის შესახებ ან მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს პროექტის

ფარგლებში წარმოქმნილი სხვადასხვა პოტენციური ზეგავლენის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტაციაში ნახსენები იქნება ასევე ის მექანიზმები, რომელთა დახმარებით კლიენტი ამჟამად აგვარებს ან აპირებს ამ საკითხების მოგვარებას მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად. ევრობანკის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს დაინტერესებული წრეების მიერ პროექტის თაობაზე გამოთქმულ შენიშვნებსა და შეშფოთებას პროექტის ფარგლებში საერთო სარგებლის და ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ფაქტორების შეფასების მიზნით.

სამოქმედო მოთხოვნები

27. ევრობანკის მიერ დაფინანსებულმა პროექტებმა უნდა იხელმძღვანელონ მდგრადი განვითარებისკენ მიმართული დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკით. კლიენტების დასახმარებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტების ფარგლებში მოხდეს ამ მიზნების განხორციელება, ევრობანკმა შეიმუშავა კონკრეტული სამოქმედო მოთხოვნები გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების და ზემოქმედების საკვანძო ასპექტებზე. ესენია:

- სამოქმედო მოთხოვნა 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა
- სამოქმედო მოთხოვნა 2 – შრომისა და სამუშაო პირობები
- სამოქმედო მოთხოვნა 3 – გარემოს დაბინძურების პრევენცია და ზემოქმედების შემსუბუქება
- სამოქმედო მოთხოვნა 4 – ადგილობრივი თემის ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და დაცულობა
- სამოქმედო მოთხოვნა 5 – მიწის ნაკვეთების შესყიდვა, არანებაყოფლობითი განსახლება და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა
- სამოქმედო მოთხოვნა 6 – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- სამოქმედო მოთხოვნა 7 – ძირძველი მოსახლეობა
- სამოქმედო მოთხოვნა 8 – კულტურული მემკვიდრეობა
- სამოქმედო მოთხოვნა 9 – ფინანსური შუამავლები
- სამოქმედო მოთხოვნა 10 – ინფორმაციის გაცემა და დაინტერესებული წრეების ჩართულობა

1-დან 8-ის ჩათვლით და მე-10 სამოქმედო მოთხოვნები მოიცავენ პირდაპირი ინვესტიციების პროექტების მოთხოვნებს, ხოლო მე-2 და მე-9 – ფინანსური შუამავლობის ოპერაციებს. ყოველი სამოქმედო მოთხოვნა საკუთარ მიზნებში განსაზღვრავს სასურველ შედეგს და კლიენტებისადმი წაყენებულ კონკრეტულ მოთხოვნებს დასახული მიზნების მისაღწევად. შესაბამისი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის დაკმაყოფილება სამოქმედო მოთხოვნების განუყოფელი ნაწილია.

28. ევრობანკი კლიენტებისგან ითხოვს პროექტების შედგენას იმგვარად, რომ ყველა შესაბამისი სამოქმედო მოთხოვნა იქნეს დაკმაყოფილებული. ამ ყველაფრის აუცილებელი პირობაა თანმიმდევრული მიდგომის გამოყენება კომპანიის თანამშრომელთა, ადგილობრივი თემების და გარემოზე საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მისი აცილება შეუძლებელია – ზემოქმედების შემცირება, გამოსწორება ან

კომპენსაცია. სამოქმედო მოთხოვნები ასევე მყარ საფუძველს იძლევა კლიენტების მიერ საქმიანობის მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

29. ევრობანკის მიერ დასაფინანსებელ ახალ ობიექტებს და კომპანიებს თავიდანვე მოეთხოვებათ სამოქმედო მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუ შემოთავაზებული პროექტი დაკავშირებულია არსებულ საწარმოსთან, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამოქმედო მოთხოვნებს მისი ევრობანკის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენის მომენტისთვის, კლიენტს მოეთხოვება, მიიღოს და განახორციელოს ევრობანკისთვის დამაკმაყოფილებელი გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებადი და ეკონომიური იქნება, რათა ამ ობიექტებმა ევრობანკისთვის მისაღებ ვადებში დააკმაყოფილონ განსაზღვრული მოთხოვნები. თუ ევრობანკის საქმიანობა მდგომარეობს ზოგადად კორპორატიული დაფინანსების, საბრუნავი სახსრების უზრუნველყოფაში ან კომპანიის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის განხორციელებაში ისეთი პროექტის ფარგლებში, რომელსაც ობიექტები მრავალ განსხვავებულ ადგილას გააჩნია, კლიენტი ვალდებულია, კორპორატიულ დონეზე შეიმუშაოს და განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ობიექტების დონეზე მისი შემუშავებისა და განხორციელების ნაცვლად).

30. თუ ზემოთ მოყვანილ 27-29 პუნქტებში აღწერილი ალტერნატიული მიდგომების გამოყენებაა საჭირო კონკრეტული პროექტის პირობების გამო, ეს მიდგომები ინდივიდუალურად იქნება განხილული ევრობანკის დირექტორთა საბჭოზე. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის რომელიმე პირობის მნიშვნელობის შესუსტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ევრობანკის დირექტორთა საბჭო შემოთავაზებულ მიდგომას დააბალანსებს პროექტის საერთო გარემოსდაცვით და/ან სოციალურ ხარჯებთან და სარგებელთან.

31. ნებისმიერ შემთხვევაში პროექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები შეჯამებული იქნება პროექტის მოკლე ანოტაციაში და მასზე ინფორმაცია წარედგინება ევრობანკის დირექტორთა საბჭოს.

მესამე მხარის მოქმედებები

32. დროდადრო ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით სოციალური ან გარემოსდაცვითი შედეგების მიღწევაში კლიენტების შესაძლებლობები დამოკიდებული იქნება მესამე მხარის მოქმედებებზე. ხსენებული მესამე მხარე სხვა მრავალთა შორის შეიძლება იყოს სამთავრობო დაწესებულება, კონტრაქტორი ან მომწოდებელი, რომელთანაც პროექტს/კლიენტს გარკვეული ურთიერთობა გააჩნია ან რომელიც დაკავშირებული ობიექტის ექსპლუატაციას ახორციელებს. ევრობანკს სურს, დარწმუნდეს, რომ მის მიერ დაფინანსებული პროექტებით მიღწეული იქნება დასახული მიზნები სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ეს დამოკიდებულია მესამე მხარის საქმიანობაზე. თუ ამ უკანასკნელთან დაკავშირებული რისკის ფაქტორი მაღალია და კლიენტს კონტროლის ბერკეტები ან გავლენა გააჩნია მის საქმიანობაზე ან ქმედებებზე, ევრობანკი კლიენტს მოსთხოვს მესამე მხარესთან თანამშრომლობას სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისი შედეგების

მისაღწევად. კონკრეტული მოთხოვნები და განსახორციელებელი ქმედებები ინდივიდუალურ შემთხვევებში განისაზღვრება.

იურიდიული დოკუმენტაცია

33. ევრობანკის მიერ პროექტის თაობაზე კლიენტთან გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებები მოიცავს კონკრეტულ პირობებს, რომლებიც ასახავს ევრობანკის მოთხოვნებს გარემოს დაცვასთან, სოციალურ ზემოქმედებასთან და დაინტერესებული წრეების ჩართულობასთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს თანხვედრას ყველა შესაბამის სამოქმედო მოთხოვნასთან და გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, გარემოებათა მიხედვით, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ანგარიშგების, დაინტერესებული წრეების სისტემატური ჩართულობის, დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ პერიოდული აუდიტის ჩატარების, „პროექტის დასრულების“ ცნებაში გარემოსდაცვითი სამოქმედო კრიტერიუმების გათვალისწინების, დასკვნითი აუდიტის და/ან ევრობანკის თანამშრომელთა ან წარმომადგენელთა მონიტორინგის ჯგუფების შესახებ პირობების დაკმაყოფილებას. საჭიროების შემთხვევაში იურიდიული დოკუმენტები ასევე უნდა მოიცავდეს ევრობანკის უფლებებს და/ან სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მსესხებელი ან ინვესტიციის მიმღები კომპანია ვერ ასრულებს გარემოსდაცვით ან სოციალურ პირობებს იურიდიული დოკუმენტის მოქმედების პერიოდში.

მონიტორინგი

34. ბანკს აუცილებელ ფაქტორად მიაჩნია პროექტების ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება. ეს რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველია იმის უზრუნველყოფა, რომ განუხრელად სრულდებოდეს შესაბამისი სტანდარტები და იურიდიულ დოკუმენტებში განსაზღვრული სხვადასხვა გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტი, მაგალითად, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელება. მეორე მიზანია ინვესტიციებთან დაკავშირებული გარემოზე და სოციალური ზემოქმედების წარმოქმნაზე თვალყურის დევნება და შემარბილებელი ზომების ეფექტურობაზე ინფორმაციის მიწოდება. და ბოლოს, პროექტის განხორციელების პროცესში მიღწეული გაუმჯობესების გაცნობიერების შედეგად მონიტორინგის მონაცემები ევრობანკს მისცემს საშუალებას, განსაზღვროს, რამდენად დიდი იყო ბანკის ინვესტიციის წვლილი მდგრადი განვითარების საქმეში, როგორც ცალკეული პროექტის, ასევე საინვესტიციო პორტფელის დონეზე.

35. მონიტორინგი წარმოებს როგორც კლიენტის, ასევე ევრობანკის მიერ. მისი მასშტაბი პროექტის ფარგლებში გამოვლენილი აქტუალური საკითხების, ზემოქმედებისა და შესაბამისობის მოთხოვნების თანმხვედრი იქნება. გათვალისწინებული იქნება, აგრეთვე, კლიენტისა და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ საკითხების და ზემოქმედების ადეკვატური მონიტორინგისა და მართვის შესაძლებლობები. ყოველი პროექტისთვის ევრობანკი კლიენტთან ერთად განსაზღვრავს მონიტორინგის პროგრამას პირველი და მე-9 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად და

დეტალური შესწავლისა და საზოგადოებასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულებების ფარგლებში დააკონკრეტებს მონიტორინგის შესაბამის მექანიზმებს.

36. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის დროული და სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად, ასევე შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური პირობების დასაკმაყოფილებლად ევრობანკი სისტემატურ მონიტორინგს დააწესებს პროექტებზე მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ბანკს ფინანსური ინტერესი ექნება ამ პროექტებში, და კლიენტს ინფორმაციას მიაწვდის მონიტორინგის[11] შედეგებზე. მონიტორინგის მექანიზმები სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად გულისხმობს: (ა) კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე და ნებისმიერ სხვა გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნაზე წარმოდგენილი პერიოდული (სულ მცირე ყოველწლიური) ანგარიშების განხილვას, (ბ) ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტთა ან კონსულტანტთა მონიტორინგის მისიების ვიზიტებს ისეთი ინვესტიციების დეტალური ანალიზის ჩასატარებლად, რომლებთანაც ასოცირდება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები და ზემოქმედება. ამ მექანიზმის მიზანია, განისაზღვროს კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელების სიზუსტე და გარემოსდაცვითი და სოციალური პირობების დაკმაყოფილების ხარისხი, (გ) პერიოდული მონიტორინგის წარმოებას მესამე მხარეების, მაგალითად, დამოუკიდებელი სპეციალისტების ან ადგილობრივი თემების წარმომადგენლების მიერ, რომლის ანგარიშიც კლიენტსა და ბანკს უნდა წარედგინოს.

37. თუ შეფასების ან წინამორბედი მონიტორინგის შემდეგ გარემო პირობები იმგვარად შეიცვალა, რომ შესაძლოა გამოიწვიოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ან სოციალური ზემოქმედება, ევრობანკი კლიენტთან ითანამშრომლებს ამ უკანასკნელის მიერ განსახორციელებელი რეაგირების გეგმის შესამუშავებლად. თუ, როგორც ეს ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ან სხვა იურიდიულ დოკუმენტში, კლიენტი ვერ დააკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებებს, ევრობანკი შეიძლება შეთანხმდეს კლიენტთან სიტუაციის გამოსწორებისთვის საჭირო ზომების განხორციელებაზე კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილების მიზნით. თუ კლიენტი მაინც ვერ მოახერხებს თავისი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანას ნაკისრ ვალდებულებებთან, ბანკმა შეიძლება თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს იურიდიულ დოკუმენტებში განსაზღვრული ქმედებები ან საკითხის მოგვარების ზომები. ევრობანკი კლიენტთან ასევე განიხილავს პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

[11] თუ ევრობანკი გაყიდის თავის წილს კლიენტი კომპანიის კაპიტალში, თუმცა პროექტში შეინარჩუნებს მინიმალურ ფინანსურ ინტერესს, ან საფონდო ბირჟებზე, ასევე საერთშორისო ტენდერებზე გამოტანილი გარკვეული ინსტრუმენტების შემთხვევაში, ევრობანკის მიერ მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობები შეიძლება შეზღუდულ იქნეს. ასევე, მე-4 სქოლიოს თანახმად, როდესაც ევრობანკი ყიდის ან ასრულებს თავის ინვესტიციას (კრედიტს ან წილობრივ მონაწილეობას) მოგვიანებითი გადახდის პირობით, ბანკი აღარ მიიჩნევა პროექტში ფინანსური ინტერესის მქონედ.

შეფასება

38. ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის, ასევე ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეფასებას ახდენს ევრობანკის შეფასების დეპარტამენტი, რომელიც ბანკის ოპერაციებისგან დამოუკიდებლად მუშაობს და უშუალოდ ევრობანკის დირექტორთა საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული. ხსენებული შეფასებების საწყისი ეტაპია გარემოსდაცვითი და სოციალური ორიენტირების შემუშავება ყოველი ცალკეული პროექტისთვის ვალდებულების აღების ეტაპზე და გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ქვეყნისა და დარგობრივი სტრატეგიების ეფექტურობის განსაზღვრა ასევე ვალდებულების აღების ეტაპზე. ევრობანკის შეფასების დეპარტამენტის სამოქმედო კრიტერიუმები და პროცესი გაწერილია დეპარტამენტის პროცედურებში, რომლებსაც ევრობანკის დირექტორთა საბჭო ამტკიცებს.

საოპერაციო ცვლილებები

39. ცვლილებები შეიძლება შეეხოს პროექტის არსს ან მასშტაბს, ასევე ევრობანკის საქმიანობას საპროექტო ხელშეკრულების დამტკიცების ან ხელმოწერის შემდეგ. ამ ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური შედეგები იქონიოს[12]. როდესაც აშკარა ხდება ასეთი არსებითი ცვლილებების ალბათობა, ევრობანკი შეაფასებს სავარაუდო ცვლილებებს წინამდებარე პოლიტიკისა, ნებისმიერი დამატებითი დეტალური შესწავლისა და საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე და გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობის შემარბილებელი ზომები გათვალისწინებული იქნება მოდიფიცირებულ საპროექტო დოკუმენტაციაში. იმ შემთხვევებში, როდესაც სამოქმედო ცვლილებები გამოიწვევს ბანკის მიერ დამტკიცებულისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ გარემოსდაცვით და/ან სოციალურ ვითარებას, მაშინ ამ ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელ რგოლს და საჭიროების შემთხვევაში – ევრობანკის დირექტორთა საბჭოს ინფორმაციის მიწოდებისათვის ან დამტკიცების მიზნით.

D. ევრობანკის საზოგადოებრივი ანგარიშგება და ანგარიშვალდებულება

40. ევრობანკი გამოაქვეყნებს მდგრადობის წლიურ ანგარიშს, რომელშიც მისი საქმიანობა და წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის განხორციელებაა აღწერილი. მასში შევა ასევე უკლებლივ მთელი გაერთიანებული ინფორმაცია სასათბურე გაზების ემისიების, ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების გარემოსდაცვითი ხარჯების შესახებ,

[12] კრედიტიდან წილობრივ მონაწილეობაზე პროექტის გარდაქმნა შეიძლება გულისხმობდეს ევრობანკის ასოცირებას პროექტებთან, ობიექტებთან ან საწარმოებთან, რომლებიც ადრე შეფასებული არ ყოფილა და რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ვალდებულებები წარმოქმნას ან კლიენტი კომპანიის თანამშრომლებს შეუქმნას შესაბამისობის პირობის დაკმაყოფილებით გამოწვეული პრობლემები.

ევრობანკის ინვესტიციების პორტფელთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები და ევრობანკის ანგარიშგება შიდა გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობაზე.

41. ევრობანკის ინვესტიციებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები შეჯამებული იქნება ევრობანკის ცალკეული პროექტების მოკლე ანოტაციებში, რაც ევრობანკის საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკის მოთხოვნას წარმოადგენს[13].

42. ევრობანკს დაარსებული აქვს დავების გადაჭრის დამოუკიდებელი მექანიზმი ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ საჩივრების განსახილველად. ეს საშუალებას აძლევს ევრობანკის პროექტთან პირდაპირ ან საზიანო შეხებაში მყოფ ადგილობრივ ჯგუფებს, მათი შეშფოთება ან წუხილი გამოთქვან ბანკისაგან დამოუკიდებლად. დავების გადაჭრის მექანიზმს ორი ფუნქცია გააჩნია: (ა) შესაბამისობის მიმოხილვა, რომლის ფარგლებშიც ხდება ბანკის მიერ მისივე პოლიტიკის შესაბამისობის ანალიზი, კონკრეტულად წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის და ასევე საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკის განაცხადში ჩამოყალიბებული და პროექტთან დაკავშირებული კონკრეტული პირობები, (ბ) პრობლემების გადაჭრის ფუნქცია, რაც მიზნად ისახავს დიალოგის აღდგენას მხარეებს შორის, ჩვეულებრივ – შეხებაში მყოფი ჯგუფის წევრებსა და პროექტის სპონსორს შორის და რომლის ფარგლებშიც აქცენტი კეთდება იმ საკითების გადაჭრაზე, რამაც ხსენებული დავა ან საჩივარი წარმოშვა. დავის გადაჭრის პროცესში შეიძლება გაკეთდეს რეკომენდაცია შესაბამისობის მიმოხილვის ჩატარებაზე, პრობლემის გადაჭრის ინიციატივის განხორციელებაზე, ორივეზე ან არც ერთზე[14].

E. დიდი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მქონე ინვესტიციების სტიმულირება, მათ შორის სხვებთან პარტნიორული ურთიერთობის გზით

43. ყველა ქმედებასთან დაკავშირებული გარემოზე და სოციალური ზემოქმედების მონიტორინგის გარდა, ევრობანკი პროაქტიულ და ინოვაციურ მიდგომას გამოიყენებს იმ პროექტებისა და ინიციატივების სტიმულირებისთვის, რომლებიც კონკრეტულად შექმნილია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მისაღებად. ხსენებული მიდგომა მოიცავს:

- ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას ევრობანკის არსებული ან შემოთავაზებული პროექტების შესავსებად, მათ შორის ეფექტური მართვის სისტემების შემუშავებას, სხვადასხვა ხარისხობრივი სქემების ფარგლებში სერტიფიცირებას და კლიენტების დახმარებას საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენასა და დანერგვაში,
- ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესებას, რათა ევრობანკის კლიენტებმა უკეთ მოაგვარონ გარემოსდაცვითი ან სოციალური საკითხები. ეს ასევე გულისხმობს დახმარებას პოლიტიკის და მარეგულირებელი

[13] პროექტის მოკლე ანოტაციის მიღება შესაძლებელია ევრობანკის პუბლიკაციების განყოფილებიდან და მისი ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრიდან. ის ასევე შეიძლება იხილოთ ევრობანკის ინტერნეტგვერდზე: (www.ebrd.com)

[14] იხილეთ http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/index.htm

სფეროს რეფორმის გატარების, ინსტიტუციური უნარ-ჩვევების გამომუშავების, დარგობრივი კვლევების და სტრატეგიული შეფასებების განხორციელების საქმეში.

- ცალკეული საინვესტიციო პროექტების სტიმულირებას პრიორიტეტულ სფეროებში,
- საპილოტე პროექტების დაფინანსებას დიდი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მქონე ახალი, პოტენციური ბიზნეს-მიმართულებების გამოსავლენად.

44. ამ ინიციატივებზე ევრობანკი ისურვებს თანამშრომლობას კლიენტებთან, დონორებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევრობანკი რეგულარულ დიალოგს წარმართავს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე დონორი ქვეყნების მთავრობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყნებთან, სადაც საქმიანობა იწარმოებს, და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

45. ევრობანკი სისტემურ მიდგომას შეიმუშავებს გარემოსდაცვითი და სოციალური ფონის გაუმჯობესების შესაძლებლობათა გამოსავლენად მისი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დეტალური შესწავლისა და პროექტების შეფასებების საშუალებით, მათ შორის, საჭიროებისამებრ, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებებით ან აუდიტით. ამ შესაძლებლობების გამოვლენა კლიენტებს საშუალებას მისცემს, საჭირო ზომები გაითვალისწინონ პროექტების გარემოსდაცვითი, სოციალური, სამოქმედო და ეკონომიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად და დაეხმარება მათ ევრობანკის მდგრადი საბანკო და ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში.

46. ევრობანკი მხარს დაუჭერს გარემოს დაცვისკენ მიმართულ გაუმჯობესებებს, რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და განაწილებას ისეთი მუნიციპალური გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის დაფინანსებით, როგორიცაა წყალმომარაგება, კანალიზაცია და მყარი ნარჩენების მართვა. ევრობანკი შეაფასებს, თუ რამდენად გამოიწვევს ტარიფების ცვლილება მომხმარებლების გარკვეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის პრობლემებს და უზრუნველყოფს დახმარების ეფექტური სქემების დანერგვას და ამოქმედებას უარყოფითი სოციალური ზემოქმედების შესამსუბუქებლად. ევრობანკი მხარს დაუჭერს კლიმატის ცვლილებების ეფექტის შემსუბუქებასა და ადაპტაციას, განსაკუთრებით ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროექტების დაფინანსებით, ასევე საუკეთესო პრაქტიკის მხარდაჭერით კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის სფეროში. სხვა პრიორიტეტული სფეროები, რომლებიც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის (მათ შორის გენდერული თანასწორობის) მქონე პროექტებს, გამოვლინდება წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

F. ქვეყნებისა და დარგობრივი სტრატეგიები

47. ევრობანკის მიერ ყოველი ქვეყნისა და დარგისთვის შემუშავებულ სტრატეგიაში ასახული იქნება ბანკის მდგრადი განვითარების მანდატი და მათში ცაკლე თავი დაეთმობა გარემოსდაცვით და სოციალურ გარემოებებსა და ევრობანკის შესაძლებლობებს ზოგადად საქმიანობისა და ტექნიკური

თანამშრომლობის პროექტების კუთხით. ხსენებულ სტრატეგიებში შეჯამდება პრინციპული გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და სხვა სოციალური საკითხები შესაბამისი ქვეყნისა თუ დარგის მიმართებით და ჩამოყალიბდება ევრობანკის წინადადებები ამ საკითხების საჭიროებისამებრ საკუთარ საქმიანობაში გათვალისწინებისთვის. ქვეყნებისთვის შემუშავებულ სტრატეგიებში განიხილება ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიები და გეგმები (მაგალითად, ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმები, ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიები, კლიმატის ცვლილებების ადაპტაციის სტრატეგიები, ევროკავშირისადმი მიერთების სტრატეგიები, ევროპული პარტნიორობისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შეთანხმებები/სამოქმედო გეგმები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წევრი ქვეყნებისთვის გაწერილი ღირსეული შრომის პროგრამები), სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების – განსაკუთრებით მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის, გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების კუთხით წარმართული საქმიანობა, რათა განისაზღვროს ქვეყნის ძირითადი გარემოსდაცვითი, სოციალური და ადამიანის უფლებების საკითხები.

G. ინსტიტუციური და განხორციელების მექანიზმები

48. ზემოთ აღწერილი სტრატეგიული მიმართულებების მიზანმიმართული განხორციელების უზრუნველსაყოფად ევრობანკი საჭირო რესურსებს გამოყოფს წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის განსახორციელებლად. ბანკს ეყოლება ადეკვატური საკადრო რესურსები გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების მეთვალყურეობისთვის, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით სარგებლის მომტანი პროექტების ინიცირებისა და შემუშავებისთვის.

49. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადი ამოქმედდება ევრობანკის დირექტორთა საბჭოს მიერ მისი დამტკიცებიდან 6 თვის შემდეგ. ბანკის ხელმძღვანელობის მიერ პოტენციური პროექტების პირველადი მოწონებიდან წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე ყველა პროექტი დაექვემდებარება ევრობანკის 2003 წლის გარემოსდაცვითი პოლიტიკის განაცხადს.

50. ევრობანკი შეიმუშავებს და დანერგავს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებს, შესაბამისი ინსტრუქციებითა და მექანიზმებით, წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის პრაქტიკულ განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით და თანამშრომლებს საჭირო ტრენინგებს ჩაუტარებს პოლიტიკის მოთხონების გასათვითცნობიერებლად.

51. ევრობანკის დახმარებას გააგრძელებს მისი გარემოსდაცვითი და სოციალური საკონსულტაციო საბჭო, რომლის რჩევებიც გათვალისწინებული იქნება ზოგადად პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ყველა დარგობრივი პოლიტიკის განაცხადზე მათ საბოლოო ჩამოყალიბებამდე. საბჭოს ხედვა შესაძლოა ასევე გათვალისწინებული იქნეს კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე ევრობანკის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

52. ევრობანკი სისტემატურ მონიტორინგს გაუწევს და შეაფასებს საკუთარ გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის მიზნებთან თანხვედრის კუთხით. სამოქმედო მოთხოვნები

განხილული იქნება რეგულარულად, და ისინი შესაძლოა დროდადრო განახლდეს ან შესწორდეს ევრობანკის დირექტორთა საბჭოს მიერ ამ განახლებების დამტკიცების შემთხვევაში. ამასთანავე, წინამდებარე პოლიტიკის განაცხადი ევრობანკის დირექტორთა საბჭოს მიერ ყოველ ხუთ წელიწადში იქნება გადასინჯული.

დანართი 1: A კატეგორიის პროექტები

წინამდებარე ჩამონათვალში მოყვანილია საწყისი, მნიშვნელოვანი გაფართოების ან ტრანსფორმაცია-გარდაქმნის პროექტები ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით. სია ემსახურება თვალსაჩინოების მიზნებს და მასში შესული პროექტები მხოლოდ მაგალითებია. ყოველი პროექტის კატეგორიზაცია დამოკიდებული იქნება გარემოზე ნებისმიერი ფაქტიური ან პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების ან ასეთივე სოციალური ზემოქმედების ხასიათსა და მასშტაბზე, რაც დადგინდება ცალკეული პროექტების არსის, ფუნქციონირებისა და განხორციელების ადგილის მახასიათებლების საფუძველზე.

1. ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები (ნედლი ნავთობიდან მხოლოდ საპოხი ზეთების მწარმოებელი საწარმოების გარდა) და დღეში 500 ტონა ან მეტი მოცულობის ქვანახშირის ან ბიტუმის წარმოებისთვის გაზიფიკაციისა და თხევადი აირის სადგურების დამონტაჟება.

2. თბოელექტრო და წვის სხვა სადგურების დამონტაჟება, რომელთა სითბური პროდუქტი გამოიხატება 300 მეგავატით[15] ან მეტით და ატომური ელექტროსადგურები ან რეაქტორები, ასევე ასეთი სადგურების დემონტაჟი ან ექსპლუატაციიდან ამოღება (გარდა კვლევითი მიზნებისთვის განკუთვნილი დანადგარებისა გამამდიდრებელი და გამაჯერებელი მასალების წარმოებისა და კონსერვაციისთვის, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1 კილოვატს უწყვეტი სითბური დატვირთვის პირობებში).

3. ატომური სადგურების საწვავის წარმოების ან გამდიდრებისთვის გამიზნული საწარმოო ხაზის დამონტაჟება, არარადიაციული ატომური საწვავის ხელახალი გადამუშავება, შენახვა ან საბოლოო განადგურება, ასევე რადიოაქტიური ნარჩენების შენახვა, განადგურება ან გადამუშავება.

4. კომბინატები თუნუქის და ფოლადის საწყისი ჩამოსხმისთვის, საწარმოო ხაზების დამონტაჟება არაფერო ნედლი ლითონების წარმოებისთვის მადნის, კონცენტრატის ან მეორადი ნედლეულისგან მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროლიტური პროცესების საშუალებით.

5. აზბესტის და მისგან შემდგარი პროდუქტების ამოკრეფის, გადამუშავების და ტრანსფორმაციის საწარმოო ხაზის დამონტაჟება აზბესტცემენტის პროდუქტებისთვის, რომელთა წლიური წარმოების მაჩვენებელი მზა მასალის სახით 20,000 ტონას აღემატება, ნაწილაკების მასალებისთვის, რომელთა წლიური წარმოების მაჩვენებელი მზა მასალის სახით 50 ტონას აღემატება, ასევე აზბესტის სხვა გამოყენების შემთხვევები წელიწადში 200 ტონაზე მეტის ოდენობით.

6. კომპლექსური ქიმიური წარმოება, ე.ი. ისეთი საწარმოო ხაზების დამონტაჟება, რომლებიც იყენებენ ქიმიური გარდაქმნის პროცესს, სხვადასხვა ერთეულების გამოყენებით და ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული შემდეგი პროდუქტების საწარმოებლად: საბაზისო ორგანული ქიმიური ნაერთები, საბაზისო არაორგანული ქიმიური ელემენტები, ფოსფორი, წყალბადი ან პოტასიუმის ბაზაზე წარმოებული სასუქი მასალები (მარტივი ან

[15] ეკვივალენტურია 140 მეგავატის ელექტროსადგურებში მთლიანი ელექტროწარმადობის ორთქლისა და ერთციკლიანი გაზის ტურბინების.

კომბინირებული სასუქი), საბაზისო საწარმოო ჯანდაცვის პროდუქტები და ბიოციდები, საბაზისო ფარმაცევტული პროდუქტები ქიმიური ან ბიოლოგიური პროცესის გამოყენებით, ფეთქებადი მასალები.

7. საავტომობილო და ჩქაროსნული, შორი დანიშნულების სარკინიგზო გზების, 2100 მეტრის ან მეტი სიგრძის სარბენი ბილიკის მქონე აეროპორტების მშენებლობა, ოთხხაზიანი საავტომობილო გზების მშენებლობა, არსებულის გაფართოება და/ან გასწორება ოთხი ან მეტხაზიანი სისტემის შესაქმნელად, სადაც ასეთი ახალი გზები, გასწორებული და/ან გაფართოებული მონაკვეთები 10 ან მეტ კილომეტრზე იქნება გადაჭიმული.

8. გაზის, ნავთობისა და ქიმიური ელემენტების ფართომასშტაბიანი ტრანსპორტირებისთვის გამიზნული მილსადენები, ტერმინალები და დაკავშირებული ობიექტები.

9. საზღვაო პორტები, შიდა საწყალოსნო გზები და პორტები, რომლებიც 1,350 ტონიან ან მეტი წარმადობის ხომალდებს ატარებს, ასევე სავაჭრო პორტები და ნავსაყუდლები სახმელეთო ტვირთის ატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის და გარე პორტები (საბორნე ნავსაყუდლების გარდა), რომლებსაც შეუძლიათ 1,350 ტონიანი ამ მეტი წარმადობის ხომალდების გამტარუნარიანობა უზრუნველყონ.

10. ნარჩენების გადამუშავებისა და განადგურების საწარმოო ხაზების დამონტაჟება გაწმენდის, ქიმიური დამუშავების ან ნაგავსაყრელების შესაქმნელად ჯანმრთელობისთვის საზიანო, ტოქსიკური ან საშიში ნარჩენებისთვის.

11. დიდი[16] კაშხლები და სხვა ნაგებობები წყლის შეკავების ან მუდმივი საცავების შესაქმნელად.

12. ნიადაგქვეშა წყლების ამოკრეფისკენ მიმართული საქმიანობა ან ხელოვნური ნიადაგქვეშა წყლების ამოღების სქემები, როდესაც ამოღებული ან ამოკრეფილი წყლის წლიური ოდენობა 10 მილიონი კუბური მეტრი ან მეტია.

13. საწარმოო ქარხნები ა) ხის მერქნისგან სამშენებლო ან სხვა მსგავსი მასალების საწარმოებლად, ბ) ქაღალდის ან მუყაოს საწარმოებლად დღეში 20 გამომშრალი აირის მეტრულ ტონაზე მეტის წარმადობით.

14. დიდი მოცულობის ტუფის ამოკრეფა, საბადოები და ღია კარიერები, ასევე ლითონის მადნის ან ქვანახშირის დამუშავება.

15. ნავთობის და ბუნებრივი აირის წარმოება კომერციული მიზნებისთვის.

16. ნავთობის, ნავთობ-ქიმიური ან ქიმიური პროდუქტების საწარმოო ხაზების დამონტაჟება 200,000 ტონის ან მეტის წარმადობით.

17. მასიური ხის მორების წარმოება.

---

[16] დიდი მოცულობის კაშხლების საერთაშორისო კომისიის განმარტებით. ხსენებული ორგანო დიდ კაშხლებად მოიაზრებს საძირკვლიდან 15 მეტრის ან მეტი სიმაღლის მიწის თხრილს. 5-დან 15 მეტრამდე სიმაღლის კაშხლები, რომლებსაც 3 მილიონ კუბურ მეტრამდე რეზერვუარის ტევადობა გააჩნია, ასევე მიიჩნევა დიდ კაშხლად.

18. მუნიციპალური წყლის გამწმენდი საწარმოები, რომელთა წარმადობა 150,000 მოსახლის ეკვივალენტს აღემატება.

19. მუნიციპალური მყარი ნარჩენების გადამუშავების და განადგურების ობიექტები.

20. მასშტაბური ტურიზმისა და საცალო ინფრასტრუქტურის განვითარება.

21. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.

22. დიდი ფართობის მიწის დამუშავება.

23. დიდი ფართობის პირველადი სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო მეურნეობები, რომლებიც გულისხმობენ ბუნებრივი ჰაბიტატების გაძლიერებას ან გარდაქმნას.

24. საწარმოები კანის გარუჯვისთვის, რომელთა სითბური ეფექტი აღემატება დღეში საბოლოო პროდუქტის 12 ტონას.

25. შინაური ფრინველის ან ღორების ინტენსიური გამოზრდის მეურნეობები 40,000 ადგილით ფრთოსანი ფრინველისთვის და 2,000 ადგილით ღორებისთვის (30 კგ. მეტი) ან 750 ადგილით საერთო ჯამში.

26. პროექტები[17], რომელთა განხორციელება დაგეგმილია სენსიტიური ტერიტორიებზე ან რომელთაც შესაძლოა საგრძნობი გავლენა იქონიონ ასეთ ტერიტორიებზე, მაშინაც კი, როდესაც პროექტის კატეგორია არ არის წინამდებარე ჩამონათვალში მოხსენიებული. ასეთი სენსიტიური ტერიტორიები სხვა მრავალთა შორის გულისხმობს ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებულ ეროვნულ ნაკრძალებს და სხვა დაცულ ტერიტორიებს, ასევე საერთაშორისო, ეროვნული ან რეგიონული მნიშვნელობის მქონე სხვა სენსიტიურ ტერიტორიებს, როგორიცაა, მაგალითად, ჭარბტენიანი ტერიტორიები, ტყეები დიდი ბიომრავალფეროვნებით, არქეოლოგიური ან კულტურული მნიშვნელობით, ასევე ძირძველი მოსახლეობით და სხვა დაუცველი ჯგუფებით დასახლებული ადგილები.

27. პროექტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი საზიანო სოციალური ზემოქმედება ადგილობრივი თემების ან პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანებისთვის.

28. პროექტები, რომლებიც შესაძლოა გულისხმობდეს მნიშვნელოვანი დონის არანებაყოფლობით გადასახლებას ან ეკონომიკურ გადაადგილებას.

[17] გამონაკლისების გარეშე გულისხმობს სოციალური ან გარემოსდაცვითი ორიენტაციის მქონე (მაგ. განახლებადი პროფილის) პროექტებს.

დანართი 2: ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით გამორიცხულ საქმიანობათა ჩამონათვალი

ევრობანკი გაცნობიერებულად არ დააფინანსებს, პირდაპირ ან ირიბად, იმ პროექტებს, რომლებიც მოიცავს:

a) მასპინძელი ქვეყნის (ე.ი. ეროვნული) კანონმდებლობით ან მარეგულირებელი ნორმატივებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებით და ხელშეკრულებებით უკანონოდ მიჩნეული, წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი პროდუქტების წარმოებას ან ამგვარი პროდუქტებით და მათთან დაკავშირებული საქმიანობით ვაჭრობას; აღნიშნულ პროდუქციას და საქმიანობას განეკუთვნება:

(i) პოლიქლორირებული ბიფენილის[18] შემცველი პროდუქტების წარმოება ან რეალიზაცია,

(ii) წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი ფარმაცევტული პროდუქციის, პესტიციდებისა და ჰერბიციდების და სხვა საზიანო ნივთიერებების წარმოება ან რეალიზაცია[19],

(iii) წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი[20] ოზონის მცვეთი ნივთიერებების წარმოება ან რეალიზაცია,

(iv) ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას არსებული სახეობების საერთაშორისო კონვენციით[21] რეგულირებული ველური სამყაროს პროდუქტებით ვაჭრობა ან წარმოება,

(v) საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული[22] ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირება,

---

[18] პოლიქლორირებული ბიფენილი ძალზე ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც მოიპოვება 1950-1985 წლებში წარმოებულ ზეთიან ელექტროტრანსფორმატორებში, კონდენსატორებსა და საკომუტაციო აპარატურაში.

[19] ნაგულისხმევია შემდეგი დოკუმენტები: ევროკავშირის მარეგულირებელი დირექტივა (EEC) № 2455/92 გარკვეული საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტის და იმპორტის თაობაზე (შეტანილი ცვლილებებით), გაერო-ს მიერ მოხმარებისა და/ან რეალიზაციისთვის აკრძალული პროდუქტების კონსოლიდირებული ნუსხა, მთავრობების მიერ გამოთხოვნილი, მკაცრად შეზღუდული ან დაუმტკიცებელი პროდუქტები, საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეული საზიანო ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების წარმოებამდე წინასწარი ინფორმირებული თანხმობის პროცედურების შესახებ კონვენცია (როტერდამის კონვენცია), სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების თაობაზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პესტიციდების კლასიფიკაცია ზიანის ხარისხის მიხედვით.

[20] ოზონის მცვეთი ნივთიერებები: ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაგირებენ და ცვეთენ სტრატოსფერულ ოზონს და შედეგად წარმოქმნიან ფართოდ გახმაურებულ ოზონის ხვრელებს. მონრეალის პროტოკოლში ჩამოთვლილია ოზონის მცვეთი ნივთიერებები და მათი სამიზნე შემცირების და წარმოებიდან ამოღების ვადები. მონრეალის პროტოკოლით რეგულირებული ქიმიური ნაერთების ნუსხა, რომელიც მოიცავს აეროზოლებს, რეფრიგერანტებს, ქაფის გამომტყორცნ რეაგენტებს, გამხსნელებს, ხანძრის დამცავ რეაგენტებს ხელმომწერ ქვეყანათა დეტალებით, წარმოებიდან ამოღების საორიენტაციო ვადებით. ამ ინფორმაციის მიღება ევრობანკისგან არის შესაძლებელი.

[21] ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია, რომლის ფარგლებში დაცული სახეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: www.cites.org/eng/app/index.shtml.

[22] ნაგულისხმევია შემდეგი დოკუმენტები: ევროკომისიის მარეგულირებელი დირექტივა № 1013/2006, დათარიღებული 2006 წლის 14 ივნისით, რომელიც შეეხება ნარჩენების ტრანსპორტირებას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება C(2001)107 ამოკრეფის საქმიანობისთვის ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირების კონტროლზე, 1989 წლის 22 მარტით დათარიღებული ბაზელის კონვენცია

b) დაუკავშირებელი აზბესტის ბოჭკოს ან აზბესტის შემცველი პროდუქტების[23] წარმოებას, გამოყენებას ან რეალიზაციას,

c) მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ საქმიანობას ბიომრავალფეროვანი რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის[24] დაცვასთან დაკავშირებით,

d) ბადით თევზაობას საზღვაო წყლებში 2.5 კმ და მეტი სიგრძის ბადეების გამოყენებით,

e) ნავთობის ან სხვა საზიანო ნივთიერებების ტრანსპორტირებას ტანკერებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ნაოსნობის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებს[25],

f) საქონლით ვაჭრობას აუცილებელი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების ან ექსპორტის, იმპორტისა და, გარემოებათა მიხედვით, ტრანზიტის შესაბამისი ქვეყნებიდან ტრანზიტის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში.

საზიანო ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირების და განადგურების კონტროლის შესახებ.

[23] ეს პირობა არ ეხება შედუღაბებული აზბესტცემენტის ფირფიტების შეძენასა და გამოყენებას, თუ აზბესტის შემცველობა 20 პროცენტზე დაბალია.

[24] შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები გამონაკლისის გარეშე მოიცავენ შემდეგს: გარეული ცხოველების მიგრაციული სახეობების კონსერვაციის შესახებ კონვენციას (ბონის კონვენცია), საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციას – განსაკუთრებით ისეთებისას, როგორიცაა წყლის ფრინველთა ჰაბიტატი (რამსარის კონვენცია), ევროპული ველური სამყაროსა და ბუნებრივი ჰაბიტატის შესახებ კონვენციას (ბერნის კონვენცია), მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ კონვენციას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციას და პროტოკოლებს.

[25] მოიცავს ტანკერებს, რომლებსაც არა აქვთ „მარპოლ სოლასის“ ყველა საჭირო სერტიფიკატი (მათ შორის, და არა მხოლოდ, ISM კოდთან შესაბამისობის სერტიფიკატი), ევროკავშირის მიერ შავ სიაში შეყვანილ ან პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმით პორტების მდგომარეობის კონტროლის საფუძველზე აკრძალულ ტანკერებს (პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი) და „მარპოლის“ მარეგულირებელი ნორმატივით №13G ექსპლუატაციიდან ამოსაღებ ტანკერებს. ასევე დაუშვებელია 25 წლის სიძველის ტანკერების გამოყენება.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 1:
გარემოსდაცვითი და სოციალური მდგომარეობის შეფასება და მართვა

შესავალი

1. ევრობანკს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მისი დაფინანსების მიმღებ ყველა კომპანიას გააჩნდეს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით სისტემური მიდგომა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების და ზემოქმედების სამართავად. ეფექტური მართვის სისტემები, რომლებიც შეესაბამება ბიზნეს საქმიანობის მასშტაბსა და ხასიათს, კომპანიებს საშუალებას აძლევს, უკეთ მართონ რისკები, გამოიყენონ შესაძლებლობები, გააძლიერონ სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობა და რეპუტაცია, რაც ხშირ შემთხვევებში კომპანიათა გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებს განაპირობებს. წარმატებული და ეფექტური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა დინამიკური, განგრძობადი პროცესია, რომელიც ინიცირებული და მხარდაჭერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და გულისხმობს შინაარსობრივ კომუნიკაციას კლიენტს, მის თანამშრომლებსა და ადგილობრივ თემებს შორის, რომლებიც პროექტის ან კლიენტი კომპანიის საქმიანობასთან მოდიან შეხებაში. ის საჭიროებს მეთოდურ, სისტემურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს შედეგების დაგეგმვას, განხორციელებას, გადახედვას და რეაგირებას სტრუქტურული სახით საქმიანობის რეგულარული გაუმჯობესების მიზნით.

მიზნები

2. ევრობანკი კლიენტებისგან მოითხოვს სისტემური მიდგომის[26] შემუშავებას, რომელიც მორგებული იქნება მათი საქმიანობის ან პროექტების არსთან, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვასთან, ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დაკმაყოფილების განმაპირობებელ შესაძლებლობებთან პროექტში ევრობანკის მონაწილეობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. წინამდებარე პირველი სამოქმედო მოთხოვნა აღწერს კლიენტის პასუხისმგებლობას ევრობანკისთვის დასაფინანსებლად შეთავაზებულ პროექტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასების, მართვისა და მონიტორინგის პროცესში. პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ წრეებთან ურთიერთობა აღწერილი პროცესის შემადგენელი ნაწილია. ევრობანკის მოთხოვნები დაინტერესებული წრეების ჩართულობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მე-10 სამოქმედო მოთხოვნაში.

   პირველი და მეათე სამოქმედო მოთხოვნები შემდეგ კონკრეტულ მიზნებს ემსახურება:

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა (პირველი სამოქმედო მოთხოვნა)	**ინფორმაციის გაზიარება და დაინტერესებული წრეების ჩართულობა (მეათე სამოქმედო**

[26] მოუხედავად იმისა, რომ ეს არ არის სავალდებულო, ევრობანკი კლიენტებს სთხოვს, გაითვალისწინონ ისეთი აკრედიტებული მართვის სისტემების მიღება, როგორიცაა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO 14001.

	მოთხოვნა)
• პროექტთან დაკავშირებული საზიანო და სასარგებლო გარემოზე და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების გამოვლენა და შეფასება, • მუშა-მოსამსახურეებზე, შეხებაში მყოფ თემებსა და გარემოზე საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი ზომების მიღება და, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე დაყვანა, შემსუბუქება ან ანაზღაურება/კომპენსირება, • გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა და შეძლებისდაგვარად გამოყენება • გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის სტიმულირება საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების დინამიკური პროცესის საშუალებით.	• პროექტთან ამჟამად ან მომავალში შეხებაში მყოფი ადამიანების ან თემების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების გამოვლენა • ხსენებული დაინტერესებეული მხარეების საჭირო ჩართულობის უზრუნველყოფა ისეთ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში, რომლებიც პოტენციურად იმოქმედებენ მათზე ინფორმაციის გაზიარების და შინაარსობრივი კონსულტაციების პროცესში • დაინტერესებულ წრეებთან კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნება განგრძობით საფუძველზე შინაარსობრივი ჩართულობის საშუალებით პროექტის განხორციელების პერიოდში

გამოყენების მასშტაბი

4. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადი შეეხება პროექტებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ გარემოსდაცვითი ან სოციალური რისკები და ზემოქმედება, რომლებიც აუცილებლად უნდა შეფასდეს პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე და მუდმივად უნდა იმართებოდეს.

მოთხოვნები

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება

5. შეფასების პროცესში, როგორიცაა რისკის შეფასება, აუდიტი ან გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება, კლიენტი კომპლექსური სახით გაითვალისწინებს შემოთავაზებულ პროექტებთან დაკავშირებულ პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებსა და ზემოქმედებას. მიღებულ ინფორმაციას ევრობანკი გამოიყენებს კლიენტისა და პროექტის დეტალური შესწავლისას და იგი დაეხმარება მას შესაბამისი სამოქმედო მოთხოვნებისა და ზომების გამოვლენაში რისკების სამართავად და შესაძლებლობების შესამუშავებლად შესაბამისი სამოქმედო მოთხოვნების თანახმად. შეფასების პროცესი დამყარებული იქნება ბოლოდროინდელ ინფორმაციაზე, რომელიც შეიცავს კლიენტის საქმიანობის ან პროექტის დეტალურ აღწერა-დახასიათებასა. მასში გამოყენებული იქნება ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი საბაზისო მონაცემები შესაბამისი დეტალებით. შეფასების პროცესში უნდა გამოვლინდეს ასევე ის კანონები და მარეგულირებელი აქტები პროექტების განხორციელების იურისდიქციაში, რომლებიც გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს შეეხება, მათ შორის მასპინძელი ქვეყნის მიერ საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძველზე[27] ნაკისრი გალდებულებების განმახორციელებელი ეროვნული კანონმდებლობა (მაგალითად, მიწის გამოყენების დაგეგმარებასა და დაცული ტერიტორიების მართვაზე აღებული ვალდებულებები).

[27] მაგალითად „არჰუს“, „ესპუ“ და ბიომრავალფეროვნების კონვენციები.

6. გარემოზე და სოციალური ზემოქმედება და საკითხები შეფასებული იქნება პროექტის ადგილობრივი გავლენის კონტექსტში. ეს შეიძლება შესაბამისად მოიცავდეს შემდეგთაგან ერთ-ერთს ან რამდენიმეს:
   i. კლიენტის მფლობელობაში ან მართვაში მყოფი აქტივები და ობიექტები, რომლებიც დასაფინანსებელი პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობას უკავშირდება (მაგალითად, საწარმოები, ელექტროენერგიის გადაცემისთვის განკუთვნილი დერეფნები, მილსადენები, არხები, პორტები, მისაღწევი გზები და სამშენებლო მოედნები),
   ii. კლიენტის საქმიანობის განსახორციელებლად ან პროექტის დასასრულებლად სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფი მხარეების (მაგალითად, კონტრაქტორების) მფლობელობაში ან კონტროლირების ქვეშ მყოფი მხარდამჭერი/უზრუნველმყოფი საქმიანობა, აქტივები და ობიექტები,
   iii. დაკავშირებული ობიექტები ან საქმიანობები, რომლებიც ევრობანკის მიერ პროექტის ფარგლებში არ ფინანსდება და რომლებიც შეიძლება იყვნენ ცალკეული იურიდიული ერთეულები, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა და არსებობა მხოლოდ პროექტზეა დამოკიდებული და რომელთა საქონლისა და მომსახურების მიწოდება აუცილებელია პროექტის წარმატებული განხორციელებისთვის,
   iv. კლიენტის მფლობელობაში ან მართვის ქვეშ მყოფი ობიექტები, საქმიანობა და მომსახურება, რომლებიც ევრობანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების გარანტიის ან გირაოს ნაწილია,
   v. ადგილები და თემები, რომლებზეც პოტენციური ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს პროექტის სამომავლოდ დაგეგმილი განვითარების ნაერთმა ზემოქმედებამ ან მსგავი ზემოქმედების სხვა წყაროებმა მოცემულ გეოგრაფიულ არეალში, ნებისმიერმა არსებულმა პროექტმა ან პირობამ და პროექტთან დაკავშირებულმა სხვადასხვა სახის განვითარებამ, რომლებსაც რეალურად შესაძლოა ველოდოთ დეტალური შესწავლის პერიოდისათვის,
   vi. ტერიტორიები და თემები, რომლებიც პოტენციურად ხვდებიან პროექტის დაუგეგმავი, მაგრამ მოსალოდნელი განვითარების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც შეიძლება მომავალში ან სხვა ტერიტორიებზე წარმოიქმნას. ზემოქმედების ადგილი არ გულისხმობს პროექტის გარეშე ან მისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილ პოტენციურ ზემოქმედებას.

   ზემოხსენებულზე დაყრდნობით ევრობანკი და კლიენტი შეთანხმდებიან ყოველი ცალკეული პროექტის ზემოქმედების არეალზე.

7. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები და ზემოქმედება ასევე გაანალიზდება პროექტის ციკლის შესაბამის ეტაპებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს მშენებლობის წინმსწრებ ეტაპს, მშენებლობას, ექსპლუატაციას და ექსპლუატაციიდან ამოღებას ან დახურვას და ადგილის საწყის მდგომარეობაში მოყვანას. საჭიროებისამებრ, შეფასებაში გათვალისწინებული იქნება ასევე მესამე მხარის (მაგალითად, ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის, კონტრაქტორებისა და მომწოდებლების) როლი და შესაძლებლობა იმ მხრივ, რომ მათ შეიძლება გავლენა იქონიონ პროექტზე. გასათვალისწინებელია, რომ კლიენტის შესაძლებლობები, არეგულიროს ეს რისკები და ზემოქმედება, დამოკიდებული იქნება მესამე მხარის მოქმედებების გაკონტროლებასა და აღნიშნულ მხარეზე გავლენაზე. პროექტის ძირითადი საქმიანობის განმაპირობებელ მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული ზემოქმედება გათვალისწინებული იქნება იმ შემთხვევებში,

სადაც პროექტის ფარგლებში გამოყენებული რესურსები ეკოლოგიურად სენსიტიურია ან როდესაც მიწოდებული საქონლის[28] კონკურენტუნარიანობაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს იაფი მუშახელი. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ასევე პოტენციური საერთაშორისო და გლობალური საკითხები, მაგალითად, გამონაბოლქვი და ემისია, საერთაშორისო საწყალოსნო გზების მომატებული გამოყენება ან დაბინძურება, სასათბურე აირების ემისია, კლიმატის ცვლილების ფაქტორთა შემსუბუქებისა და ადაპტაციის საკითხები, ასევე ზემოქმედება გადაშენების პირას მყოფ სახეობებსა და ჰაბიტატებზე.

8. განხორციელებული დეტალური შესწავლის ხასიათი გამოვლენილი რისკებისა და საკითხების შესატყვისი იქნება. ეს იქნება საკითხების ადეკვატური, სწორი და ობიექტური შეფასება და პრეზენტაცია, რომელსაც კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები მოამზადებენ. საკითხებისა და ზემოქმედების პოტენციური მნიშვნელობის მიხედვით ევრობანკმა შეიძლება მოითხოვოს, რომ დეტალური შესწავლა დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტებმა ჩაატარონ. ყოველი ცალკეული პროექტისთვის ევრობანკი შეიძლება კლიენტთან შეთანხმდეს საჭირო დეტალური შესწავლის ხასიათზე.

9. ევრობანკის მიერ A კატეგორიის მქონედ მიჩნეული პროექტები საჭიროებენ საგანგებო, ფორმალიზებული და მონაწილეობრივი შეფასების პროცესს. ასეთი პროექტების თვალსაჩინო ჩამონათვალი წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის №1 დანართში. საწყისი განვითარებების ან მნიშვნელოვანი გაფართოებების საქმიანობა, რომელსაც გარემოზე პოტენციურად საგრძნობი და მრავალმხრივი საზიანო ზემოქმედება ან ასეთივე სოციალური ზემოქმედება უკავშირდება, №1 დანართში ჩამოთვლილის მსგავსად, საჭიროებს გარემოზე და/ან სოციალური ზემოქმედების სრულყოფილ შეფასებას შემოთავაზებულ პროექტებთან დაკავშირებული პოტენციური სამომავლო გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებისთვის, პოტენციური გარემოსდაცვითი შესაძლებლობების გამოვლენისთვის და საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, და, თუ ეს შეუძლებელია, მის მინიმუმამდე დასაყვანად ან შესამსუბუქებლად საჭირო ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავებისთვის. ეს შეფასება მოიცავს ტექნიკურად და ფინანსურად გამართული ალტერნატივების გამოვლენას ზემოქმედების წყაროებისთვის და რაციონალურ დოკუმენტაციას შემოთავაზებული ქმედებების კონკრეტული კურსის შესარჩევად. გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებამ უნდა დააკმაყოფილოს მე-10 სამოქმედო მოთხოვნა და ნებისმიერი ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების[29] მოთხოვნები. გამონაკლის შემთხვევებში რეგიონული, დარგობრივი ან სტრატეგიული შეფასება შეიძლება გახდეს საჭირო. არანებაყოფლობითი გადასახლების საჭიროების მქონე ან ძირძველ მოსახლეობასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე გავლენის მქონე პროექტები საჭიროებენ შეფასებას მე-5, მე-7 და მე-8 სამოქმედო მოთხოვნების თანახმად. ასევე შესაძლოა საჭირო

[28] იხილეთ ასევე მე-2 სამოქმედო მოთხოვნის მე-20 პუნქტი და მე-6 სამოქმედო მოთხოვნის 22-ე პუნქტი.

[29] ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივის შესაბამისი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების/სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ფორმატის მიღება შესაძლებელია ევრობანკისგან. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელებული პროექტები საჭიროებენ ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და საჭიროების შემთხვევაში ნებართვის აღებას.

გახდეს ნებისმიერი სხვა გარემოსდაცვითი ან სოციალური დეტალური შესწავლის ჩატარება.

10. პროექტებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ B კატეგორია, შეიძლება დასჭირდეთ მრავალმხრივი დეტალური შესწავლა პროექტის არსის, მასშტაბისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ასევე გარემოზე პოტენციური ზემოქმედებისა და პოტენციური სოციალური ზემოქმედებისა და რისკების მახასიათებლების მიხედვით. დეტალურმა შესწავლამ უნდა გამოავლინოს და შეაფასოს შემოთავაზებულ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური სამომავლო ზემოქმედება, ასევე გამოავლინოს პოტენციური გაუმჯობესებების შესაძლებლობები და რეკომენდაცია გაუწიოს ნებისმიერი ზომის განხორციელებას, რომელიც საჭიროა საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის მინიმუმამდე დასაყვანად და შესამსუბუქებლად. პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის გათვალისწინებით ევრობანკმა შეიძლება მოითხოვოს არსებული ობიექტების აუდიტი მათი წარსული ან ამჟამინდელი საქმიანობის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შესაფასებლად. ხსენებული აუდიტის მიზანია წარსული ან ამჟამინდელი პრობლემების, ასევე მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობის სტატუსის, მართვის სისტემების და ფუნქციონირების, პროექტთან დაკავშირებული პოტენციური რისკების, ვალდებულებების და შესაძლებლობების გამოვლენა. შესაძლებელია ასევე საჭირო გახდეს შემოწმების სხვა სახეობები, მაგალითად, საშიშროებათა ანალიზი და რისკის შეფასების ჩატარება. შეფასების, აუდიტისა და სხვა შემოწმებებების პროცესში ყურადღება გამახვილდება გარემოსდაცვით ან სოციალურ საკითხებზე (მაგალითად, შრომა, საწარმოო ჯანდაცვა და უსაფრთხოება, ზემოქმედება თემზე) ან ამ ყველაფრის კომბინაციაზე პროექტის ხასიათიდან გამომდინარე. არსებული საწარმოების ნებისმიერი სახის შემოწმება უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი სპეციალისტების მიერ.

11. იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტები, რომლებსაც მრავალ ადგილას გააჩნიათ წარმოებები, ევრობანკისგან ითხოვენ საერთო კორპორაციულ დაფინანსებას, საბრუნავ კაპიტალს ან კაპიტალში წილობრივ მონაწილეობას, ზემოთ, მე-4 და მე-10 პუნქტებში აღწერილი შეფასების პირობა შესაძლოა არ იყოს შესატყვისი. ასეთ შემთხვევებში, რასაც ევრობანკი დაადასტურებს ცალკეული პროექტების მიხედვით, კლიენტი დაუკვეთავს კვალიფიციურ და გამოცდილ გარეშე სპეციალისტს კომპანიის ამჟამინდელი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სისტემის, ასევე კომპანიის წარსული და მიმდინარე საქმიანობის კორპორატიული აუდიტის ჩატარებას ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად. აუდიტისას მოხდება:
    - კლიენტის მიერ ყველა შესაბამისი სოციალური და გარემოსდაცვითი რისკისა და ზემოქმედების მართვის შესაძლებლობების, ასევე მისი საქმიანობისა და ფუნქციონირების შეფასება, განსაკუთრებით სამოქმედო მოთხოვნებით (მათ შორის წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნით) განსაზღვრულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით,
    - პროექტის განხორციელების იურისდიქციაში კლიენტის მიერ შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს მარეგულირებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში მასპინძელი ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშემწყობი ეროვნული კანონების დაკმაყოფილების ისტორიის შეფასება,

- კომპანიის საქმიანობით დაინტერესებული ძირითადი წრეებისა და მათი ჩართულობის გამოვლენა.

კორპორატიული აუდიტის ზუსტი მასშტაბი ევრობანკთან შეთანხმებული იქნება ინდივიდუალურ საფუძველზე.

12. პროექტებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ C კატეგორია, რადგან მათთან მინიმალური ან არავითარი საზიანო ზემოქმედება არ ასოცირდება, განსაზღვრის შემდეგ არ ჩაუტარდებათ დამატებითი გარემოსდაცვითი ან სოციალური შეფასება და არ დასჭირდებათ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შემუშავება ქვემოთ მოყვანილი მე-14 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

13. შეფასების პროცესის შემადგენელი ნაწილია კლიენტის მიერ დაინტერესებული წრეების გამოვლენა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

14. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის დასკვნებისა და პროექტთან შეხებაში მყოფ დაინტერესებულ წრეებთან კონსულტაციების გათვალისწინებით კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს ზემოქმედების შემსუბუქების პროგრამას და საქმიანობის გაუმჯობესების ზომებსა და ღონისძიებებს, რომლებიც გამოვლენილ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს, ზემოქმედებასა და შესაძლებლობებს დაარეგულირებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ფორმატში. გამოვლენილი იქნება ზემოქმედების შემსუბუქების მექანიზმები და ღონისძიებები, რადგან პროექტის ყველა შესაბამისი ეტაპი (მაგალითად, წინასამშენებლო, მშენებლობის, ექსპლუატაციის, დახურვის, ექსპლუატაციიდან ამოღებისა და ადგილის პირველად მდგომარეობაში მოყვანის) უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების, ასევე სამოქმედო მოთხოვნებისა და წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან და ეტაპობრივ მიდგომას და ითვალისწინებდეს მოსალოდნელ სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა კონცენტრირებული უნდა იყოს ზემოქმედების თავიდან აცილებაზე, ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია – მის შემსუბუქებაზე შესაძლო ზემოქმედების მისაღებ დონემდე შესამცირებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად. თუ ნარჩენი ზემოქმედება საზიანოა ბიომრავალფეროვნებისთვის, შესაძლოა საჭირო გახდეს გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსაცია მე-6 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად, დანაკარგების გარეშე მოქმედების ხელშეწყობისათვის; არანებაყოფლობითი გადასახლებისთვის და ძირძველ მოსახლეობაზე ზემოქმედებისთვის კომპენსაცია განხორციელდება მე-5 და მე-7 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა შეეხება პროექტის ფარგლებში დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის მიღების შესაძლებლობებს, მათ შორის ადგილობრივი თემების განვითარების პროგრამებს. თუ შეფასების პროცესში დაინტერესებული წრეები მიჩნეულნი იქნებიან გარიყულად ან დაუცველად, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა გაითვალისწინებს დიფერენცირებულ ზომებს, რათა საზიანო გავლენა არაპროპორციულად არ შეეხოს მათ და პროექტის შედეგად მიღებული

სარგებელი და შესაძლებლობები მათაც გაიზიარონ. პროექტებიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა შეიძლება მოიცავდეს სამოქმედო პოლიტიკის, პროცედურების, მართვის სისტემების, პრაქტიკისა და კაპიტალური ინვესტიციების კომბინაციას. იდენტიფიცირებული ზემოქმედებისა და რისკების დასარეგულირებლად გამოყენებულ ზომებსა და ქმედებებში უპირატესობა ტექნიკურად და ფინანსურად მიენიჭება ზემოქმედების თავიდან აცილებას და პრევენციას, და არა მათი მინიმუმამდე დაყვანას, შემსუბუქებას ან კომპენსაციას.

15. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის დეტალურობის და სირთულის დონეები, ასევე გამოვლენილი ზომებისა და ქმედებების პრიორიტეტები ასახავს პროექტის რისკის ფაქტორებს, ზემოქმედებასა და შესაძლებლობებს. გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ასახული იქნება ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, მათი ადეკვატური მოგვარებისთვის საჭირო ქმედებები, ასევე იმ ზომები, რომლებიც გამიზნულია გარემოსდაცვითი ან სოციალური სარგებლის მაქსიმალურად გაზრდისთვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გრაფიკი და პასუხისმგებელი კაც/ერთეული და დაკავშირებული ხარჯების სავარაუდო მაჩვენებელი. კლიენტი შეატყობინებს ევრობანკს, თუ როგორ მოხდება ხარჯების გაწევა. სასურველი შედეგები განისაზღვრება შეფასებისას ჩამოყალიბებული საბაზისო მონახაზის საფუძველზე, როგორც საზომი მექანიზმი, ისეთი ელემენტებით, როგორიცაა სამოქმედო მაჩვენებლები, ორიენტირები, მიღება-ჩაბარების კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება განსაზღვრული დროის პერიოდში გაიწეროს. თუ კომპანიის არსებული ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად სცილდება მარეგულირებელ მოთხოვნებს და ვერ აკმაყოფილებს არსებულ ნებართვებს, შემოთავაზებული ქმედებები შეუსაბამობის სფეროების გამოსასწორებლად და მათი განხორციელების გრაფიკი შეთანხმებული უნდა იქნეს ხელისუფლების შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან. პროექტის შემუშავებისა და განხორციელების დინამიკური ხასიათის გაცნობიერებით გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა გამოეხმაურება პროექტის პირობებში გაწეულ ცვლილებებს, მოვლენათა მოულოდნელ განვითარებას და მონიტორინგის შედეგებს. იმ პროექტებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ A კატეგორია, ევრობანკი შეიძლება შეფასების პროცესში შეთანხმდეს კლიენტთან, რომ ცვლილებების მართვის პროცესი იყოს წარმმართველი შემოთავაზებული პროექტის ცვლილებების ან გაუთვალისწინებელი გარემოებების მართვისა და ანგარიშგებისთვის.

16. თუ კლიენტები მრავალ ადგილას აწარმოებენ სამეწარმეო საქმიანობას და სურთ საერთო კორპორაციული დაფინანსების, საბრუნავი კაპიტალის ან წილობრივი მონაწილეობის მიღება, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა გათვალისწინებული უნდა იყოს კლიენტის კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემაში. მასში დარეგულირებული იქნება კორპორატიული აუდიტის დროს გამოვლენილი ნებისმიერი საკითხი დროში გაწერილი ზომების საშუალებით, ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად დროის გონივრულ მონაკვეთში.

საორგანიზაციო უნარ-ჩვევები და ვალდებულებები

17. კლიენტმა უნდა დაამყაროს, შეინარჩუნოს და გააძლიეროს საორგანიზაციო სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და დაკავშირებული მართვის სისტემის განხორციელების როლს, პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას. უნდა განისაზღვროს კონკრეტული კადრები, ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენელთა ჩათვლით, პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების მკაფიოდ ჩამოყალიბებით. საკვანძო სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა კარგად უნდა იყოს განსაზღვრული და მასზე ინფორმაცია შესაბამის თანამშრომლებს და მთელ ორგანიზაციას უნდა მიეწოდოს. მართვის ვალდებულება და საკმარისი საკადრო და ფინანსური რესურსები რეგულარულად უნდა იქნეს უზრუნველოფილი ეფექტური და განგრძობადი სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობის საწარმოებლად.

18. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს პროექტის ან კომპანიის უშუალოდ სოციალურ და გარემოსდაცვით საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამშრომელების ადეკვატური კვალიფიკაცია და ტრენინგი, რათა მათ აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები გააჩნდეთ მათი ფუნქციების შესასრულებლად. ტრენინგი უნდა შეეხოს კონკრეტულ ზომებსა და ქმედებებს შესაბამისი სამოქმედო მოთხოვნების, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობების დასაკმაყოფილებლად, აგრეთე კომპეტენტურად და ეფექტურად მოქმედების მეთოდებს.

კონტრაქტორების მართვა

19. სამოქმედო მოთხოვნები, გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ნებისმიერი კონკრეტული მოთხოვნის ჩათვლით, გამოყენებული უნდა იქნეს პროექტის განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, საქმიანობას თავად კლიენტი ახორციელებს თუ მისი კონტრაქტორები ან ქვეკონტრაქტორები. კლიენტს ეკისრება ვალდებულება პროექტის ობიექტებზე მომუშავე კონტრაქტორების საქმიანობაზე და ხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კონტრაქტორების ეფექტური მართვა მოიცავს შემდეგს:
    - კონტრაქტებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასება,
    - სატენდერო დოკუმენტებში შესაბამისი სამოქმედო მოთხოვნების, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შესაბამისი პირობების გათვალისწინება და კონტრაქტორების შემოწმება ხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობის კუთხით,
    - კონტრაქტორებისგან სახელშეკრულებო დონეზე ხსენებული სტანდარტების გამოყენების და შეუსაბამობისას პრობლემების მოგვარების ზომების განხორციელების მოთხოვნა,
    - კონტრაქტორებს უნდა გააჩნდეთ საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები საპროექტო ამოცანების განსახორციელებლად სამოქმედო მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად,
    - ზემოხსენებულ მოთხოვნებთან კონტრაქტორების შესაბამისობის მონიტორინგი,

- ქვეკონტრაქტების გაფორმების შემთხვევაში კონტრაქტორებს მოეთხოვებათ, იგივე მოთხოვნები წაუყენონ ქვეკონტრაქტორებს.

შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეების შრომისა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული მოთხოვნები აღწერილია მე-2 სამოქმედო მოთხოვნის მე-19 პუნქტში.

საქმიანობის მონიტორინგი და მიმოხილვა

20. კლიენტი დანერგავს პროცედურებს იურიდიული ხელშეკრულებების გარემოსდაცვითი და სოციალური პირობების შესრულების, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და სამოქმედო მოთხოვნების ეფექტური განხორციელების, ასევე შეფასებისას გამოვლენილი საბაზისო მდგომარეობიდან მიღწეული გაუმჯობესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. მონიტორინგის მასშტაბი იქნება რისკების, გარემოზე და ადგილობრივ თემებზე საზიანო ზემოქმედების ტოლფასი. მონიტორინგი, ჩვეულებრივ, მოიცავს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას და შესაბამისი სამოქმედო კონტროლის მექანიზმების დანერგვას შესაბამისობისა და პროგრესის შესამოწმებლად, ასევე შესაბამისი აღსრულების ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმების ანგარიშებზე და დაინტერესებული წრეების, ადგილობრივი თემების შენიშვნებზე რეაგირებას. ამასთანავე, კლიენტმა შეიძლება მესამე მხარე – დამოუკიდებელი ექსპერტები, ადგილობრივი თემები ან არასამთავრობო ორგანიზაციები გამოიყენოს მისივე მონიტორინგის ინფორმაციის შესავსებად ან შესამოწმებლად. პროექტებზე, რომლებსაც მინიჭებული აქვთ A კატეგორია, კლიენტმა უნდა იყოლიოს კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები პერიოდული მონიტორინგის / აუდიტის ჩასატარებლად პროექტში ევრობანკის მონაწილეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. კლიენტმა მონიტორინგის შედეგები დოკუმენტურად უნდა აღრიცხოს.

21. მონიტორინგის შედეგები გამოყენებული უნდა იყოს საქმიანობის გამოსასწორებლად და გასაუმჯობესებლად. ასევე, მონიტორინგის კუთხით განხორციელებული საქმიანობა შეიძლება კორექტირებული იქნეს საქმიანობისას მიღებული გამოცდილებისა და ინფორმაციის შესაბამისად. პროექტის განხორციელების დროს კლიენტის თვითმონიტორინგის შედეგები, სამთავრობო შემოწმების ანგარიშები, მესამე მხარის აუდიტის დასკვნები/ანგარიშები ან კრედიტორთა მონიტორინგი შეიძლება ცხადყოფდნენ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე კლიენტი გამოავლენს და ასახავს ნებისმიერ აუცილებელ გამოსასწორებელ ან პრევენციულ ზომებს შესწორებულ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში და/ან ანაზღაურების პროგრამაში, რომელიც ევრობანკს დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს. კლიენტი განახორციელებს შეთანხმებულ გამოსასწორებელ და პრევენციულ ზომებს და ამ ქმედებებს შემდგომში დააკვირდება მათი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

22. კლიენტის ორგანიზაციის ხელმძღვანელი რგოლი რეგულარულად უნდა იღებდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის მოქმედების და/ან გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელების სფეროში მიღწეული წინსვლის შეფასებას მონაცემების სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. ამგვარი ანგარიშების მასშტაბი და სიხშირე დამოკიდებული იქნება კლიენტის

მართვის სისტემის/პროგრამის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და სხვა შესაბამისი საპროექტო მოთხოვნების ფარგლებში გამოვლენილი და უზრუნველყოფილი ქმედებების მასშტაბსა და ხასიათზე.

23. კლიენტები ხელს შეუწყობენ ევრობანკის გარემოსდაცვითი ან სოციალური სპეციალისტების ან ბანკის სახელით მოქმედი კონსულტანტების ვიზიტებს კლიენტი კომპანიის ობიექტების დასათვალიერებლად. ხსენებული ვიზიტების სიხშირე და მასშტაბი პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის შესატყვისი იქნება.

24. ევრობანკისადმი სისტემატური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია კლიენტის მიერ განახლებული ინფორმაციის წარმოდგენა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელების სფეროში მიღწეული წინსვლის შესახებ. დაინტერესებული წრეების ჩართულობა პროექტის განხორციელების ეტაპზე, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის შესრულების სფეროში მიღწეული წინსვლის შესახებ გარე ანგარიშგების ჩათვლით, განხორციელდება მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

ევრობანკის მე-2 სამოქმედო მოთხოვნა: შრომისა და სამუშაო პირობები

შესავალი

1. ევრობანკს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ბიზნესისთვის მუშა-მოსამსახურეები ძვირფასი აქტივია და კარგი საკადრო რესურსების მართვა და ჯანსაღი ურთიერთობა თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის, რომელიც ეფუძნება მუშა-მოსამსახურეების უფლებების პატივისცემას, მათ შორის გაერთიანებების შექმნისა და კოლექტიური პოზიციონირების უფლებას, საწარმოს მდგრადობის მნიშვნელოვანი პირობაა. თანამშრომელთა მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნელყოფა კლიენტებს საგრძნობ სარგებელს მოუტანს, მაგალითად, გააძლიერებს კომპანიის საქმიანობის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპანიის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის თუ არ დამყარდება და გაძლიერდება ჯანსაღი ურთიერთობები, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს თანამშრომელთა მიერ კომპანიის ვალდებულებების გაზიარების შეგრძნება, რთული გახდეს მათი შენარჩუნება, დაიძაბოს სიტუაცია პროექტის განხორციელების კუთხით და დაზარალდეს კლიენტის რეპუტაცია.

მიზნები

2. ევრობანკი შეეცდება, თავისი საქმიანობით დაეხმაროს ისეთი სხვა დაწესებულებების ინიციატივებს ღირსეული სამუშაო პირობების სტიმულირებაში, როგორიცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ევროკავშირი. კლიენტის საკადრო რესურსების პოლიტიკა, პროცედურები და სტანდარტები როგორც მინიმუმ შემდეგს მაინც უნდა გულისხმობდეს:
   - თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის ჯანსაღი ურთიერთობის დანერგვა და შენარჩუნება,
   - თანამშრომლების მიმართ სამართლიანი მოპყრობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის ხელშეწყობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა,
   - კლიენტის მიერ გაფორმებული ნებისმიერი კოლექტიური შეთანხმების, შრომის და დასაქმების ეროვნული კანონმდებლობის, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში ჩამოყალიბებული ფუნდამენტური პრინციპების და ძირითადი მარეგულირებელი სტანდარტების შესაბამისობის სტიმულირება, რაც ეგზომ მნიშვნელოვანია ამგვარ ურთიერთობებში[1],
   - თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა და სტიმულირება, განსაკუთრებით უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების ხელშეწყობით.

გამოყენების მასშტაბი

3. ევრობანკი შეთანხმდება კლიენტთან წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების მეთოდებზე კლიენტის

[1] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები 29 და 105 (იძულებითი ან სავალდებულო შრომა), 87 (გაერთიანებების უფლება), 98 (კოლექტიური პოზიციონირების უფლება), 100 და 111 (დისკრიმინაცია), 138 (მინიმალური ასაკი), 182 (ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები).

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და/ან მართვის სისტემის ფარგლებში. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება, მართვის მოთხოვნებთან ერთად, ჩამოყალიბებულია პირველ და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის კონტექსტში ტერმინი „მუშა-მოსამსახურეები“ გამოიყენება კლიენტის თანამშრომლების აღსანიშნავად. ამ სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება შტატგარეშე თანამშრომლების მიმართ განსაზღვრულია მე-19 პუნქტში. მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მე-20 და 21-ე პუნქტებში.

მოთხოვნები

თანამშრომლებთან ურთიერთობის მართვა

საკადრო რესურსების პოლიტიკა

5. კლიენტი მიიღებს და/ან შეინარჩუნებს საკადრო რესურსების პოლიტიკას მისი კომპანიის ზომის და მუშახელის შესაბამისად, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მისი მიდგომა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად მუშახელის სამართავად. ეს პოლიტიკა იქნება ნათელი, გასაგები და თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი.

სამუშაო ურთიერთობები

6. კლიენტი დოკუმენტურად ასახავს და ყველა თანამშრომელს შეატყობინებს მათ სამუშაო და დასაქმების პირობებს, მათ შორის ხელფასების, სამუშაო საათების, ზესაათობრივი ანაზღაურების და მექანიზმების, ასევე ნებისმიერი სხვა სარგოს (მაგალითად, ავადმყოფობის მიზეზით სამსახურის გაცდენის, დეკრეტული შვებულების ან დღესასწაულების შემთხვევაში) შესახებ.

სამუშაო და დასაქმების პირობები

ზოგადი

7. პროექტებს მოეთხოვებათ სულ მცირე შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:
   - ეროვნული კანონმდებლობა შრომის, სოციალური დაცვისა და საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში,
   - შრომის საერთშორისო ორგანიზაციის კონვენციებში[2] ჩამოყალიბებული პრინციპები და სტანდარტები შემდეგ საკითხებზე:
     a) ბავშვთა შრომის აკრძალვა,
     b) იძულებითი შრომის გამორიცხვა,
     c) დასაქმებასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის გამორიცხვა,
     d) გაერთიანებების და კოლექტიური პოზიციონირების უფლება.

ბავშვთა შრომა

[2] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები 29 და 105 (იძულებითი ან სავალდებულო შრომა), 87 (გაერთიანებების უფლება), 98 (კოლექტიური პოზიციონირების უფლება), 100 და 111 (დისკრიმინაცია), 138 (მინიმალური ასაკი), 182 (ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები).

8. კლიენტი დააკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობის ყველა შესაბამის პირობას არასრულწლოვანთა დასაქმების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში კლიენტი არ დაასაქმებს ბავშვებს ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატაციურ, საზიანო, განათლებასთან შეუთავსებელ ან მათი ჯანმრთელობისთვის მავნე, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარების შემაფერხებელ სამუშაოზე. 18 წლამდე ახალგაზრდები არ დასაქმდებიან საზიანო სამუშაოზე და ისინი დაექვემდებარებიან შესაბამისი რისკის შეფასებას.

იძულებითი შრომა

9. კლიენტი არ გამოიყენებს იძულებითი შრომის ფორმებს, რაც გულისხმობს ინდივიდის ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე სამუშაოს ან მომსახურების უზრუნველყოფას ძალის ან საჯარიმო სანქციის გამოყენებით დაშინებისას. ეს პირობა შეეხება ნებისმიერი სახის არანებაყოფლობით ან სავალდებულო შრომას, მათ შორის შრომას მოწაფეობის კონტრაქტის საფუძველზე, მონურ შრომას ან შრომას მსგავსი პირობებით.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანაბარი შესაძლებლობები

10. პროექტები დააკმაყოფილებენ ეროკავშირის მოთხოვნებს დასაქმებაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. სახელდობრ, კლიენტი:
    - დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს პირადი მახასიათებლების მიხედვით, როგორიც არის, მაგალითად, სქესი, რასა, ეროვნება, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია ან სარწმუნოება, უნარშეზღუდულობა, ასაკი ან სქესობრივი ორიენტაცია, რომლებიც გამიზნულ სამუშაოს არსობრივად არ უკავშირდება,
    - სამსახურებრივ ურთიერთობებს დაამყარებს თანაბარი შესაძლებლობების და სამართლიანი მოპყრობის პრინციპზე, არ მოახდენს თანამშრომლის დისკრიმინაციას სამსახურებრივი ურთიერთობების არც ერთ ასპექტში – დასაქმებაში, დაქირავებაში, შრომის ანაზღაურებაში (ხელფასისა და სხვა სარგოს ჩათვლით), სამუშაო და დასაქმების პირობებში, ტრენინგების გავლაში, დაწინაურებაში, დასაქმების შეწყვეტაში, პენსიაზე გასვლასა და დისციპლინაში.

    დისკრიმინაციად არ ჩაითვლება წარსულში დისკრიმინაციული გამოვლინებების გამოსასწორებლად განხორციელებული სპეციალური დაცვისა და დახმარების ზომები, ადგილობრივი კადრების დასაქმების შესაძლებლობები, სამუშაო პროფილის შესაბამისი დასაქმება, რაც ეროვნულ კანონმდებლობას შეესაბამება.

თანამშრომელთა ორგანიზაციები

11. კლიენტი არ შეეწინააღმდეგება თანამშრომელთა მიერ გაერთიანებათა ჩამოყალიბებას ან მათთვის სასურველ გაერთიანებებში გაწევრიანებას და კოლექტიურ პოზიციონირებას, არ მოახდენს იმ თანამშრომელთა დისკრიმინაციას ან გამიჯვნას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ან აპირებენ ასეთ ორგანიზაციებში ან კოლექტიურ პოზიციონირებაში. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კლიენტი ჩაერთვება ხსენებულ თანამშრომელთა გაერთიანებებში და მათ დროულად უზრუნველყოფს ინფორმაციით შინაარსობრივი მოლაპარაკებებისთვის. იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ზღუდავს

თანამშრომელთა ასეთი გაერთიანებების დაფუძნებას ან ფუნქციონირებას, კლიენტი თავის მუშა-მოსამსახურეებს მისცემს საშუალებას, გამოხატონ საკუთარი უკმაყოფილება კუთვნილი უფლებების, სამუშაო და დასაქმების პირობების შესახებ. საკუთარი აზრის გამოთქმის ეს მექანიზმი არ უნდა ექვემდებარებოდეს კლიენტის გავლენას ან კონტროლს.

შრომის ანაზღაურება, კუთვნილი სარგო და სამუშაო პირობები

12. შეთავაზებული ხელფასი, კუთვნილი სარგო და სამუშაო პირობები მთლიანობაში უნდა შეესატყვისებოდეს ქვეყანაში/რეგიონში და კონკრეტულ დარგში ეკვივალენტურ სამუშაო ადგილებზე დაკავებული მუშა-მოსამსახურეებისას. იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტი მიეკუთვნება ან სხვაგვარად გაწევრიანებულია კოლექტიური პოზიციონირების შეთანხმებაში, საჭიროა ამ შეთანხმების პატივისცემა.

საწარმოო ჯანდაცვა და უსაფრთხოება

13. კლიენტი თანამშრომლებს უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი, შესაბამის დარგში რისკის ფაქტორების და კლიენტის სამოქმედო სფეროს სხვადასხვა საზიანო კატეგორიის კლასების, მათ შორის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური ზიანის გათვალისწინებით. კლიენტი მიიღებს ზომებს სამუშაოსთან დაკავშირებული ან მისგან განპირობებული უბედური შემთხვევების, ტრავმების და დაავადებების პრევენციის მიზნით შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:
    - გონივრულობის ფარგლებში, რამდენადაც შესაძლებელია, თანამშრომელთა მიმართ პოტენციური ზიანის მიზეზების გამოვლენა და მინიმუმამდე დაყვანა,
    - პრევენციული და დამცავი ზომების განხორციელება, მათ შორის საზიანო პირობების და ნივთიერებების მოდიფიკაციით, შეცვლით ან აღკვეთით,
    - შესაბამისი აპარატურის უზრუნველყოფა და რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით მისი გამოყენების მოთხოვნა,
    - თანამშრომელთა ტრენინგი, შესაბამისი სტიმულის უზრუნველყოფა ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების და დამცავი აპარატურის გამოყენების საშუალებით,
    - საწარმოო ტრავმების, დაავადებებისა და უბედური შემთხვევების დოკუმენტირება და ანგარიშგება,
    - საგანგებო პრევენცია, მზაობა და რეაგირების მექანიზმები.

14. პროექტები დააკმაყოფილებენ ევროკავშირის საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესაბამის მოთხოვნებს, ხოლო იმ შემთხვევებში, თუ ეს მოთხოვნები არ არსებობს – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შესაბამის ინსტრუქციებს.

15. ზემოხსენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კლიენტი იქონიებს საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მართვის სისტემას მისი საქმიანობის მასშტაბისა და ხასიათის და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის[3] შესაბამისად.

[3] მაგ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საწარმოო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის 2001 ინსტრუქცია ან საწამოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების შეფასების სტანდარტები №18001.

16. იმ შემთხვევებში, როდესაც დამსაქმებელი თანამშრომელს საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფს, ეს ადგილი უნდა იყოს სათანადო ადგილმდებარეობის, სისუფთავის, უსაფრთხოების და აკმაყოფილებდეს, სულ მცირე, თანამშრომლის უმთავრეს საჭიროებებს. სახელდობრ, საცხოვრებელი ადგილით თანამშრომლის უზრუნველყოფა უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას დაბინავების საფასურის დაკისრების პრაქტიკასთან, თითოეული მუშა-მოსამსახურის საკმარისი ფართით დაკმაყოფილებასთან, სანიტარული, სარეცხი, საჭმლის მომზადების ადგილებით და სასმელი წყლით უზრუნველყოფასთან, სამუშაო ადგილთან საცხოვრებელი ადგილის სიახლოვესთან, ჯანდაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა საზიანო და შემაწუხებელ საკითხებთან და ადგილობრივ შენობა-ნაგებობებთან, პირველადი დახმარების უზრუნველყოფასა და სამედიცინო ობიექტების არსებობასთან, გათბობასა და ვენტილაციასთან დაკავშირებით (და არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილთან დაკავშირებით). თანამშრომელთა თავისუფალი მოძრაობის უფლება დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ადგილიდან არ უნდა იყოს გაუმართლებად შეზღუდული.

კადრების შემცირება

17. თუ კლიენტი აპირებს, კოლექტიურად გაათავისუფლოს კადრები ევროკავშირის №98/59 დირექტივის პირველი მუხლის შესაბამისად, კლიენტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა კადრების შემცირების საზიანო გავლენის შესამსუბუქებლად, ეროვნული კანონმდებლობის და მიღებული სამეწარმეო პრაქტიკის შესაბამისად, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და კონსულტაციების საფუძველზე. ეროვნული კანონმდებლობის უფრო მკაცრი პირობების დაკნინების გარეშე ხსენებული კონსულტაციები გულისხმობს დასაქმებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საკმარისი დროით ადრე ინფორმაციის მიწოდებას მუშა-მოსამსახურეების წარმომადგენლებისა და, საჭიროებისამებრ, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რათა კადრების დათხოვნის გეგმა ერთობლივად იქნეს გაანალიზებული თანამშრომლების მიერ სამსახურის დაკარგვის საზიანო ეფექტის შესამსუბუქებლად. კონსულტაციების შედეგები ასახული იქნება კადრების დათხოვნის საბოლოო გეგმაში.

გასაჩივრების მექანიზმი

18. კლიენტი თანამშრომლებისთვის (და, არსებობის შემთხვევაში, მათი ორგანიზაციებისთვის) უზრუნველყოფს გასაჩივრების მექანიზმს თანამშრომელთა გონივრული საჩივრების შესატანად. კლიენტი ინფორმაციას მიაწვდის თანამშრომლებს ამ მექანიზმის არსებობის შესახებ სამსახურში აყვანისას და უზრუნველყოფს ამ მექანიზმის იოლ გამოყენებას. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს მართვის შესაბამის დონეს და დროულად უნდა ახდენდეს რეაგირებას შემოსულ საჩივარზე გასაგები და გამჭვირვალე პროცესის გამოყენებით, რომელიც გამსაჩივრებელთან ინფორმაციის გაცვლას ახდენს მისი შევიწროების გარეშე. ეს მექანიზმი არ უნდა ხელყოფდეს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული რეაგირების მექანიზმების გამოყენების უფლებას, რომელსაც კანონი უზრუნველყოფს

მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს შესაბამის მასტიმულირებელ და საჯარიმო სანქციებს კარგი საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პრაქტიკის ხელშეწყობისათვის.

არსებული არბიტრაჟის პროცედურებით, და არ უნდა ცვლიდეს კოლექტიური შეთანხმებებით უზრუნველყოფილ გასაჩივრების მექანიზმს.

შტატგარეშე თანამშრომლები

19. კონტრაქტორების ან სხვა შუამავლების საშუალებით პროექტის ობიექტებზე ან უშუალოდ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად კლიენტის მიერ დაქირავებული შტატგარეშე თანამშრომლების შემთხვევაში კლიენტი უზრუნველყოფს, რომ: (ა) ხსენებული კონტრაქტორები ან შუამავლები იყვნენ კარგი რეპუტაციის მქონე კანონიერი საწარმოები, (ბ) მათ დააკმაყოფილონ ზემოთ, 6-დან 16-მდე და მე-18 პუნქტებში ჩამოყალიბებული პირობები. როდესაც კლიენტი ხელშეკრულებებს უშუალოდ შტატგარეშე თანამშრომლებს უფორმებს, კლიენტი ვალდებულია, თავად დააკმაყოფილოს 6-დან 16-მდე და მე-18 პუნქტებში ჩამოყალიბებული პირობები.

მიწოდების ჯაჭვი

20. მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ საზიანო ზემოქმედებად მიიჩნევა ის გარემო, როდესაც მიწოდებული საქონლის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში იაფი მუშახელი განმსაზღვრელ ფაქტორს თამაშობს. ასეთ პირობებში კლიენტი გონივრულ ზომებს განახორციელებს იმის გასარკვევად, ხომ არ გამოიყენება პროექტის ფარგლებში მიღებული საქონლისა და მომსახურების მიწოდების ჯაჭვში ბავშვთა და იძულებითი შრომა[4].

21. თუ კლიენტი გაარკვევს, რომ შრომის საერთაშორისო ორგნიზაციის სტანდარტების საწინააღმდეგოდ მის მიწოდების ჯაჭვში და იმ საქონლისა თუ მასალების მოწოდებაში, რომლებიც არსებით ფუნქციებს ასრულებს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ საქმიანობაში, გამოიყენება ბავშვთა ან იძულებითი შრომა, კლიენტი ყველა გონივრულ ზომას მიიღებს ამ საკითხის დასარეგულირებლად შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:

(a) ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით კლიენტმა საქონლის ან მასალების შესყიდვა უნდა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მიღებული ექნება დამაკმაყოფილებელი გარანტია ან მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მომწოდებელი ვალდებულებას კისრულობს პროგრამის განხორციელებაზე კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ხსენებული პრაქტიკის გამოსარიცხად გონივრულად განსაზღვრული დროის პერიოდში. კლიენტი ევრობანკს რეგულარულად წარმოუდგენს ანგარიშს ხსენებული პროგრამის განხორციელების სფეროში მიღწეულ წინსვლაზე.

(b) იძულებით შრომასთან დაკავშირებით კლიენტმა საქონლის ან მასალების შესყიდვა უნდა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მიღებული ექნება დამაკმაყოფილებელი გარანტია ან მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მომწოდებელს შესაბამისი ზომები აქვს განხორციელებული იძულებითი შრომის პირობების გამოსარიცხად.

---

[4] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 138-ე, 182-ე, 29-ე და 105-ე კონვენციებში განსაზღვრულის თანახმად.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 3:
ბუნების დაბინძურების პრევენცია და შემცირება

შესავალი

1. ევრობანკი აცნობიერებს, რომ მდგრადი განვითარება ბიზნეს საქმიანობის ჯანსაღი მართვის ფუნდამენტური ასპექტია და რომ ეკონომიკური ზრდის და ჯანსაღი გარემოს შექმნა ურთიერთდაკავშირებული საკითხებია. ბუნების დაბინძურების პრევენცია და შემცირება მდგრადი განვითარების პროგრამის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია და ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ ამ სფეროში მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას. ბუნების დამაბინძურებელ საქმიანობასთან დაკავშირებული გავლენა და საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ეკონომიკურ საქმიანობაში, საწარმოო დონეზე გამონაბოლქვისა და ემისიებიდან დაწყებული რეგიონული და გლობალური დონის ზემოქმედებით დამთავრებული.

2. გარემოსდაცვით სფეროში ევროპული პრინციპების ხელმომწერის სახით ევრობანკს ვალდებულება ეკისრება:
   - მის მიერ დაფინანსებული საქმიანობებით სიფრთხილის და პრევენციის პრინციპების მხარდაჭერაზე, ასევე იმ პრინციპის სტიმულირებაზე, რომელიც გულისხმობს გარემოსთვის ზიანის გამომწვევი მიზეზის გამოსწორებას დაბინძურების წყაროსთან და დამბინძურებლის მიერ კომპენსაციის გაწევას.
   - ევროკავშირის შესაბამის გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით სამრეწველო წარმოებასთან, წყლისა და ნარჩენების მართვასთან, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურებასთან, საწარმოო ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან[1], ბუნების დაცვასთან[2] დაკავშირებით, სადაც ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს პროექტის დონეზე (შემდგომში „ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოთხოვნები“)[3].

მიზნები

3. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებია:
   - ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე საზიანო გავლენის თავიდან აცილება და, სადაც ეს შეუძლებელია – მისი მინიმუმამდე დაყვანა უშუალოდ პროექტებიდან წარმოშობილი ბუნების დაბინძურების თავიდან აცილებით ან მინიმუმამდე დაყვანით,
   - კლიენტების დახმარება პროექტთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოვლენაში ენერგო ეფექტურობისა და რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ნარჩენების შემცირებისთვის,

[1] საწარმოო ჯანდაცვა და უსაფრთხოება რეგულირდება მე-2 სამოქმედო მოთხოვნით.
[2] ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია რეგულირდება მე-6 სამოქმედო მოთხოვნით.
[3] წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის და სამოქმედო მოთხოვნების მიზნებისთვის ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტები შეიძლება გამოყენებული იქნეს პროექტის დონეზე, სადაც ევროკავშირის საკანონმდებლო დოკუმენტი თავად მოიცავს ნათელ ხარისხობრივ ან რაოდენობრივ მოთხოვნებს, რომლებიც ობიექტის დონეზე გამოიყენება (ნაცვლად საერთო დონისა).

- პროექტთან დაკავშირებული სასათბურე გაზის ემისიის შემცირების სტიმულირება.

გამოყენების მასშტაბი

4. ევრობანკი კლიენტთან შეთანხმდება წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისი პირობების დარეგულირების და მართვის მეთოდზე კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და/ან მართვის სისტემის ნაწილის სახით. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის მოთხოვნები ჩამოყალიბებულია პირველ და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

მოთხოვნები

ზოგადი

5. ქვემოთ მოყვანილი მე-6 პუნქტის პირობების გათვალისწინებით, პროექტები შემუშავდება ევროკავშირის შესაბამისი გარემოსდაცვითი მოთხოვნების, ასევე შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის დაკმაყოფილების გზით და განხორციელდება ამ კანონებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

6. აღიარებულია, რომ ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოთხოვნები ბუნების დაბინძურების პრევენციისა და შემცირების ზომების შესახებ ეფუძნება საუკეთესო არსებულ ტექნოლოგიას, თუმცა გარემოს დაცვის საუკეთესო სახით უზრუნველსაყოფად აუცილებელია მონტაჟის ტექნიკური მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი პირობების მთლიანობაში გათვალისწინება. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის პირობები ამ მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად უნდა ითვალისწინებდნენ ნებისმიერ ეროვნულ, შეთანხმებულ გრაფიკს მათი ჰარმონიზაციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან (მაგალითად, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში). ევროკავშირის წევრ, კანდიდატ და პოტენციურ კანდიდატ ქვეყნებს საზღვრებს გარეთ განხორციელებული პროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გაწერილი დროის გრაფიკი ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უნდა შეესაბამებოდეს ნებისმიერ ორმხრივ ხელშეკრულებას ან სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროკავშირსა და შესაბამის ქვეყანას შორის არის გაფორმებული, მაგრამ შეიძლება ასევე გაითვალისწინოს გამოყენების ხარჯები და ადგილობრივი პირობები.

7. თუ ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოთხოვნები არ არსებობს, კლიენტი გამოიყენებს სხვა კარგ პრაქტიკას, მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სტანდარტების ინსტრუქციის მსგავსად. ასეთ შემთხვევებში ევრობანკი შესაბამის მოთხოვნებს შეუთანხმებს კლიენტს ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე.

8. როდესაც მასპინძელი ქვეყნის მარეგულირებელი ნორმები განსხვავებულია ევროკავშირის გარემოსდაცვით მოთხოვნებში ან მე-7 პუნქტის შესაბამისად შეთანხმებულ მოთხოვნებში წარმოდგენილი დონეებისა და ზომებისაგან,

პროექტებმა უნდა დააკმაყოფილონ ის მოთხოვნები, რომლებიც უფრო მკაცრი აღმოჩნდება.

9. თითოეული პროექტისთვის ევრობანკი გამოავლენს და კლიენტს შეუთანხმებს შესაბამის გარემოსდაცვით მოთხოვნებსა და ინსტრუქციებს.

ბუნების დაბინძურება, რესურსების კონსერვაცია და ენერგოეფექტურობა

10. პროექტის შემუშავების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან ამოღების პროცესში (პროექტის სრული ციკლი) კლიენტი გაითვალისწინებს შესაბამისი დანადგარის ტექნიკურ მახასიათებლებს, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, გარემოს ადგილობრივ/საერთო პირობებს, რათა გამოიყენოს ბუნების დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ისეთი ტექნოლოგიები და პრაქტიკა (ტექნიკა), რომლებიც ყველაზე უკეთ შეეფერება ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე საზიანო ზემოქმედების თავიდან აცილებას, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მის მინიმუმამე დაყვანას ან შემცირებას, და რომლებიც ამავდროულად ტექნიკურად და ფინანსურად გამართლებული და რენტაბელური იქნება.

11. კლიენტი თავიდან აიცილებს ან, თუ ეს შეუძლებელია, მინიმუმამდე დაიყვანს ან გააკონტროლებს ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევას. ეს პირობა შეეხება ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოფრქვევას რუტინული, არარუტინული ან შემთხვევითი გარემოებებისას ადგილობრივი, რეგიონული ან საერთაშორისო ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობით. ამასთანავე, კლიენტმა უნდა გაითვალისწინოს და მუშაობაში გამოიყენოს ენერგოეფექტურობის, ასევე წყლისა და სხვა რესურსების კონსერვაციის ზომები უფრო სუფთა წარმოების პრინციპების შესაბამისად.

წყლები[4]

12. კლიენტი თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს საზიანო და არასაზიანო ნარჩენი მასალების წარმოებას და შეძლებისდაგვარად შეამცირებს მის საზიანო ფაქტორებს. თუ ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება შეუძლებელია, კლიენტი მოახდენს მათ ხელახალ გამოყენებას, გადამუშავებას, ამოკრეფას ან ენერგიის წყაროდ გამოყენებას. თუ ნარჩენების ამოკრეფა ან ხელახალი გამოყენება შეუძლებელია, კლიენტი დაამუშავებს, გაანადგურებს და გარემოსთვის არასაზიანო წესით დამარხავს მათ. თუ წარმოქმნილი ნარჩენები საზიანოდ მიიჩნევა, კლიენტი განიხილავს გარემოსთვის არასაზიანო წესით მისი განკარგვის კომერციულად გამართლებულ ალტერნატივებს სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირების შეზღუდვების გათვალისწინებით. თუ ნარჩენების განკარგვა მესამე მხარის მიერ ხდება, კლიენტი გამოიყენებს ისეთ კონტრაქტორებს, რომლებიც შესაბამისი მარეგულირებელი სააგენტოების მიერ ლიცენზირებული, კარგი რეპუტაციის და კანონიერი საწარმოებია.

საზიანო ნივთიერებებისა და მასალების უსაფრთხო გამოყენება და მართვა

[4] წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებისთვის ნარჩენები გულისხმობს გაზების, თხევადი და/ან მყარი ნივთიერებების/მასალების მრავლობით ნაერთს, რომლებიც საჭიროებს დამუშავებას ადეკვატური ფიზიკური, ქიმიური და/ან ბიოლოგიური პროცესით, სანამ მოხდება ბუნებაში მათი უსაფრთხო განკარგვა.

13. კლიენტი შეეცდება, თავიდან აიცილოს, შეამციროს ან გამორიცხოს საზიანო ნივთიერებებისა და მასალების გამოყენება. კლიენტი ასევე გაითვალისწინებს ნაკლებად საზიანო ნივთიერებების და მასალების გამოყენებას, რათა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა და ბუნება პოტენციური საზიანო გავლენისგან. თუ ამ ეფექტის თავიდან აცილება შეუძლებელია, კლიენტი გაითვალისწინებს ხსენებული მასალების გამოყენების უსაფრთხოებას და მიმართავს რისკების მართვის შესაბამის ზომებს პროექტის ფარგლებში წარმოებიდან, ტრანსპორტირებიდან, მოხმარებიდან, შენახვიდან, გამოყენებიდან ან განადგურებიდან წარმოქმნილი ასეთი ნივთიერებებისა და მასალების ჰაერში, წყალში და/ან ნიადაგში გაფრქვევის მინიმუმამდე დასაყვანად ან გასაკონტროლებლად. კლიენტი თავიდან აიცილებს ცოცხალი ორგანიზმებისათვის მაღალი ტოქსიკურობის, გარემოში მდგრადობის, ბიოაკუმულირებისა და ოზონის ფენის ცვეთის პოტენციალის გამო საერთაშორისო მასშტაბით აკრძალული ან წარმოებიდან ამოღებული საზიანო ნივთიერებების და მასალების წარმოებას, რეალიზაციას და გამოყენებას.

საგანგებო მდგომარეობებში მზაობა და რეაგირება

14. კლიენტი მზად იქნება, რეაგირება მოახდინოს სიტუაციის მკვეთრ ცვლილებაზე, ინციდენტებსა და საგანგებო სიტუაციებზე საწარმოო რისკების შესაბამისად და პოტენციური ნეგატიური გარემოებების აღსაკვეთად. მე-4 სამოქმედო მოთხოვნის 18-22 პუნქტებში ჩამოყალიბებულ პირობებზე დაყრდნობით, კლიენტი გამოავლენს ინციდენტების გამომწვევ მთავარ საზიანო გარემოებებს, აღკვეთს მსხვილ ინციდენტებს და შეამცირებს მათ ზემოქმედებას ადამიანებსა და გარემოზე, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრული და ეფექტური მეთოდით მაღალი დონის დაცვა.

ინდუსტრიული წარმოება

15. კლიენტი დანერგავს პროცესებს გამონაბოლქვი ნივთიერებების და ნარჩენების რეგულარული ინვენტარიზაციისა და მონიტორინგისთვის. კლიენტებს მოეთხოვებათ პროექტთან დაკავშირებული ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ ანგარიშგება აწარმოონ ბუნების დაბინძურებისა და გადაცემის ევროპული რეესტრის[5] და ევრობანკის წინაშე.

გარემო პირობებთან დაკავშირებული მოსაზრებები

16. გარემო პირობებზე პროექტების საზიანო გავლენის დასარეგულირებლად კლიენტი: (ა) გაითვალისწინებს რიგ ფაქტორებს, მათ შორის გარემოს ასიმილაციის შეზღუდულ შესაძლებლობას, მიწის არსებულ და სამომავლო გამოყენებას, არსებულ გარემო პირობებს, ეკოლოგიურად სენსიტიურ ან დაცულ ტერიტორიებთან საპროექტო ობიექტების სიახლოვეს და

[5] ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში, სადაც ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულ მაჩვენებელზე ზემოთ გაფრქვევა ჰაერში, წყალსა და/ან ნიადაგში საჭიროებს მონიტორინგს და ანგარიშგებას ბუნების დაბინძურებისა და გადაცემის ევროპული რეესტრის წინაშე. ხსენებული რეესტრი დამტკიცებული იქნა ევროკავშირის 166/2006 მარეგულირებელი ნორმით და მისით მოხდა ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიის ევროპის რეესტრის ჩანაცვლება. (http://eper.ec.europa.eu/eper)

დაუდგენელი და გამოუსწორებელი შედეგების მქონე კუმულაციური ზემოქმედების პოტენციალს, (ბ) ხელს შეუწყობს სტრატეგიების განხორციელებას ბუნების დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის თავიდან ასაცილებლად, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მათ მინიმუმამდე დასაყვანად ან შესამცირებლად, ისეთი სტრატეგიების ჩათვლით, რომლებიც განაპირობებს გარემო პირობების გაუმჯობესებას, როდესაც პროექტს გააჩნია უკვე დეგრადირებულ ადგილას მნიშვნელოვანი ემისიის პოტენციალი. ხსენებული სტრატეგიები გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება, პროექტის ადგილმდებარეობის ალტერნატივების და ემისიის აღკვეთის შეფასებებს.

სასათბურე გაზების ემისია

17. კლიენტი ხელს შეუწყობს პროექტთან დაკავშირებული სასათბურე გაზების ემისიის შემცირებას საპროექტო საქმიანობისა და ზემოქმედების ხასიათისა და მასშტაბის შესაბამისად.

18. იმ პროექტების შემუშავებისას, რომლებიც წარმოქმნის ან მოსალოდნელია, რომ წარმოქმნას მნიშვნელოვნი ოდენობის სასათბურე გაზები[6], კლიენტი უზრუნველყოფს მონაცემებს და მოახდენს მათ შესახებ ანგარიშგებას საბაზისო (ინვესტიციამდე) და განხორციელების შემდგომი ემისიის სავარაუდო მაჩვენებლების შესაფასებლად. მონაცემების მოთხოვნებზე ინსტრუქციის მიღება ევრობანკისგან შეიძლება. შეფასება მოიცავს უშუალოდ პროექტის ფიზიკურ საზღვრებში კლიენტის მფლობელობაში მყოფი ან მის კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტებიდან გამოშვებულ სასათბურე გაზებს, ასევე იმ გაზებს, რომლებიც წარმოიქმნება გარეშე სამუშაოებიდან, რომლებზეც პროექტია დამოკიდებული, მათ შორის არაპირდაპირ ემისიას, რომელიც უკავშირდება ენერგიის გარე წარმოებას პროექტის ფარგლებში გამოსაყენებლად. პროექტის საზღვრების განმარტებაც ევრობანკისგან[7] არის შესაძლებელი. სასათბურე გაზების ემისიის[8] შეფასების პარამეტრების გამოანგარიშება და მონიტორინგი ყოველწლიურად მოხდება პროექტის ვადის მთელ პერიოდში.

19. ამასთანავე, კლიენტი ტექნიკურად, ფინანსური რენტაბელობისა და ეკონომიურობის კუთხით შეაფასებს ვარიანტებს ნახშირბადის ინტენსივობის შესამცირებლად პროექტის შემუშავებისა და ფუნქციონირების ეტაპზე და საჭირო ვარიანტებს დანერგავს.

---

[6] პროექტით გამოწვეული სასათბურე გაზების ემისიის მოცულობები განსხვავებულია წარმოების სხვადასხვა დარგის მიხედვით. სასათბურე გაზების ემისიის შესახებ ინსტრუქცია დაკავშირებულია სხვადასხვა სექტორში განხორციელებულ პროექტებთან და აღწერილია ევრობანკის სასათბურე გაზების ემისიის შეფასების მეთოდოლოგიაში, ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე მომუშავე კონსულტანტების ინსტრუქციაში *(GN0)*. სიდიდის ზღვარი წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნისთვის ზოგადად 100,000 ტონის CO2 ეკვივალენტია წელიწადში საკუთარი მოხმარებისთვის შესყიდულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი წყაროების ნაერთი ემისიისთვის. თუმცა ემისიის უფრო დაბალი ზღვრული დონე შეიძლება უპრიანი იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტის მიზანია დიდი გაუმჯობესების უზრუნველყოფა წარმოების ეფექტურობის კუთხით. კლიენტებს მოვუწოდებთ, ევრობანკისგან მიიღონ კონსულტაციები იმ შემთხვევებში, როდესაც საჭირო იქნება მონაცემების უზრუნველყოფა სასათბურე გაზების შეფასების მიზნით.

[7] ინსტრუქცია მონაცემთა მოთხოვნების შესახებ და პროექტის საზღვრების განსაზღვრების მიღება შესაძლებელია ევრობნკის შესაბამისად გარემოსდაცვითი აუდიტისა და შეფასების ოქმებიდან და სასათბურე გაზების ემისიის შეფასების მეთოდოლოგიიდან – ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე მომუშავე კონსულტაციების ინსტრუქციიდან *(GN1)*.

[8] მაგ. საწვავის ან ელექტროენერიის გამოყენების მოცულობა.

პესტიციდების გამოყენება და მართვა

20. პესტიციდების სამართავად კლიენტი შეიმუშავებს და განახორციელებს პესტიციდების და/ან ვექტორის ინტეგრირებული მართვის მიდგომებს. კლიენტის მიერ შემუშავებული ეს პროგრამები გაითვალისწინებს პესტიციდების და გარემოსდაცვითი ინფორმაციის კოორდინირებულ გამოყენებას, პესტიციდების არსებული კონტროლის მეთოდებთან ერთად, რაც გულისხმობს კულტურულ პრაქტიკას, ბიოლოგიურ, გენეტიკურ და ბოლო ინსტანციაში ქიმიურ საშუალებებს პესტიციდების ზიანის დაუშვებელი დონეების აღსაკვეთად. როდესაც პესტიციდების მართვის ქმედებები მოიცავს პესტიციდების გამოყენებას, კლიენტი შეეცდება, შეამციროს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე პესტიციდების ზემოქმედება, ხოლო უფრო ზოგადად – კლიენტი შეეცდება პესტიციდების უფრო მდგრადი გამოყენების მიღწევას და პესტიციდების რისკებისა და მათი გამოყენების საყოველთაო და მნიშვნელოვან შემცირებას მარცვლეულის აუცილებელი დაცვის შესაბამისად. პესტიციდების მდგრადი გამოყენება გულისხმობს:
    - პესტიციდების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას ან, სადაც ეს შესაძლებელია, გამორიცხვას,
    - პესტიციდების საზიანო ეფექტის, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის რისკის მინიმუმამდე დაყვანას,
    - საზიანო აქტიური ნივთიერებების დონის შემცირებას უფრო საშიში ალტერნატივების მეტად უსაფრთხოთი (და არაქიმიურით) ჩანაცვლებით,
    - ისეთი პესტიციდების შერჩევას, რომლებიც ნაკლებად ტოქსიკურია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ცნობილია სამიზნე სახეობებისთვის ეფექტურობით და მინიმალურ ეფექტს ახდენს არამიზნობრივ სახეობებსა და გარემოზე,
    - ნაკლები პესტიციდების ან უპესტიციდო მეურნეობების წარმოებას,
    - ბუნებრივი მტრებისადმი ზიანის მინიმუმამდე დაყვანას და პესტიციდებისადმი გამძლეობის გამომუშავების პრევენციას.

21. კლიენტი დაამუშავებს, შეინახავს, გამოიყენებს და გაანადგურებს პესტიციდებს მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად – სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ პესტიციდების განაწილებასა და გამოყენების შესახებ შემუშავებული საერთაშორისო ქცევის კოდექსის მსგავსად.

22. კლიენტი არ გამოიყენებს პროდუქტებს, რომლებიც ხვდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ზიანის კლასებით დახარისხებული პესტიციდების რეკომენდებული კლასიფიკაციის სისტემის Ia (უკიდურესად საზიანო) და Ib (ძალზე საზიანო), ან II კლასებში (საშუალოდ საზიანო), თუ პროექტის ფარგლებში მასპინძელ ქვეყანას არ გააჩნია შეზღუდვები ხსენებული ქიმიური ნივთიერებების განაწილებასა და გამოყენებაზე, ან თუ კომპანიის თანამშომლებს სათანადო ტრენინგის, აპარატურის, ასევე მოხმარების, შენახვის, გამოყენების და განადგურების სათანადო საშუალებების გარეშე ექნებათ მათი გამოყენების შესაძლებლობა.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 4:
ადგილობრივი თემების ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და დაცულობა

შესავალი

1. ევრობანკი აცნობიერებს, რომ საპროექტო საქმიანობას, აპარატურას და ინფრასტრუქტურას ხშირად მოაქვთ სარგებელი ადგილობრივი თემებისათვის დასაქმების, მომსახურებათა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების სახით. თუმცა პროექტებს ასევე შეუძლიათ გაზარდონ ადგილობრივი თემების შეხება ისეთ რისკებთან და ზემოქმედებასთან, რომლებიც წარმოქმნილია მოსახლეობის დროებითი ან მუდმივი ცვლილებების, ნედლი და მზა მასალების ტრანსპორტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციიდან ამოღების, სტრუქტურული ხარვეზებისა და საზიანო მასალების გაფრქვევის შედეგად.

2. ადგილობრივ თემებზე შეიძლება ასევე გავლენა იქონიოს ზემოქმედებამ მათ ბუნებრივ რესურსებზე, დაავადებებმა და უშიშროების კადრებთან შეხებამ. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფაზე, თუმცა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნით რეგულირდება კლიენტის პასუხისმგებლობა ადგილობრივი თემების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და დაცულობაზე პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი რისკებისა და საზიანო ზემოქმედების გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად.

3. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში ჩამოყალიბებული რისკების და ზემოქმედების დონე შესაძლოა უფრო მაღალი იყოს კონფლიქტურ ან პოსტკონფლიქტურ ზონებში წარმოებული პროექტების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ან ადამიანური გარემოებებით განპირობებულ (მაგალითად, სეისმური ზონები, მეწყრები) ადგილებში.

მიზნები

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შემდეგ მიზნებს ემსახურება:
   - პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში რუტინული და არარუტინული გარემოებებით ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის მიყენებული რისკებისა და ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა,
   - პროექტთან დაკავშირებული კადრებისა და ქონების დაცვის უზრუნველყოფა კანონიერი გზით, რომლითაც გამოირიცხება ან მინიმუმამდე შემცირდება ადგილობრივი თემებისათვის უსაფრთხოებასთან და დაცულობასთან დაკავშირებული რისკი.

გამოყენების მასშტაბი

5. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება ევრობანკის მიერ განისაზღვრება გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში. შესაბამისად, ევრობანკი კლიენტთან შეთანხმდება ამ სამოქმედო მოთხოვნის პირობების დაკმაყოფილების და მართვის ფარგლებში კლიენტის საერთო გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაზე

და/ან მართვის სისტემაზე. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის მოთხოვნები ჩამოყალიბებულია პირველ და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

6. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა არეგულირებს საპროექტო ღონისძიებებთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემებისთვის პოტენციურ რისკებსა და ზემოქმედებას, მათ შორის მშენებლობის, საქმიანობის დაწყების, ექსპლუატაციის და ექსპლუატაციიდან ამოღების ეტაპებზე. აღსანიშნავია, რომ პოტენციური ზემოქმედება შეიძლება განსხვავდებოდეს პროექტის ყველა ცალკეულ ეტაპზე. საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები ჩამოყალიბებულია მე-2 სამოქმედო მოთხოვნაში, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ბუნების დაბინძურების პრევენციის დეტალური მოთხოვნები – მე-3 სამოქმედო მოთხოვნაში.

მოთხოვნები

ადგილობრივი თემების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები

ზოგადი მოთხოვნები

7. კლიენტი გამოავლენს და შეაფასებს პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე რისკებსა და პოტენციურ ზემოქმედებას პროექტის შემუშავების, მშენებლობის, ექსპლუატაციის და ექსპლუატაციიდან ამოღების ეტაპებზე. კლიენტი ასევე დანერგავს პრევენციულ ზომებს და გეგმებს გამოვლენილი რისკებისა და ზემოქმედების სათანადოდ მოგვარებისათვის. ხსენებული ზომებით უპირატესობა მიენიჭება რისკებისა და სხვადასხა სახის ზემოქმედების პრევენციასა და თავიდან აცილებას და არა მათ მინიმუმამდე დაყვანას და შემცირებას.

8. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტი ან პროექტის ეტაპი მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს ან პოტენციურ საზიანო გავლენას უქმნის პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, კლიენტი პროექტთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას გაუზიარებს ადგილობრივ თემებს და სამთავრობო დაწესებულებებს, რათა მათ კარგად გააცნობიერონ ეს რისკის ფაქტორები და პოტენციური ზემოქმედება, კლიენტის მიერ შემოთავაზებული პრევენციული, შემსუბუქებისა და საგანგებო რეაგირების ზომები. კლიენტი კონსულტაციებს გაივლის პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებთან და შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან შეთავაზებული ზომების შესახებ, სანამ ეს ზომები საბოლოო სახეს მიიღებს, და გაითვალისწინებს მათ შენიშვნებს. კლიენტი რეგულარულად განიხილავს ზომებს და ადგილობრივ თემებსა და დაწესებულებებს სისტემატურად ჩართავს პროცესში და მიაწვდის ინფორმაციას ხსენებული გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების სტატუსისა და შედეგების შესახებ, ასევე განიხილავს მათთან ერთად გეგმებში შესატან ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას ამ ცვლილების განხორციელებამდე. გასაცემი ინფორმაცია შეიძლება შეჯამდეს (საკმარისი დეტალურობით, რათა დაინტერესებულ წრეებს მიეცეთ რისკების, პოტენციური ზემოქმედებისა და განსახორციელებელი ზომების სრული გათვითცნობიერების საშუალება) და/ან რედაქტირებული იქნეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით.

9. კლიენტი ევრობანკს სისტემატურად (მაგალითად, ყოველწლიურად) წარუდგენს ანგარიშს პროექტის რისკებზე, პოტენციურ ზემოქმედებასა და სარგებელზე, ასევე ნებისმიერი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, ანგარიშს წარუდგენს, აგრეთვე, პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებს დაინტერესებული წრეების წინაშე ანგარიშგების პირობის შემცველი მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

ინფრასტრუქტურისა და აპარატურის უსაფრთხოება

10. კლიენტი შექმნის, ააშენებს, ექსპლუატაციას გაუწევს და ექსპლუატაციიდან ამოიღებს პროექტის სტრუქტურულ ელემენტებს ან კომპონენტებს მიღებული საერთაშორისო საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად. ამ პროცესში კლიენტი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ბუნებრივი საზიანო გარემოებების პოტენციურ გამოვლინებებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ხსენებული სტრუქტურული ელემენტები პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების ხელმისაწვდომობის ზონაში იმყოფება ან როდესაც კლიენტის მიერ დასახული გეგმების განუხორციელებლობა პირდაპირ ან ირიბად დააზიანებს ადგილობრივ თემებს. სტრუქტურული ელემენტები შეიქმნება და აშენდება კვალიფიციური და გამოცდილი პროფესიონალების, კომპეტენტური ორგანოების ან პროფესიონალების მიერ სერტიფიცირებული ან დამტკიცებული სპეციალისტების მიერ.

11. როდესაც სტრუქტურული ელემენტები ან კომპონენტები – მაგალითად, კაშხლები, ნაგვის ჩასამარხი ან ფერფლის შესაგროვებელი ადგილები მდებარეობენ მაღალი რისკის შემცველ ადგილებში და მათი მწყობრიდან გამოსვლა ან არასწორი ექსპლუატაცია შეიძლება ადგილობრივი თემებისთვის საშიშროებას გულისხმობდეს, კლიენტი მსგავს პროექტებში დააკავებს ერთ ან მეტ კვალიფიციურ ექსპერტს შესაბამისი და აღიარებული გამოცდილებით – იმ სპეციალისტების გარდა, ვინც პროექტის შექმნასა და მშენებლობაზე მუშაობენ, პროექტის შემუშავების ადრეულ დონეზე, ასევე პროექტის შემუშავების, მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების მთელ პერიოდში მიმოხილვის ჩასატარებლად. იმ პროექტებისთვის, რომლებიც გულისხმობს მოძრავი აპარატურის გამოყენებას საზოგადოებრივ გზებზე და სხვა ფორმის ინფრასტრუქტურაში, კლიენტი შეეცდება, ხსენებული აპარატურის გამოყენებასთან დაკავშირებული ინციდენტების და უბედური შემთხვევების პრევენციული ზომები მიიღოს.

საზიანო მასალების უსაფრთხოება

12. კლიენტი აღკვეთს ან მინიმუმამდე დაიყვანს ადგილობრივი თემების პოტენციურ შეხებას საზიანო მასალებთან, რომლებიც პროექტის ფარგლებში შეიძლება იქნეს ბუნებაში გაბნეული. თუ არსებობს ადგილობრივი თემების (მათ შორის მუშა-მოსამსახურეების და მათი ოჯახების) სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საზიანო მასალებთან შეხების ალბათობა, კლიენტი გამოიყენებს სპეციალურ ზომებს მათი შეხების თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად ზიანის გამომწვევი გარემოებების ან ნივთიერებების მოდიფიცირებით, ჩანაცვლებით ან გამორიცხვით.

13. თუ საზიანო მასალები პროექტის არსებული ინფრასტრუქტურის ან კომპონენტების ნაწილია, კლიენტი გამოიყენებს სპეციალურ ზომებს

საწყისი ან ექსპლუატაციიდან ამოღების საქმიანობის განხორციელებისას, რათა ადგილობრივ თემებთან მათი შეხება აღკვეთილი იქნეს. კლიენტი ურთიერთობას იქონიებს კომპეტენტურ ორგანოებთან არსებული ინფორმაციის მისაღებად ისეთ მასალებთან შეხების დონეებზე, რომლებიც იწვევს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა სიმსივნე ან ფილტვების დაავადებები.

14. ამასთანავე, კლიენტი გამოიყენებს კომერციულად გამართლებულ ზომებს ნედლი მასალების ტრანსპორტირების, ნარჩენების ტრანსპორტირებისა და განკარგვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კლიენტი ასევე განახორციელებს ზომებს ადგილობრივი თემების ზემოხსენებულ მასალებთან და ნარჩენებთან შეხების თავიდან ასაცილებლად ან გასაკონტროლებლად. ინფორმაცია რისკების, მოსახლეობასთან შეხების, შემცირების ზომებისა და მონიტორინგის შესახებ წარედგინება შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს და ეცნობება საზოგადოებას.

გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების საკითხები

15. კლიენტი აღკვეთს და თავიდან აიცილებს ან მინიმუმამდე დაიყვანს ისეთი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული საზიანო ზემოქმედების დამძიმებას, როგორც არის მეწყრები ან წყალდიდობები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იქნეს პროექტის ფარგლებში მიწის გამოყენების რეჟიმის ცვლილებებით.

16. კლიენტი ასევე აიცილებს თავიდან ან მინიმუმამდე დაიყვანს პროექტის ფარგლებში წარმოქმნილ საზიანო ზემოქმედებას ჰაერზე, ნიადაგზე, წყალზე, მცენარეებზე, ფაუნასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების მიერ გამოყენებისას.

ადგილობრივი თემების დაავადებების ალბათობა

17. კლიენტი გამოავლენს იმ გადამდებ დაავადებებს, რომელთა გავრცელება შესაძლებელია პროექტის კომპონენტების ან მუშახელის (მათ შორის კონტრაქტორების) საშუალებით. უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა პროექტის ფარგლებში ინფექციურ და სხვა გადამდებ დაავადებებთან კომპანიის თანამშრომლებისა და ადგილობრივი თემების პოტენციური შეხების აღკვეთის ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. თუ კონკრეტული დაავადებები ენდემურია, საპროექტო სამუშაოების გავლენის ქვეშ მყოფ ადგილობრივ თემებში კლიენტს მოეთხოვება, პროექტის განხორციელების პერიოდში გამოავლინოს შესაძლებლობები გარემოსდაცვითი პირობების გასაუმჯობესებლად, რაც მათი წარმოქმნის ალბათობის შემცირებას შეუწყობს ხელს ადგილობრივად და მუშა-მოსამსახურეებს შორის.

საგანგებო მდგომარეობებში მზაობა და რეაგირება

18. კლიენტი მზად იქნება, რეაგირება მოახდინოს პროცესის გაუარესების, საავარიო და საგანგებო მდგომარეობებში სამოქმედო რისკების შესაბამისად და პოტენციურად ნეგატიური შედეგების აღსაკვეთად.

19. კლიენტის მიერ საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის, უსაფრთხოებისა და დაცულობისთვის არსებული რისკების, ასევე პროექტის ფარგლებში გამოწვეული პოტენციური ზემოქმედების შეფასებისას (იხილეთ მე-7 პუნქტი ზემოთ) კლიენტი გამოავლენს მნიშვნელოვანი საავარიო გარემოებებით

წარმოქმნილ ზიანს და ყველა აუცილებელ ზომას მიიღებს მსხვილი ავარიების აღსაკვეთად და ადამიანებსა და გარემოზე მათი შედეგების შესამცირებლად. ამის გაკეთება კლიენტს შეეძლება თანმიმდევრული და ეფექტური წესით ადამიანებისა და გარემოს დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფით. ხსენებული ზომები გამოვლენილი იქნება მნიშვნელოვან საავარიო და საგანგებო მდომარეობებში მზაობის პოლიტიკაში და შესაბამისი მართვის სისტემაში, სადაც გაწერილი იქნება საორგანიზაციო სტრუქტურა, პასუხისმგებლობები, პროცედურები, კომუნიკაცია, ტრენინგი, რესურსები და სხვა ასპექტები ხსენებული პოლიტიკის განხორციელების და პროექტის ფარგლებში საზიანო გამოვლინებებთან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციაში ეფექტური რეაგირების მიზნით. მართვის სისტემა გააერთიანებს შიდა და გარე საგანგებო გეგმებს. გარე საგანგებო გეგმები შემდეგ მიზნებზე იქნება დაფუძნებული:

- ინციდენტების შეკავება და გაკონტროლება მათი ეფექტის მინიმუმამდე დაყვანის, ასევე ადამიანებზე, ბუნებასა და ქონებაზე ზიანის შეზღუდვის მიზნით,
- აუცილებელი ზომების განხორციელება მნიშვნელოვანი ინციდენტების ეფექტისგან ადამიანებისა და ბუნების დასაცავად,
- საჭირო ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი საზოგადოებისათვის, საგანგებო სიტუაციების სამსახურების ან სახელმწიფო ორგანოებისათვის,
- მნიშვნელოვანი ინციდენტის შემდეგ გარემოს აღდგენა და გაწმენდა.

20. კლიენტი დაეხმარება და ითანამშრომლებს ადგილობრივ თემებთან და ხელისუფლების ორგანოებთან საგანგებო სიტუაციებში ეფექტური რეაგირებისთვის მომზადებაში, განსაკუთრებით, როდესაც მათი მონაწილეობა და თანამშრომლობა აუცილებელია ხსენებულ სიტუაციებში. თუ ადგილობრივ დაწესებულებებს მწირი ან არანაირი შესაძლებლობები არა აქვთ ეფექტური რეაგირებისთვის, კლიენტი აქტიურ როლს ითამაშებს პროექტთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციებისთვის მომზადებასა და რეაგირებაში და მოახდენს გონივრულად პროგნოზირებად ინციდენტებში სიტუაციის პირდაპირ ან არაპირდაპირ მართვის შესაძლებლობის (მაგალითად, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ჯგუფების, დაქირავებული მესამე მხარის ან დაზღვევის დახმარებით) დემონსტრირებას. კლიენტი დოკუმენტურად აღრიცხავს მის მზაობას საგანგებო სიტუაციებისადმი და რეაგირების ქმედებებს, რესურსებსა და პასუხისმგებლობებს. გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ან სხვა შესაბამის დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციას კლიენტი გაუზიარებს პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებს და შესაბამის სამთავრობო ორგანოებს, მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად. საგანგებო სიტუაციებში პრევენციისა და რეაგირების გეგმის ნაწილის სახით კლიენტი პროექტთან პოტენციურად შეხებაში მყოფ თემებს შეატყობინებს მნიშვნელოვანი ზიანის შესახებ და რეაგირების გეგმებს შეაჯამებს კულტურული თვალსაზრისით მისაღები ფორმით.

21. კლიენტი გამოცდის პრევენციისა და რეაგირების გეგმებს დარგისა და პროექტთან დაკავშირებული რისკების შესატყვისი გრაფიკით, მაგრამ სულ მცირე წელიწადში ერთხელ. კლიენტი სისტემატურად მიაწვდის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და თემებს განახლებულ ინფორმაციას ხსენებული გეგმების ცვლილების და ტესტირების საჭიროების შესახებ.

22. რეალური საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში კლიენტი მჭიდრო ურთიერთობას შეინარჩუნებს შესაბამის საგანგებო რეაგირების სამსახურებთან, ხელისუფლებასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და ადგილობრივ თემებთან სიტუაციის, რეაგირების ზომებისა და სამომავლოდ ინციდენტების პრევენციის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან დაკავშირებული მოთხოვნები

23. იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტი პირდაპირ იყვანს თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს მისი თანამშრომლებისა და ქონების დასაცავად, ის თავად მოახდენს რისკების შეფასებას პროექტის საზღვრებს და ობიექტებს შიგნით და გარეთ მყოფი ადამიანებისთვის. ასეთი ღონისძიებების გატარებისას კლიენტი იხელმძღვანელებს პროპორციულობისა და მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპებით აღნიშნულ თანამშრომელთა დაქირავების, მუშაობის წესების, ტრენინგების, აღჭურვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით[1], და მოქმედი კანონმდებლობით. კლიენტი მოიძიებს ინფორმაციას საკუთარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად დაცვის სამსახურის კადრებზე, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი წარსულში არ ყოფილან შემჩნეულნი არამართლზომიერ ქმედებებში, რომ ისინი ადეკვატურად ფლობენ ძალის გამოყენების ტექნიკას (საჭიროების შემთხვევაში ცეცხლსასროლ იარაღს), ნორმალურად ექცევიან თანამშრომლებს და ადგილობრივ მოსახლეობას, განუხრელად იცავენ მოქმედ კანონმდებლობას. კლიენტი არ მოახდენს ძალის გამოყენების სანქცირებას, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ძალის გამოყენება ხდება პრევენციული და თავდაცვის მიზნით საშიშროების ხასიათისა და მასშტაბის პროპორციულად. მე-10 და მე-2 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად დაარსებული კლიენტის გასაჩივრების მექანიზმები ისე იქნება შემუშავებული, რომ საშუალება მისცეს პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებსა და თანამშრომლებს, გამოხატონ საკუთარი პრობლემები და უკმაყოფილება უსაფრთხოების მექანიზმების და დაცვის თანამშრომლების საქმიანობის მიმართ. ამ მიზნით კლიენტი ადგილობრივ მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას შესაბამისი მექანიზმების არსებობისა და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

24. თუ კლიენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მთავრობის საუწყებო დაცვის სამსახური გამოიყენება, კლიენტი შეაფასებს ასეთი მომსახურებიდან გამომდინარე რისკს, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აცნობებს, რომ დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა უნდა იმოქმედონ ზემოთ მოყვანილი 23-ე პუნქტის შესაბამისად, და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, აცნობონ საზოგადოებას ინფორმაცია კლიენტის ობიექტების უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ, უსაფრთხოების პირობების დაცვით.

25. კლიენტი გამოიკვლევს ნებისმიერ ბრალდებას დაცვის სამსახურის უკანონო ან გადამეტებული ქმედებების შესახებ, მიიღებს შესაბამის ზომებს (ან შესაბამის ორგანოებს მოსთხოვს რეაგირებას) მსგავსი ქმედებების განმეორების აღკვეთის და უკანონო და გადაჭარბებული ქმედებების შესახებ სახელმწიფო ორგანოებისადმი ანგარიშგების მიზნით.

---

[1] მაგ. უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპები, http://www.voluntaryprinciples.org/principles/

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 5:
მიწის შეძენა, არანებაყოფლობითი გადასახლება და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა

შესავალი

1. არანებაყოფლობითი გადასახლება გულისხმობს როგორც ფიზიკურ გადაადგილებას (გადაბარგებას ან თავშესაფრის დაკარგვას), ასევე ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (თავად აქტივების ან მათზე დაშვების უფლების დაკარგვას, რაც იწვევს შემოსავლების წყაროს და საარსებო საშუალების დაკარგვას) პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვის[1] მიზეზით ან ბუნებრივ რესურსებზე[2] დაშვების უფლების შეზღუდვით.

2. გადასახლება მიიჩნევა არანებაყოფლობით განხორციელებულად, თუ კონკრეტული ადამიანები ან ადგილობრივი თემები არ ფლობენ მიწის შესყიდვის შეწინააღმდეგების უფლებას და იძულებულნი არიან, გადასახლდნენ. ეს პირობა წარმოიქმნება შემდეგ შემთხვევებში: (ა) კანონიერი ექსპროპრიაცია ან მიწით სარგებლობის უფლების შეზღუდვა ნათლად გამოკვეთილ საფუძველზე[3], (ბ) მოლაპარაკების შემდგომი განსახლება, რომლის ფარგლებშიც მიწის ნაკვეთის მყიდველს შეუძლია მიწის ექსპროპრიაცის საფუძველზე ან იურიდიული შეზღუდვების დაწესებით დაიტოვოს მფლობელობის უფლება, თუ გამყიდველთან მოლაპარაკება წარუმატებლად ჩაივლის.

3. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება ავსებს და შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, კონკრეტულად – ადეკვატური საცხოვრისით უზრუნველყოფის და საარსებო პირობების[4] განგრძობადი გაუმჯობესების უფლებას. თუ გადასახლება ევრობანკის მონაწილეობამდე კონფლიქტით იყო განპირობებული, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნით ხდება შიდა განსახლების სახელმძღვანელო პრინციპების[5] გამოყენების შევსება.

4. თუ სწორედ არ მოხდება პროცესის მართვა, არანებაყოფლობითმა გადასახლებამ შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების და ადგილობრივი თემების ხანგრძლივი სიდუხჭირე და სიღარიბე, ასევე გარემოს დაზიანება და გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება იმ ადგილებში, სადაც ისინი გადასახლდნენ. გარკვეულ პირობებში ცუდად განხორციელებულმა არანებაყოფლობითმა

---

[1] მიწის შესყიდვა გულისხმობს პირდაპირ ქონების, დაშვების უფლების და/ან სერვიტუტის უფლების შესყიდვას.

[2] ამის მაგალითებია სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ნიადაგქვეშა მინერალურ რესურსებზე მეშახტეების მიერ დაშვების უფლების დაკარგვა, საზღვაო წყლებში მეთევზეების მიერ დაშვების უფლების დაკარგვა საპროექტო საქმიანობის შედეგად, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ აკრძალულ ზონებში განთავსებულ რესურსებზე დაშვების უფლების შეზღუდვა, აშკარად გამოკვეთილი შემცირება სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის, მეტყევეობის, ნადირობის და თევზაობის ტერიტორიებზე პროექტთან დაკავშირებული საქმიანობით შეზღუდვის და/ან ბუნების დაბინძურების მიზეზით.

[3] ასეთი შეზღუდვები შეიძლება მოიცავდეს იურიდიულად განსაზღვრულ, ბუნების კონსერვაციის ტერიტორიებზე შეზღუდული დაშვების უფლებას.

[4] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1966).

[5] ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ოფისი: შიდა განსახლების სახელმძღვანელო პრინციპები.

გადასახლებამ კლიენტებს შეიძლება დაუტოვოს იურიდიული სარჩელები სხვა იურისდიქციაში. ეს პირობა განსაკუთრებით შეეხება ისეთ გარემოებებს, როდესაც პროექტის განხორციელების იურისდიქციაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციების თანახმად სრულ იურიდიულ მომსახურებასა და პროცედურებზე დაშვების უფლება შეზღუდული აქვთ იძულებით ადგილნაცვალ პირებს. ამ მიზეზით არანებაყოფლობითი გადასახლება თავიდან უნდა იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი მაინც. თუმცა, თუ ამ ქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, შესაბამისი ზომები გულდასმით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ადგილნაცვალ პირებზე და მასპინძელ თემებზე[6] საზიანო ზემოქმედების შესამსუბუქებლად. გამოცდილებით დასტურდება, რომ კლიენტის უშუალო მონაწილეობამ განსახლების პროცესში და შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე შეფასებაში შეიძლება იქონიოს ეკონომიური, ეფექტური და დაგეგმილი ქმედებების დროული განხორციელების შედეგი. ამგვარად მოხდება ასევე გადასახლებული მოსახლეობის საარსებო პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისადმი ინოვაციური მიდგომების სტიმულირება.

5. გადასახლება მოლაპარაკების საფუძველზე განაპირობებს მფლობელობის უფლების ჩამორთმევის თავიდან აცილებას და გამორიცხავს სამთავრობო უფლებამოსილების გამოყენების აუცილებლობას ადამიანების ძალისმიერი გზით გადასახლების სანაცვლოდ. მოლაპარაკების საფუძველზე გადასახლება შეიძლება, ჩვეულებრივ, მიღწეული იქნეს კონკრეტული ადამიანებისა და ადგილობრივი თემებისათვის სამართლიანი და შესაბამისი კომპენსაციების და სხვა მასტიმულირებელი სარგებლის დარიგებით, ასევე ინფორმაციის ასიმეტრიულობის რისკის შემსუბუქებით და შევაჭრების ძალით. ამიტომ კლიენტებს მოეთხოვებათ მიწის მფლობელობის უფლების მიღება მოლაპარაკების საფუძველზე, მაშინაც კი, როდესაც მათ იურიდიული უფლება გააჩნიათ, გამყიდველის თანხმობის გარეშე მოიპოვონ მიწის მონაკვეთზე დაშვების უფლება.

მიზნები

6. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შემდეგ მიზნებს ემსახურება:
   - არანებაყოფლობითი გადასახლება შეძლებისდაგვარად თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი[7] მაინც პროექტის ფარგლებში ალტერნატიული შესაძლებლობების გამოვლენით,
   - მიწის შესყიდვის, პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანებისათვის მიწაზე დაშვების უფლების შეზღუდვის შედეგად წარმოქმნილი საზიანო სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შემსუბუქება შემდეგი მექანიზმების საშუალებით: (ა) კომპენსაციის დარიგება დაკარგული აქტივებისთვის მათი გამოცვლის ფასად[8], (ბ) გადასახლების პროცესის

[6] მასპინძელი თემია ის მოსახლეობა, ვინც ადგილზე ხვდება გადმოსახლებულ ადამიანებს.

[7] გარდა შემთხვევებისა, როდესაც ევრობანკის მოსაზრებით, ამით მოხდება პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხელყოფა.

[8] ეს, ჩვეულებრივ, გამოითვლება აქტივის საბაზრო ღირებულებით, რომელსაც ემატება ამ აქტივის აღდგენასთან დაკავშირებული გარიგების ხარჯები. გამოცვლის ხარჯების გამოთვლა რთულია, რადგან წევრ ქვეყნებში პოტენციურად განსხვავებული მიწის, მიწის გამოყენებაზე მომჩივანის და მიწის ბაზრის განვითარების განსხვავებული დონეები არსებობს. ამ მიზეზით კლიენტებმა უნდა გამოავლინონ და კონსულტაციები აწარმოონ ყველა იმ ადამიანთან და ადგილობრივ თემთან, რომლებიც გადასახლებას ექვემდებარებიან, ასევე მასპინძელ თემებთან, რომლებიც დახვდებიან

განხორციელება პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანებისა და ადგილობრივი თემებისათვის ინფორმაციის გაცემის, კონსულტაციების და ინფორმირებული მონაწილეობის უზრუნველყოფით,

- ადგილნაცვალი ადამიანების[9] საარსებო პირობების და სტანდარტების გაუმჯობესება ან მინიმუმ – აღდგენა პროექტამდელ დონემდე, იმ ზომების გამოყენებით, რომლებიც შეიძლება მიწას უკავშირდებოდეს, ხელფასებზე და/ან საწარმოსთან იყოს დაკავშირებული, რათა მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მდგრადი გაუმჯობესება იქნეს სტიმულირებული,
- ადგილნაცვალი ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ადეკვატური საცხოვრებლის[10] უზრუნველყოფით ახალ ადგილას საცხოვრებელზე გარანტირებული უფლებით[11].

გამოყენების მასშტაბი

7. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შეეხება ფიზიკურ ან ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას, რაც შეიძლება იყოს სრული, ნაწილობრივი, მუდმივი ან დროებითი შემდეგი გარიგებების სახეობებიდან გამომდინარე:
   - მიწის ფლობის უფლებები პროექტისათვის, რომლებიც მიღებული იქნა ექსპროპრიაციის ან სხვა სავალდებულო პროცედურების საშუალებით,
   - მიწის ფლობის უფლებები პროექტისათვის, რომლებიც მიღებული იქნა გადასახლების საკითხზე ქონების მფლობელებთან და მიწაზე ჩვეულებრივი ან ტრადიციული, ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული ან აღიარებადი იურიდიული უფლების მქონე პირებთან მოლაპარაკების შედეგად, თუ ექსპროპრიაცია ან სხვა სავალდებულო პროცესი მოლაპარაკების ჩაშლას გამოიწვევდა[12],

---

გადაბარგებულ ადამიანებს. ეს საჭიროა მიწის მფლობელობაზე, ვალდებულებებზე და გამოყენებაზე ადეკვატური ინფორმაციის მისაღებად. შეფასების ამ მეთოდის გამოყენებისას გათვალისწინებული არ უნდა იყოს კონსტრუქციებისა და აქტივების ცვეთა. იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზეა, კლიენტებმა შეფასება უნდა დაუკვეთონ გარეშე დამოუკიდებელ პროფესიონალ შემფასებლებს/ექსპერტებს (თუ ასეთები არ არსებობენ – ევრობანკისა და კლიენტისთვის მისაღებ სხვა პროფესიონალებს შესაბამისი გამოცდილებით). იხილეთ ასევე მე-17 სქოლიო.

[9] ეს შეიძლება მოიცავდეს იმ ადამიანებს, ვისაც იურიდიულად აღიარებული უფლებები ან პრეტენზია გააჩნიათ მიწაზე, მათ, ვისაც ჩვეულებრივი პრეტენზია აქვთ მიწაზე, რესურსების სეზონურ მომხმარებლებს (მწყემსები, მეთევზეები, მონადირეები და შემკრებები), რომლებსაც ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნიათ პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრებ თემებთან.

[10] ადეკვატური საცხოვრებელი ადგილი ან თავშესაფარი შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივად, უსაფრთხოების, ხელმისაწვდომობის, საცხოვრებელი ვითარების, კულტურული შესაბამისობის, წვდომის და ადგილმდებარეობის მახასიათებლებით. ადეკვატური დაბინავება უნდა გულისმობდეს დასაქმების ვარიანტების არსებობას, ბაზრების და საბაზისო ინფრასტრუქტურისა და ისეთი მომსახურებების ჩათვლით, როგორიც არის წყალმომარაგება, ელექტროენერგია, კანალიზაცია, ჯანდაცვა და განათლება. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა იძლევა ადეკვატური დაბინავების და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საშუალებას ახალ ადგილას გადასახლებული ადამიანებისთვის. კლიენტებმა ამ პუნქტის ერთი ან მეტი ასპექტი უნდა გაითვალისწინონ ადეკვატური დაბინავების უზრუნველსაყოფად, რათა გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები შესთავაზონ ახალ ადგილას გადასულ ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც იურიდიულად აღიარებული უფლებები ან პრეტენზია არ გააჩნიათ დაკავებულ მიწებზე.

[11] გადასახლების ადგილი გარანტირებული საცხოვრებლით უზრუნველყოფს ადამიანებს, თუ ის მაქსიმალურად იცავს გადასახლებულ ადამიანს ძალისმიერი გასახლებისაგან.

[12] ეს მოლაპარაკებები შეიძლება განხორციელდეს მიწის შემსყიდველი კერძო კომპანიის ან ასეთი კომპანიის აგენტის მიერ. კერძო სექტორის პროექტების შემთხვევაში, სადაც მთავრობები

- შეზღუდვების დაწესება, რომლებიც წარმოქმნილია ფიზიკური აქტივების ან ბუნებრივი რესურსების წვდომის დაკარგვის შედეგად, მიუხედავად იმისა, ეს შეზღუდვის უფლებები მიღებულია მოლაპარაკების, ექსპროპრიაციის, სავალდებულო შესყიდვის თუ სამთავრობო რეგულირების გზით,

8. დაკავებულ მიწაზე იურიდიულად აღიარებული უფლების ან პრეტენზიის არმქონე ადგილნაცვალი ადამიანების მოთხოვნები და პასუხისმგებლობა ჩამოყალიბებულია 31-ე, 36-ე და 39-ე პუნქტებში.

9. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა არ შეეხება მიწის ნაკვეთებზე ნებაყოფლობითი გარიგებების შედეგად გადასახლებას (ე.ი. საბაზრო გარიგებები, რომელთა ფარგლებშიც გამყიდველი არ არის ვალდებული, გაყიდოს, ხოლო მყიდველი ვერ მოახდენს ნაკვეთის ექსპროპრიაციას ან სხვა სავალლდებულო პროცედურას, თუ მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდება).

10. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება განისაზღვრება ევრობანკის მიერ მე-7 და მე-9 პუნქტებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელება იმართება კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის და/ან მართვის სისტემის თანახმად. იმ შემთხვევებში, როდესაც არანებაყოფლობითი გადასახლება პროექტში ევრობანკის მონაწილეობამდე განხორციელდა, ჩატარდება დეტალური შესწავლა, რათა იდენტიფიცირებული იქნეს: (ა) ნებისმიერი ნაკლოვანებები, (ბ) გამოსასწორებელი ქმედებები, რომლებიც საჭიროა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შემდეგ მოხდება შეთანხმება სამოქმედო გეგმაზე. გადასახლების პროცესის შეფასება და მართვა გაწერილია წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის მოთხოვნები ჩამოყალიბებულია პირველ და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

მოთხოვნები

ზოგადი მოთხოვნები

პროექტის შემუშავების ეტაპი

11. კლიენტი გაითვალისწინებს რეალურ ალტერნატიულ საპროექტო სქემებს ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადასახლების თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად მაინც, იმავდროულად გარემოსდაცვითი, სოციალური და ფინანსური ხარჯებისა და სარგებლის დაბალანსებით.

კონსულტაციები

12. ყველა შესაბამისი ინფორმაციის გაცემის შემდეგ კლიენტი კონსულტაციებს გამართავს პროექტთან შეხებაში მყოფ ადამიანებთან და თემებთან, მათ შორის მასპინძელ თემებთან, და ხელს შეუწყობს მათ ადრეულ და

ღებულობენ მიწაზე უფლებას, მოლაპარაკება შეიძლება განხორციელდეს მთავრობის ან კერძო კომპანიის მიერ, რომელსაც მთავრობის აგენტის სტატუსი ენიჭება.

ინფორმირებულ მონაწილეობას გადასახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

- პროექტთან შეხებაში მყოფ ადამიანებს[13] მიეცემათ საკომპენსაციო პაკეტებზე, შესაბამისობის კრიტერიუმებზე, გადასახლების პროცესში დახმარებებზე, ადგილის შესაფერისობასა და შემოთავაზებულ ვადებზე მოლაპარაკებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.
- სპეციალური პირობები შეეხება კონსულტაციებს ძირძველ მოსახლეობასთან (იხილეთ მე-7 სამოქმედო მოთხოვნა) და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯგუფებთან[14].
- კონსულტაციები გაგრძელდება საკომპენსაციო თანხების დარიგებისა და გადასახლების პროცესის განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ეტაპებზე, რათა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნების შესაფერისი შედეგები იქნეს მიღებული.

გასაჩივრების მექანიზმი

13. კლიენტის მიერ მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად ჩამოსაყალიბებელი გასაჩივრების მექანიზმი პროცესის ადრეულ ეტაპზე უნდა შეიქმნას, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის თანახმად, რათა დროულად იქნეს მიღებული და მოგვარებული კონკრეტული საკითხები კომპენსაციებისა და გადაბარგების შესახებ ადგილნაცვალი პირების და/ან მასპინძელი თემის წევრებისგან. ხსენებული მექანიზმი უნდა მოიცავდეს დავების გადაჭრის საშუალებას საკითხების მიუკერძოებლად მოსაგვარებლად. შემოსული საჩივრების მოკლე ანოტაცია და მათ გადასაჭრელად მიღებული ზომები რეგულარულად უნდა ეცნობებოდეს საზოგადოებას მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად.

გადასახლების დაგეგმვა და განხორციელება

14. იმ შემთხვევებში, სადაც არანებაყოფლობითი გადასახლება გარდაუვალია, კლიენტი დაიქირავებს კვალიფიციურ სპეციალისტებს წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის და სოციალურ-ეკონომიკური საბაზისო შეფასების ჩატარების, ასევე გადასახლების

[13] მოიცავს ადამიანებს, რომლებიც შეიძლება ფიზიკურად ადგილზე არ იყვნენ ადრინდელი ან ამჟამინელი კონფლიქტის გამო.

[14] სოციალურად დაუცველი ან რისკის წინაშე მყოფი ადამიანთა ჯგუფები მოიცავენ ადამიანებს, რომლებიც სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, ფიზიკური ან გონებრივი უნარშეზღუდულობის, ეკონომიკური სიდუხჭირის ან სოციალური სტატუსის გამო შეიძლება სხვებთან შედარებით უფრო მეტი ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ გადასახლების პროცესის შედეგად და შეიძლება უფრო შეზღუდულნი აღმოჩდნენ გადასახლების დახმარების ან განვითარებაზე ორიენტირებული შემწეობების მოთხოვნის ან მიღებისას. სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯგუფები გადასახლების კონტექსტში ასევე გულისხმობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, სამოსახლოს გარეშე მყოფ და ხანდაზმულ ადამიანებს, ოჯახებს დედებითა და ბავშვებით (მარჩენალდაკარგულ ოჯახებს), ეთნიკურ უმცირესობებს, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ თემებს ან სხვა ადგილნაცვალ ადამიანებს, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ დაცულნი ეროვნული მიწის კომპენსაციის და საკარმიდამო მიწების განაწილების კანონმდებლობის ფარგლებში. ეს ჯგუფები გამოვლენილნი უნდა იყვნენ გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ფარგლებში (იხილეთ პირველი სამოქმედო მოთხოვნა). ამ ადამიანების შინაარსობრივი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გადასახლების დაგეგმვის პროცესში და განვითარების შესაძლებლობების სარგებლის მისაღებად შეიძლება საჭირო გახდეს განსაკუთრებული ზომები – კონსულტაციები და განვითარებაზე ორიენტირებული შემწეობები,. სოციალურად დაუცველად მიჩნეული ადამიანები დახმარებას უნდა იღებდნენ გადასახლების და კომპენსაციის მათთვის შეთავაზებული ვარიანტების სრულყოფილად გასაგებად და ყველაზე ნაკლები რისკის მქონე ვარიანტის შესარჩევად.

სამოქმედო გეგმის ან ცოცხალი ბუნების აღდგენის ჩარჩო სტრუქტურის მომზადებაში დახმარების მიზნით.

- მოსახლეობის აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური საბაზისო შეფასება გამოავლენს ადამიანებს, რომლებიც პროექტის ფარგლებში ექვემდებარებიან (სრულ ან ნაწილობრივ) გადასახლებას, განსაზღვრული იქნება ასევე კომპენსაციისა და დახმარების მიღების კრიტერიუმები და დაწესდება რეგისტრაციის საბოლოო ვადა, რათა არ მოხდეს იმ პირთა[15] მოზიდვა, რომლებსაც არ ეკუთვნით ეს სარგო,
- ეროვნული სამთავრობო პროცედურების არარსებობის შემთხვევაში მოსახლეობის აღწერის და აქტივების ინვენტარიზაციის დასრულების თარიღად უნდა განისაზღვროს შესაბამისობის კრიტერიუმების დადგენისთვის მითითებული ვადის ამოწურვა. ამ უკანასკნელის შესახებ ინფორმაცია კარგად უნდა იქნეს დოკუმენტირებული და გავრცელებული პროექტის მთელ ტერიტორიაზე,
- სეზონური რესურსების მომხმარებლები შეიძლება არ იმყოფებოდნენ პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის დროს და ამიტომ განსაკუთრებულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამგვარი თემების სურვილები.

გადასახლების სამოქმედო გეგმა

15. მე-7 პუნქტში აღწერილი გარიგებების შემთხვევაში, რომლებიც გულისხმობს ადამიანების ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების საფუძველზე კლიენტმა უნდა შეიმუშაოს გადასახლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც სულ მცირე გათვალისწინებული იქნება წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისი პირობები პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანების რაოდენობის მიუხედავად.

16. გადასახლების სამოქმედო გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
    - შედგენილი უნდა იყოს გადასახლების ნეგატიური გავლენის შესამსუბუქებლად, პოტენციური განვითარების სარგებლის გამოსავლენად, კონკრეტული ადამიანების ყველა კატეგორიისთვის (მათ შორის მასპინძელი თემებისთვის) კუთვნილი სარგოს განსასაზღვრად, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ღარიბ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე,
    - დოკუმენტური სახით უნდა აღნუსხოს მიწის უფლებების მისაღები ყველა გარიგება, საკომპენსაციო და გადასახლების ღონისძიებები,
    - უნდა დააწესოს პროცედურები გადასახლების გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელებისთვის.

17. გადასახლების სამოქმედო გეგმის მასშტაბი და დეტალურობის დონე განსხვავებული იქნება გადასახლების მასშტაბის და საზიანო ზემოქმედების შესამსუბუქებლად განხორციელებული ზომების კომპლექსურობის მიხედვით. ყველა შემთხვევაში, მასში აღწერილი იქნება წინამდებარე

[15] ისეთები, როგორებიც არიან, მაგალითად, ოპორტუნისტული უკანონო მობინადრეები ან ბოლო პერიოდში ჩამოსახლებული ეკონომიკური მიგრანტები, რომლებმაც ვადის ამოწურვის შემდეგ დაიკავეს მიწა.

სამოქმედო მოთხოვნის მიზნების მიღწევის მეთოდები. როგორც მინიმუმ, გადასახლების სამოქმედო გეგმა უნდა გულისხმობდეს შემდეგს:

- განსახლების მიზნების განსაზღვრა,
- პროექტის ზემოქმედების აღწერა, გადასახლებას დაქვემდებარებული ყველა ადამიანის გამოვლენა და შესაბამისი აქტივების ინვენტარიზაცია,
- გადასახლების გარდუვალობის დამტკიცება და მისი ეფექტის მინიმუმამდე დაყვანა,
- მიწის ნაკვეთების შესყიდვასა და კომპენსაციასთან დაკავშირებული იურიდიული სქემის აღწერა,
- პროექტთან შეხებაში მყოფ ადამიანებთან კონსულტაციების პროცესის, გადასახლების მისაღები ალტერნატივების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხსენებული ადამიანების მონაწილეობის დონის აღწერა,
- ყველა კატეგორიის გადასახლებული ადამიანებისთვის კუთვნილი სარგოს აღწერა,
- დაკარგული აქტივების კომპენსაციის განაკვეთების ჩამოთვლა და იმის დემონსტრირება, რომ ეს განაკვეთები ადეკვატურია, ანუ დაკარგული აქტივების ჩანაცვლების ხარჯების თანაბარი მაინც არის,
- საცხოვრებლის გამოცვლასთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთის მფლობელობის უფლებების შერჩევის, განაწილების და მომზადების პროცესის აღწერა,
- გადაბარგების უზრუნველსაყოფი დახმარების აღწერა,
- ადგილნაცვალ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ან თუნდაც აღდგენისთვის განხორციელებული ქმედებების დეტალური აღწერა,
- ინსტიტუციური/საორგანიზაციო პასუხისმგებლობის და დავების გადაჭრის პროცედურების გაწერა გადასახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის,
- გადასახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკისა და ბიუჯეტის წარმოდგენა,
- მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების ღონისძიებების დეტალების გაწერა,
- სამართლიანი კომპენსაციის უზრუნველყოფა ნაყიდი მიწისთვის და მასზე მდგარი ნებისმიერი დაკარგული აქტივისთვის, ასევე გამოცვლის ხარჯები იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის შესყიდვის შედეგად არ ხდება საარსებო ან შემოსავლის წყაროს დაკარგვა.

18. გადასახლების სამოქმედო გეგმა განსაკუთრებით უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერ ისეთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მიჩნეულნი არიან უპოვრად ან სოციალურად დაუცველად. სახელდობრ, გადასახლების სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაუცველი და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები[16] და ქალები არ აღმოჩნდნენ არასახარბიელო მდგომარეობაში გადასახლების პროცესის განხორციელებისას, მიიღონ სრული ინფორმაცია, იცოდნენ მათი უფლებების შესახებ და თანაბრად მიიღონ სარგებელი და შეღავათები

[16] მე-14 სქოლიოში განსაზღვრულის თანახმად.

გადასახლების შესაძლებლობებიდან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მიწის ფლობის და იჯარის, ასევე კომპენსაციის მისაღები დოკუმენტები (საბანკო რეკვიზიტების ჩათვლით) ორივე მეუღლის სახელზე გაიცეს, ხოლო მარჩენალდაკარგული ოჯახების შემთხვევაში – ქალის სახელზე, და რომ გადასახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარებები, მაგალითად, პროფესიული მომზადება, კრედიტების მიღების საშუალება და სამუშაო ადგილები მამაკაცების თანაბრად იქნეს შეთავაზებული ქალებისთვისაც და მოერგოს მათ საჭიროებებს. თუ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქალებისთვის ქონების ფლობის უფლებას, გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს დებულება, რომელიც შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს ქალებს საცხოვრებელზე უფლების დაცულობით მამაკაცების თანასწორად.

19. გადასახლების სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ზომებს, რომლებიც ადგილნაცვალ პირებს შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით, რათა დააკმაყოფილონ ადმინისტრაციული მოთხოვნები მიწის შესყიდვამდე ან, თუ საჭირო გახდა – სასამართლო წესით ეცადონ სადავო საკითხის გადაჭრას.

20. კლიენტმა უნდა შეაჯამოს გადასახლების სამოქმედო გეგმაში საზოგადოებისთვის გასაცნობი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანები კარგად აცნობიერებდნენ საკომპენსაციო პროცედურებს და იცოდნენ, რას უნდა ელოდნენ პროექტის ყოველ ცალკეულ ეტაპზე (მაგალითად, როდის მიიღებენ შეთავაზებას, რა ვადებში უნდა წარმოადგინონ პასუხი, როგორია გასაჩივრების და იურიდიული პროცედურები, რომლებსაც მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში უნდა მიმართონ).

21. გადასახლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდება პირველი სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად და შეიძლება გულისხმობდეს ისეთი ძირითადი დაინტერესებული წრეების მონაწილეობას, როგორიცაა პროექტთან შეხებაში მყოფი თემები.

22. გადასახლება ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც მისი საზიანო ზემოქმედება დარეგულირებული იქნება გადასახლების სამოქმედო გეგმასა და წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში ჩამოყალიბებული მიზნების შესაბამისად.

23. პროექტის გადასახლების მასშტაბიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო გახდეს კლიენტის მიერ გადასახლების განხორციელების გეგმის გარე საბოლოო აუდიტის შეკვეთა, რათა დადგინდეს, დაკმაყოფილებულია თუ არა მისი პირობები. დამასრულებელი აუდიტი უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც გადასახლების სამოქმედო გეგმის ყველა კომპონენტი – განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივის ჩათვლით, დასრულებული იქნება, თუმცა გაცილებით ადრე, ვიდრე ევრობანკის წინაშე კლიენტის მიერ ნაკისრი ვალებულებები იქნება შესრულებული. აუდიტის ვადის განსაზღვრა კლიენტს მისცემს გამოსასწორებელი ქმედებების (მათი საჭიროების შემთხვევაში) დასრულების საშუალებას აუდიტორების რეკომენდაციის შესაბამისად, სანამ პროექტი დასრულდება. საბოლოო აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით ევრობანკი და კლიენტი ერთობლივად განსაზღვრავენ, რამდენად შესრულდა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნები. შემთხვევების უმრავლესობაში საბოლოო აუდიტის შედეგად გამოვლენილი

გამოსასწორებელი ქმედებების დასრულებამ უნდა დააკმაყოფილოს კლიენტის მიერ გადასახლებასთან, კომპენსაციებთან, საარსებო წყაროს აღდგენასა და განვითარებაზე ორიენტირებულ დახმარებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები.

საარსებო წყაროს აღდგენის სქემა

24. მე-7 პუნქტში აღწერილი გარიგებების შემთხვევაში, რომლებიც ადამიანების ეკონომიკურ (მაგრამ არა ფიზიკურ) ადგილმონაცვლეობას შეეხება, კლიენტი შეიმუშავებს პროცედურებს პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანებისა და ადგილობრივი თემებისთვის კომპენსაციების და სხვა დახმარების პაკეტების შესათავაზებლად, რომლებითაც წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნები დაკმაყოფილდება. ეს პირობა გულისხმობს საარსებო წყაროს აღდგენის სქემის შემუშავებას.

25. საარსებო წყაროს აღდგენის სქემა განსაზღვრავს პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანებისა და ადგილობრივი თემებისათვის დახმარების უზრუნველყოფას გამჭვირვალობის, თანმიმდევრულობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით. კლიენტმა დოკუმენტურად უნდა ასახოს პროცედურები საარსებო წყაროს აღდგენის სქემის ფარგლებში კომპენსაციის განსაზღვრისა და დარიგებისთვის, შემდეგი პირობებით:
    - უნდა ჩამოაყალიბოს საარსებო წყაროს აღდგენის სქემის მიზნები,
    - უნდა აღწეროს პროექტის ზემოქმედება, გამოავლინოს ყველა ადამიანი, რომელიც ექვემდებარება ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას, და მოახდინოს შესაბამისი აქტივებისა და რესურსების ინვენტარიზაცია,
    - უნდა დაამტკიცოს, რომ გადასახლება გარდაუვალია და მისი საზიანო ეფექტი მინიმუმამდეა დაყვანილი,
    - უნდა აღწეროს კომპენსაციების იურიდიული სქემა,
    - უნდა აღწეროს პროექტთან შეხებაში მყოფ ადამიანებთან ალტერნატივების შესახებ კონსულტაციების პროცესი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის დონეები,
    - უნდა აღწეროს ადგილნაცვალი ადამიანების ყველა კატეგორიისთვის კუთვნილი სარგოები,
    - უნდა აღწეროს პროექტის ზემოქმედებაში მოყოლილი აქტივების ან რესურსების, ან მათი მისაწვდომობის, შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდები, სრული გამოცვლის ხარჯების და კომპენსაციის განაკვეთების მითითებით,
    - უნდა აღწეროს ადგილნაცვალ ადამიანთა საცხოვრისის და საარსებო პორობების გაუმჯობესების ან, სულ მცირე, აღდგენის სხვა ზომები,
    - უნდა აღწეროს მიწის ნაკვეთების შეძენის (ან შეზღუდვების დაწესების) და კომპენსაციების დარიგების გრაფიკი,
    - უნდა აღწეროს პროცესი, რომლითაც პროექტთან შეხებაში მყოფ ადამიანს შეუძლია გაასაჩივროს მიერ მიერ არაადეკვატურად მიჩნეული შეფასება,
    - უნდა განსაზღვროს საარსებო წყაროს აღდგენის სქემის განხორციელების და გასაჩივრების პროცედურების ინსტიტუციური და საორგანიზაციო პასუხისმგებლობები,

- დეტალურად უნდა აღწეროს მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მექანიზმები,
- უნდა წარმოადგინოს საარსებო წყაროს აღდგენის სქემის განხორციელების გრაფიკი და ბიუჯეტი.

26. კლიენტმა უნდა შეაჯამოს საარსებო წყაროს აღდგენის სქემაში საზოგადოების ინფორმირებისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია, რათა პროექტთან შეხებაში მყოფმა ადამიანებმა გააცნობიერონ საკომპენსაციო პროცედურები და იცოდნენ, რას უნდა ელოდონ პროექტის სხვადასხვა ეტაპზე (მაგალითად, როდის გაკეთდება შეთავაზება, რა ვადებში უნდა წარმოადგინონ პასუხები, გასაჩივრების პროცედურები და იურიდიული პროცედურები მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში).

27. კლიენტმა პროექტთან შეხებაში მყოფი თემები უნდა უზრუნველყოს დაწესებულ პროცედურებზე დაყრდნობით მოლაპარაკებაში მონაწილეობის შესაძლებლობით.

28. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანები უარს ამბობენ კომპენსაციის წინადადებაზე, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობებს, და იწყება ქონების ექსპროპრიაციის ან სხვა იურიდიული პროცედურების განხორციელება, კლიენტი შეეცდება, გამოავლინოს პასუხისმგებელ სამთავრობო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები და ამ უკანასკნელის ნებართვის შემთხვევაში აქტიურ როლს შეასრულებს გადასახლების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

29. საარსებო წყაროს აღდგენის სქემის განხორციელება დასრულებულად იქნება მიჩნეული, თუ გადასახლების საზიანო ზემოქმედება დარეგულირებული იქნება თავად საარსებო წყაროს აღდგენის სქემისა და წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნების შესაბამისად.

ადგილნაცვალი ადამიანების კომპენსაცია და შემწეობების გაცემა

30. თუ გადასახლება გარდაუვალია, კლიენტი ადგილნაცვალ პირებს და თემებს დაკარგული აქტივების სანაცვლოდ შესთავაზებს სრული შეცვლის ხარჯების ანაზღაურებას[17] და სხვა დახმარებას, რათა დაეხმაროს მათ

[17] დაკარგული აქტივების სანაცვლოდ კომპენსაციის განაკვეთი გამოანგარიშებული უნდა იქნეს სრული შეცვლის ხარჯებზე დაყრდნობით, ანუაქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული გარიგების ხარჯები. შეფასების ამ მეთოდის გამოყენებისას არ უნდა მოხდეს შენობებისა და აქტივების ცვეთის გათვალისწინება. იმ ზარალისათვის, რომელიც ვერ შეფასდება ადვილად ფულადი თვალსაზრისით, შესაძლებელია ნატურით კომპენსაციის შეთავაზება. მაგრამ ამგვარი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს ეკვივალენტური ან მეტი ღირებულების მქონე და კულტურული თვალსაზრისით შესატყვისი საქონლით ან რესურსებით. მიწისა და შენობების შეცვლის ხარჯები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- *სასოფლო-სამეურნეო მიწა* – პროექტთან შეხებაში მყოფი მიწის მახლობლად მდებარე, ისეთივე გამოყენების ან პოტენციალის მქონე მიწის საბაზრო ღირებულებას დამატებული პროექტთან შეხებაში მყოფი მიწის დონის მსგავსი ან უკეთესი დონის მოსამსახდებელი ხარჯები და გარიგების ხარჯები, როგორიც არის რეგისტრაციასთან და საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები;
- *მიწა ურბენულ ტერიტორიებზე* – ეკვივალენტური ფართობისა და გამოყენების, მსგავსი ან გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების მქონე, სასურველია, პროექტთან შეხებაში მყოფი მიწის მახლობლად მდებარე მიწის საბაზრო ღირებულებას დამატებული გარიგების ხარჯები, როგორიც არის რეგისტრაციასთან და საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები;

საცხოვრებელი პირობების ან საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში ან აღდგენაში მაინც, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობების შესაბამისად. პროექტის ფარგლებში განხორციელებული კომპენსაციის სტანდარტები გამჭვირვალე და თანმიმდევრული უნდა იყოს. თუ ადგილნაცვალი ადამიანების საარსებო წყარო მიწის ნაკვეთთან არის მჭიდროდ დაკავშირებული, ან თუ მიწის ნაკვეთს კოლექტიურად ფლობს რამდენიმე პირი, კლიენტი მათ შეძლებისდაგვარად შესთავაზებს კომპენსაციას მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. კლიენტი ყველა ზომას იხმარს, რათა შესაძლებლობა მისცეს ადგილნაცვალ პირებსა და ადგილობრივ თემებს, გამოიყენონ პროექტიდან გამომდინარე განვითარების ყველანაირი ეფექტი.

ადგილმონაცვლეობა

31. ადგილნაცვალი ადამიანები შეიძლება შემდეგნაირად იყვნენ კლასიფიცირებულნი: (ა) რომლებსაც ოფიციალური იურიდიული უფლებები გააჩნიათ მიწის ნაკვეთზე (ეროვნული კანონმდებლობით სტანდარტული და ტრადიციული უფლებების ჩათვლით), (ბ) რომლებსაც არ გააჩნიათ ოფიციალური იურიდიული უფლებები მიწის ნაკვეთზე მოსახლეობის აღწერის მომენტისთვის, მაგრამ აქვთ პრეტენზიები მიწაზე ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ან აღიარებადი პირობებით,[18] (გ) რომლებსაც არანაირი აღიარებული იურიდიული უფლება ან პრეტენზია არ გააჩნიათ დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე.[19] მოსახლეობის აღწერა შესაბამის სტატუსს მიანიჭებს ადგილნაცვალ ადამიანებს. მათ, ვინც პროექტის ტერიტორიაზე გადავლენ ვადის ამოწურვის შემდეგ (იხილეთ მე-14 პუნქტი) ოპორტუნისტული მიზნებით ან ეკონომიკური მიგრაციის შედეგად, არ ეკუთვნით კომპენსაციები ან სხვა სახის დახმარება.

32. 31-ე პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში ნაგულისხმევი ადამიანები მიიღებენ კომპენსაციას დაკარგული მიწის ნაკვეთებისთვის და სხვა დახმარებებს 34-ე და 35-ე პუნქტების შესაბამისად. 31-ე პუნქტის (გ) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ადამიანებს არ ეკუთვნით კომპენსაცია მიწის ნაკვეთისთვის, თუმცა მათ კომპენსაცია უნდა მიიღონ იმ შენობებისთვის, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ და იკავებდნენ, ასევე მიწის ნაკვეთის ნებისმიერი გაუმჯობესებისთვის, სრული გამოცვლის ხარჯებით. ამასთანავე, მათ უნდა შესთავაზონ სხვა შესაფერის ალტერნატიულ ადგილას საცხოვრებელი პირობების აღსადგენად საკმარისი გადასახლების დახმარება. გადასახლების დახმარების ვარიანტები უნდა ჩამოყალიბდეს ადგილნაცვალ ადამიანებთან კონსულტაციების საფუძველზე და მათში ასახული უნდა იყოს ამ ადამიანების პრიორიტეტები და სურვილები. ეს

- *სახლები და სხვა შენობები* – პროექტთან შეხებაში მყოფი შენობის ფართობისა და ხარისხის მსგავსი ან უკეთესი ფართობისა და ხარისხის ახალი შენობის შეძენის ან მშენებლობის, ან ნაწილობრივ დაზიანებული შენობის შეკთების ღირებულება, მათ შორის მუშახელისთვის და კონტრაქტორებისთვის გადასახდელი თანხები და გარიგების ხარჯები, როგორიც არის რეგისტრაციასთან და საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები

[18] ამგვარი პრეტენზიები შეიძლება მომდინარეობდეს ქონების უკანონო ფლობიდან ან ჩვეულებითი ანუ ტრადიციული სამართლიდან.

[19] მაგალითად, ძირძველ ხალხებს, ჩვეულებრივ მომხმარებლებს, მწყემსებს, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირებს ან მეცხოველეობით დაკავებულ პირებს, ვისაც პრეტენზია აქვს ან ვინც იყენებს მიწას ოფიციალური იურიდიული უფლებების გარეშე, ასევე სხვა პირებს, ვისაც აქვს უზუფრუქტის ან ჩვეულებითი პრეტენზიები პროექტთან შეხებაში მყოფ მიწაზე ან სხვა რესურსებზე, რომლებიც არ არის აღიარებული ან აღიარებადი ქვეყნის კანონმდებლობით.

პირობები შეეხება ადამიანებს, რომლებიც ვადის ამოწურვამდე იკავებდნენ საპროექტო ტერიტორიას სრულად ან ნაწილობრივ.

33. მიწის შესყიდვა პროექტის მიზნებისთვის შეიძლება იწვევდეს ადამიანების ფიზიკურ და ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას. შედეგად, მისადაგებული უნდა იქნეს როგორც ფიზიკური, ასევე ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის მოთხოვნები.

ფიზიკური ადგილმონაცვლეობა

34. თუ პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები სხვა ადგილას უნდა გადასახლდნენ, კლიენტი: (ა) ადგილნაცვალ ადამიანებს შესთავაზებს არჩევანს რეალურ ვარიანტებს შორის, ადეკვატური საცხოვრებლით დაკმაყოფილების ან ფულადი კომპენსაციის სახით, (ბ) გადაბარგების დახმარებას უზრუნველყოფს ადგილნაცვალი პირების ყოველი ჯგუფისთვის შესაფერისი სახით, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ღარიბებისა და სოციალურად დაუცველი ადამიანების საჭიროებებზე. ალტერნატიული საცხოვრებლით და/ან ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფა გადაბარგებამდე უნდა განხორციელდეს. ადგილნაცვალი ადამიანებისთვის ახლად აშენებულ სახლებში გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები უნდა არსებობდეს.

35. 31-ე პუნქტის (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებში ნახსენებ ფიზიკურად ადგილნაცვალ ადამიანებს კლიენტი შესთავაზებს ქონების გამოცვლას იმავე ან უფრო მაღალი ღირებულებით, იმავე ან უკეთესი მახასიათებლებით და უპირატესი ადგილმდებარეობით, ან, გარემოებათა მიხედვით, ფულად კომპენსაციას – სრული გამოცვლის ღირებულებით.[20]

36. 31-ე პუნქტის (გ) ქვეპუნქტში ნახსენებ ფიზიკურად ადგილნაცვალ პირებს კლიენტი შესთავაზებს არჩევანს ადეკვატური საცხოვრებლით დაკმაყოფილების ვარიანტებს შორის, საცხოვრებელზე დაცული უფლებით, რათა გადასახლება განხორციელდეს კანონიერად, ძალისმიერი გამოსახლების გარეშე.
    - თუ ეს ადგილნაცვალი პირები ფლობენ შენობებს და უკავიათ ისინი, კლიენტმა მათ კომპენსაცია უნდა გადაუხადოს მიწის ნაკვეთის გარდა ისეთი სხვა აქტივების დაკარგვისათვის, როგორიც არის სახლი და მიწის ნაკვეთის სხვა სახის გაუმჯობესება. კომპენსაცია სრული გამოცვლის ხარჯით უნდა მოხდეს, თუ ადამიანი საპროექტო

[20] ფულადი კომპენსაციის გადახდა დაკარგული აქტივებისთვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, როდესაც: (ა) საარსებო წყარო არ არის დაკავშირებული მიწასთან; (ბ) საარსებო წყარო დაკავშირებულია მიწასთან, მაგრამ პროექტის განხორციელებისთვის შესასყიდი მიწა დაზარალებული აქტივის მცირე ნაწილს წარმოადგენს, ხოლო მიწის დანარჩენილი ნაწილი ეკონომიკური თვალსაზრისით გამოსადეგია; ან (გ) არსებობს ბაზრები აქტიური მოთხოვნილებით მიწაზე, საცხოვრებელსა და მუშახელზე, ადგილნაცვალი პირები სარგებლობენ ამ ბაზრებით და მიწა და საცხოვრებელი საკმარისი რაოდენობითაა. ფულადი კომპენსაციის დონეები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ჩაანაცვლოს დაკარგული მიწისა და სხვა აქტივების ღირებულება ადგილობრივ ბაზრებზე გამოცვლის სრული ღირებულებით.

ტერიტორიას შესაბამისობის განსაზღვრის ვადის ამოწურვამდე იკავებდა.

- როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს ნატურით კომპენსაციის შეთავაზება ფულადი კომპენსაციის ნაცვლად, თუ მე-20 სქოლიოში აღწერილი პირობები არ არსებობს ევრობანკისთვის მისაღებ დონეზე. ეს პირობა შეეხება იმ ადამიანებს, ვისაც ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები გააჩნია ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე მათ, ვისაც ვადის ამოწურვის თარიღამდე არ ჰქონდა მიწაზე ოფიციალური იურიდიული უფლებები, მაგრამ პრეტენზია გააჩნია მიწასა და აქტივებზე, მაგალითად, უკანონო ფლობის[21] შემთხვევაში, და 31-ე პუნქტის პირობის შესაბამისად, მათ, ვისაც არანაირი აღიარებული იურიდიული უფლება ან პრეტენზია არ გააჩნია დაკავებული მიწის ნაკვეთზე,
- ხსენებულ ადგილნაცვალ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე კლიენტი გადაბარგების საკმარის დახმარებას უზრუნველყოფს ადეკვატურ ალტერნატიულ ადგილას საცხოვრებელი პირობების აღდგენის მიზნით.[22]

37. კლიენტს არ მოეთხოვება კომპენსაციის გადახდა ან დახმარების უზრუნველყოფა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც საპროექტო ტერიტორიაზე შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრის ვადის გასვლის შემდეგ გადმოვლენ.

38. თუ ძირძველი მოსახლეობისგან შემდგარი თემების ფიზიკური გადასახლება უნდა მოხდეს მათი ტრადიციული ან ჩვეული საცხოვრებელი ადგილებიდან, კლიენტი დააკმაყოფილებს წინამდებარე და მე-7 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამის პირობებს.

ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა

39. თუ მე-7 პუნქტში აღწერილი გარიგება განაპირობებს შემოსავლის ან საარსებო წყაროს დაკარგვას, მაგალითად, დასაქმების ან პროდუქტიული აქტივების ხელმისაწვდომობის დაკარგვის ან აღკვეთის გამო, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ეს კონკრეტული ადამიანები ფიზიკურად გადასახლებულები, კლიენტმა:

- მყისიერად უნდა აუნაზღაუროს ეკონომიკურად ადგილნაცვალ ადამიანებს აქტივების ან მათი ხელმისაწვდომობის დაკარგვა, სრული გამოცვლის ხარჯებით ჩათვლით. თუ კომპენსაცია პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულების მიერ უნდა იქნეს გადახდილი, კლიენტმა უნდა ითანამშრომლოს ამ დაწესებულებასთან გადახდის დაჩქარების მიზნით. თუ მყისიერი კომპენსირება ვერ ხერხდება სამთავრობო პოლიტიკის ან პრაქტიკის გამო, კლიენტმა გადასახლების დახმარების ვარიანტები უნდა მოსინჯოს ადგილნაცვალი ადამიანებისთვის დაკარგული შემოსავლების გამო დროებითი დახმარების უზრუნველსაყოფად.

---

[21] უძრავი ქონების საკუთრების უფლების მოპოვების მეთოდი, გარკვეულ პირობებში კანონით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ფლობის მეშვეობით.

[22] ურბანულ ტერიტორიებზე არაოფიციალური მაცხოვრებლების გადანაცვლებისას ხშირად აქვს ადგილი კომპრომისს. მაგალითად, გადანაცვლებულმა ოჯახებმა შეიძლება მიიღონ დაცული უფლება საცხოვრებელზე, მაგრამ დაკარგონ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული უპირატესობა.

- თუ მიწის ნაკვეთის შესყიდვა გავლენას ახდენს კომერციულ შენობებზე, კონკრეტული ბიზნესის მესაკუთრეს უნდა აუნაზღაუროს (ა) კომერციული საქმიანობის სხვაგან წამოწყების ხარჯები, (ბ) გარიგების პერიოდში დაკარგული წმინდა შემოსავლები, (გ) საჭიროებისამებრ, საწარმოსა და მანქანა-დანადგარების გადაგზავნისა და ახალ ადგილას დამონტაჟების ხარჯები,
- უნდა უზრუნველყოს თანაბარი ან მეტი ღირებულების გამოსაცვლელი ქონებით (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ან კომერციულ ობიექტებზე) ან ისეთი ფულადი კომპენსაციით, რომელიც სრული გამოცვლის ხარჯებს აუნაზღაურებს ადამიანებს, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული ან აღიარებადი იურიდიული უფლებები ან პრეტენზია გააჩნიათ მიწის ნაკვეთზე (იხილეთ პუნქტები 31(ა) და (ბ)),
- უნდა უზრუნველყოს დახმარება, რომელიც ადგილობრივი თემის საერთო მფლობელობაში არსებული რესურსების[23] დაკარგვას აუნაზღაურებს. ეს შეიძლება მოხდეს იმ დარჩენილი რესურსების პროდუქტიულობის გაზრდის ინიციატივის სახით, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი თემებისთვის, ასევე ნატურით ან ფულადი კომპენსაციის სახით დაკარგული რესურსებისთვის ან დაკარგული რესურსების ალტერნატიულ წყაროებზე დაშვების უზრუნველყოფით,
- უნდა დაურიგოს კომპენსაცია მიწაზე იურიდიულად აღიარებული პრეტენზიის არმქონე ეკონომიკურად ადგილნაცვალ ადამიანებს მიწის გარდა სხვა დაკარგულ აქტივებზე (მაგალითად, მოსავალი, საირიგაციო ინფრასტრუქტურა და მიწის ნაკვეთის სხვაგვარი გაუმჯობესება) (იხილეთ პუნქტი 31(გ)) სრული გამოცვლის ღირებულებით. კლიენტს არ მოეთხოვება, კომპენსაცია გადაუხადოს ან დახმარება უზრუნველყოს ოპორტუნისტული მიზნებით პროექტის ტერიტორიაზე შესაბამისობის კატეგორიების მინიჭების ვადის გასვლის შემდეგ ჩასახლებულ პირებს,
- ეკონომიკურად ადგილნაცვალი ადამიანებისთვის, რომელთა საცხოვრებელი პირობები ან შემოსავლის დონე მნიშვნელოვნად გაუარესდა, უნდა უზრუნველყოს დამატებითი მიზნობრივი დახმარება (მაგალითად, საკრედიტო რესურსები, ტრენინგი ან დასაქმება) და შემოსავლის გენერირების შესაძლებლობები, წარმოების დონისა და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესების ან თუნდაც აღდგენის შესაძლებლობები. თუ პროექტთან დაკავშირებული გადასახლების გამო ბიზნესი მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი ან დახურვის პირასაა, დახმარების მიღება ეკუთვნის როგორც მეწარმე სუბიექტს, ასევე მის ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც კარგავენ ხელფასს ან სამსახურს,
- უნდა უზრუნველყოს დახმარება გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურად ადგილნაცვალ პირთათვის, საჭიროებისამებრ – შემოსავლის გენერირების შესაძლებლობის, წარმოების დონის და ცხოვრების პირობების აღსადგენად საჭირო დროში გონივრულად გამოთვლილი სავარაუდო მაჩვენებლებით.

[23] ამის მაგალითები მოიცავს საერთო სარგებლობის მიწებს და საძოვრებს, არამერქნულ სატყეო რესურსებს (მაგ. სამკურნალო მცენარეებს, სამშენებლო და ხალხური რეწვის მასალებს), ხის მორებს სამშენებლო და საწვავის დანიშნულებისთვის ან სათევზაო ადგილებს.

40. თუ პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების შესყიდვის შედეგად ძირძველი მოსახლეობისგან შემდგარი თემები არიან ეკონომიკურად ადგილმონაცვლეები (მაგრამ არა გადასახლებულნი), კლიენტმა უნდა დააკმაყოფილოს წინამდებარე და მე-7 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისი პირობები.

საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების დაკარგვა[24]

41. თუ პროექტით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების დაკარგვა, კლიენტმა შინაარსობრივი კონსულტაციები უნდა გამართოს ადგილობრივ თემთან მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად, რათა გამოვლინდეს და შეთანხმება იქნეს მიღწეული შესაფერის ალტერნატივებზე.

კერძო სექტორის პასუხისმგებლობა მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელებულ გადასახლების პროცესში

42. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მიწის შესყიდვასა და გადასახლებაზე პასუხისმგებლობა მასპინძელ მთავრობას ეკისრება. ასეთ შემთხვევებში კლიენტი ითანამშრომლებს პასუხისმგებელ სამთავრობო დაწესებულებასთან, ამ უკანასკნელის მიერ ნებადართულ ფარგლებში, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნების დასაკმაყოფილებელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, თუ მთავრობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კლიენტი აქტიურ როლს ითამაშებს გადასახლების დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. კლიენტი მოამზადებს გეგმას (ან სქემას), რომელიც პასუხისმგებელი სამთავრობო უწყების მიერ მომზადებულ დოკუმენტებთან ერთად დააკმაყოფილებს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებს. კლიენტს მის გეგმაში შეიძლება მოუწიოს შემდეგის გათვალისწინება: (ა) ადგილნაცვალ ადამიანთათვის შესაბამისი კანონებითა და მარეგულიებელი ნორმებით გათვალისწინებული დახმარებების აღწერა, (ბ) ზომები, რომლებიც შემოთავაზებულია კანონით გათვალისწინებულ და წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნით მოთხოვნილ დახმარებებს შორის გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, (გ) სამთავრობო უწყების და/ან კლიენტის პასუხისმგებლობები ფინანსური და განხორციელების კუთხით.

[24] იხილეთ ასევე საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილების განმარტება. კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა გათვალისწინებულია მე-8 სამოქმედო მოთხოვნაში.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 6:
ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

შესავალი:

1. ევრობანკი აცნობიერებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის აუცილებლობას მის მიერ ინვესტირებული პროექტების ფარგლებში. ტერმინი „ბიომრავალფეროვნება“ (ან ბიოლოგიური მრავალფეროვნება) განსაზღვრულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციით როგორც *„ყველა წარმოშობის ცოცხალი ორგანიზმების ნაირსახეობა ტერიტორიული, საწყალოსნო და სხვა აკვატორიის ეკოსისტემებში და ეკოლოგიურ კომპლექსებში, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. ეს ასევე გულისხმობს მრავალფეროვნებას სახეობებსა და ეკოსისტემებში”.* ევრობანკი მხარს უჭერს ფრთხილ დამოკიდებულებას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისას და მათზე სხვადასხვა სახის ზემოქმედების მართვას რიოს დეკლარაციისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის თანახმად.

2. ხსენებული მიზნების მიღწევისას ევრობანკი ხელმძღვანელობს და მხარს უჭერს შესაბამისი საერთაშორისო კანონების, კონვენციების და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების განხორციელებას (რომელთა მაგალითები ქვემოთ სქოლიოშია ჩამოთვლილი)[25].

მიზნები:

3. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებია:
   - ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია,

---

[25] შესაბამისი კონვენციების და დირექტივების ნიმუშებია:
- კონვენცია და პროტოკოლები ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ,
- კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ, განსაკუთრებით ისეთისა, როგორიცაა წყლის ფრინველების ჰაბიტატი
- კონვენცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ სახელმწიფოთაშორის კონტექსტში („ესპუ“ კონვენცია),
- კონვენცია გარეული ცხოველების მიგრაციული სახეობების კონსერვაციის შესახებ,
- კონვენცია დაბინძურებისგან შავი ზღვის დაცვის შესახებ,
- საბჭოს დირექტივა 92/43/EEC, 1992 წლის მაისი, ბუნებრივი ჰაბიტატის და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ, შესწორებული სახით,
- საბჭოს დირექტივა 79/409/EEC, 1979 წლის აპრილი, ფრინველთა კონსერვაციის შესახებ,
- საბჭოს დირექტივა 2004/35/EC, 2004 წლის აპრილი, გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესახებ,
- საბჭოს დირექტივა 85/337/EEC, 1985 წლის 27 ივნისი, შესწორებული 1997 წლის 3 მარტის 97/11/EC დირექტივით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ,
- საბჭოს დირექტივა 2001/42/EC, 2001 წლის ივნისი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ.

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა და შემსუბუქება, ასევე, გარემოებათა მიხედვით, მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების აღმოფხვრა, ბიომრავალფეროვნებისთვის რაიმე ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან წმინდა სარგებლის მიღების მიზნით,
- მდგრადი მართვის და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სტიმულირება,
- ძირძველი მოსახლეობის და ადგილობრივი თემების მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში,
- პროექტის განვითარებისგან და გენეტიკური რესურსების გამოყენებისგან სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება,
- კომპანიების ექსპლუატაციის თავისუფლების, რეპუტაციის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერება ბიომრავალფეროვნებისთვის არსებული რისკისა და შესაძლებლობების საუკეთესო სახით მართვის საშუალებით,
- ბიომრავალფეროვნების დაცვისკენ მიმართული იმგვარი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ალტერნატიულ საარსებო წყაროს ბუნებრივი გარემოს არამდგრადი ექსპლუატაციის ნაცვლად.

გამოყენების მასშტაბი:

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შეეხება პროექტებს ყველა სახის ჰაბიტატით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ადრე მათი ხელყოფა ან დეგრადირება, ასევე მიუხადავად იმისა, დაცულია თუ არა ისინი და ექვემდებარება თუ არა მართვის გეგმებს.

5. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება განისაზღვრება ევრობანკის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში. ევრობანკი განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნების თანხვედრის მიზნით, ხოლო კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ევრობანკის მიერ დამტკიცების მიზნით კონკრეტული ზომების შეთავაზებაზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმისა და/ან მართვის სისტემის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის მოთხოვნები წარმოდგენილია პირველ და მეათე სამოქმედო მოთხოვნებში. ევრობანკმა შეიძლება დაიქირაოს ბიომრავალფეროვნების დამოუკიდებელი სპეციალისტები დეტალური შესწავლის ჩასატარებლად.

მოთხოვნები

საკითხებისა და ზემოქმედების შეფასება

6. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში კლიენტი გამოავლენს და დაახასიათებს იმ პოტენციურ ზემოქმედებას, რომელიც პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ბიომრავალფეროვნებისთვის. დეტალური შესწავლის მასშტაბი საკმარისი უნდა იყოს რისკებისა და სხვადასხვა ზემოქმედების სრული დახასიათებისთვის, ფრთხილი მიდგომის შესაბამისად, და დაინტერესებული წრეების პრობლემების გათვალისწინებით. ამ პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს გამოცდილი

და კვალიფიციური ექსპერტების ჩართვა. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისას კლიენტებმა უნდა იხელმძღვანელონ ზემოქმედების შეფასებაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ჩართვის საუკეთესო პრაქტიკით.[26] შეფასება ასევე უნდა ითვალისწინებდეს კლიმატის ცვლილებებს და ადაპტაციის საკითხებს. როდესაც გარემოებებს მიესადაგება მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტების მოთხოვნები, კლიენტი დაიქირავებს კვალიფიციურ და გამოცდილ გარეშე ექსპერტებს შეფასების ჩატარებაში დახმარების მიღების მიზნით.

7. დეტალური შესწავლა უნდა მოიცავდეს პოტენციური ზემოქმედების ხასიათს, მასშტაბს, ხანგრძლივობას და ინტენსიობას, აფასებდეს ზემოქმედების წარმოქმნის ალბათობას და განსაზღვრავდეს ამ ზემოქმედების მასშტაბს.

8. კლიენტმა უნდა გამოავლინოს ზომები პოტენციურად საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, მინიმუმამდე დასაყვანად ან შესამცირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, უკანასკნელი საშუალების სახით ისეთი საკომპენსაციო ზომების შესათავაზებლად, როგორიცაა ბიომრავალფეროვნების ზიანის დაბალანსება, პროექტთან შეხებაში მყოფი ბიომრავალფეროვნებისთვის რაიმე ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან წმინდა სარგებლის მიღების მიზნით.

ბიომრავალფეროვნებაზე ზიანის შემსუბუქების იერარქია	
ქმედება	*რეაგირება*
1. თავიდან აცილება	კლიენტი შეეცდება, თავიდან აიცილოს საზიანო ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.
2. მინიმუმამდე დაყვანა	თუ გარდაუვალია მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, კლიენტმა უნდა გამოავლინოს გზები პროექტის მოდიფიცირების და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.
3. შემსუბუქება	თუ მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე გარდაუვალია და არც მისი მინიმუმამდე დაყვანა არ ხერხდება, კლიენტმა უნდა გამოავლინოს ზომები ამ ზემოქმედების შესამსუბუქებლად.
4. დაბალანსება	თუ თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანისა და შემსუბუქების ყველა გონივრული მცდელობის მიუხედავად ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედება მაინც დარჩება, კლიენტმა უნდა გამოავლინოს ქმედებები ან პროექტები ხსენებული ზემოქმედების დასაბალანდებლად. ნებისმიერი დამაბალანსებელი პროექტი უნდა შემუშავდეს და შეთანხმდეს ევრობანკთან.

[26] საუკეთესო პრაქტიკის ინსტრუქცია ზემოქმედების შეფასებაში ბიომრავალფეროვნების ჩართვაზე გულისხმობს შემდეგს:

- *ბიომრავალფეროვნების მომცველი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებაყოფლობითი განხორციელების ინსტრუქცია* (წარმოდგენილია ბიომრავალფეროვნების საბჭოს გადაწყვეტილებაში VIII/28, რედაქტირებულია COP8, 2006 წ.)
- *ბიომრავალფეროვნება ზემოქმედების შეფასებაში* (IAIA სპეციალური პუბლიკაცია No. 3)
- *ენერგიისა და ბიომრავალფეროვნების ინიციატივის* სხვადასხვა პროდუქტები

ჰაბიტატის დაცვა და კონსერვაცია

ზოგადი ნაწილი

9. ყველა ჰაბიტატი (იქნება ის მოდიფიცირებული, ბუნებრივი თუ კრიტიკული კონსერვაციის ფასეულობის) ეხმარება ცხოველ ორგანიზმებს კომპლექსურობის დაცვაში, რაც განსხვავდება სახეობების მრავალფეროვნების, სიმრავლის, ეკოსისტემის და ეკონომიკური ფასეულობის მიხედვით. ამ მიზეზით კლიენტის მიერ ჩატარებული დეტალური შესწავლა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ბუნებრივ ხელუხლებელ ჰაბიტატს კრიტიკული კონსერვაციის ფასეულობით, რაზეც პროექტმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს, არამედ ასევე ხელყოფილ ან ადამიანის ქმედებების შედეგად დეგრადირებულ ჰაბიტატს, ასევე ახალ ხელოვნურად შექმნილ ჰაბიტატის ადგილებს – რეზერვუარებს და მდელოებს. ასეთი დეტალური შესწავლა უნდა ითვალისწინებდეს ზემოქმედების შესამცირებლად გამოსაყენებელი ზომების შეფასებას.

10. ზემოქმედების შემცირების ზომები შეიძლება მოიცავდეს სენსიტიურ ადგილებში ან სენსიტიურ დროს (მაგ. რეპროდუქციულ სეზონზე) ხელისშემშლელი სამუშაოების თავიდან აცილებას, სახეობების გადაყვანას დროებით ან მუდმივ ალტერნატიულ ადგილებში, პროექტის შემდგომ ტერიტორიების აღდგენას და ხელახალ კოლონიზაციას/ჯოგირებას, ასევე მსგავსი ჰაბიტატის შექმნას (ნარჩენი ზემოქმედების დასაბალანსებლად). ადამიანებსა და თემებს, რომლებზეც საზიანო ზემოქმედება მოახდინა ბიომრავალფეროვნების დაკარგვამ, უნდა მიეცეთ კომპენსაცია ადეკვატური და სოციალურ-კულტურულად მისაღები წესით.

მოდიფიცირებული ჰაბიტატი

11. ჰაბიტატი მოდიფიცირებულია, თუ აშკარა შეცვლაა განხორციელებული ბუნებრივ ჰაბიტატში, ხშირად მცენარეთა და ცხოველთა უცხო სახეობების შემოყვანის გზით, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე. თუ მოდიფიცირებული ან ახლად შექმნილი ჰაბიტატი ექცევა ზემოქმედების ქვეშ, კლიენტი უნდა ეცადოს, მინიმუმამდე დაიყვანოს ჰაბიტატის ყოველი მომდევნო დეგრადაცია ან გარდაქმნა. თუ არსებობს პროექტის ფარგლებში ტერიტორიის კონსერვაციის შესაძლებლობა, პროექტის ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით კლიენტმა უნდა გამოავლინოს ჰაბიტატის გაძლიერების და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესაძლებლობები ან მოახდინოს ამ ტერიტორიის მდგრადი მოსავლიანობის/მართვის სტიმულირება. ეს შეიძლება გულისხმობდეს ნადირობას, მეფუტკრეობას, ფრინველებზე დაკვირვებას და სხვ.

ბუნებრივი ჰაბიტატი

12. ბუნებრივი ჰაბიტატია ტერიტორია ხმელეთზე ან წყალში, სადაც ბიოლოგიური თანასაზოგადოებები ფორმირდებიან მეტწილად მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი სახეობებით და სადაც ადამიანის ხელს არ შეუცვლია ტერიტორიის პირველადი ეკოლოგიური ფუნქციები. ბუნებრივი ჰაბიტატის ადგილებში არ უნდა არსებობდეს ჰაბიტატის მნიშვნელოვანი

დეგრადაცია ან გარდაქმნა, რათა (ა) არ დაირღვეს ეკოლოგიური მთლიანობა და ეკოსისტემის ფუნქციონირება ან (ბ) ჰაბიტატი არ გამოიფიტოს იმდენად, რომ შემდგომში ვერ მოხდეს ადგილობრივი სახეობებისა და პოპულაციების გამრავლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- არ არსებობს ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებული ალტერნატივები,
- პროექტის საერთო სარგებელი გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე აღემატება ხარჯებს, და
- კონკრეტულ ჰაბიტატში ზემოქმედების შემცირებისთვის განხორციელებულია შესაბამისი შემამსუბუქებელი ქმედებები ბიომრავალფეროვნებისთვის ზიანის თავიდან ასაცილებლად და, სასურველია, წმინდა სარგებლის მისაღებად ან, შესაძლებლობისდაგვარად, უფრო მნიშვნელოვანი საკონსერვაციო ფასეულობის ჰაბიტატის დასაცავად.

საფრთხის ქვეშ მყოფი ჰაბიტატი

13. მიუხედავად იმისა, ბუნებრივია თუ მოდიფიცირებული, ზოგიერთი ჰაბიტატი შეიძლება მიჩნეული იყოს საფრთხის ქვეშ მყოფად შემდეგ შემთხვევებში: (ა) მისი ბიომრავალფეროვნების მაღალი ფასეულობის გამო, (ბ) საფრთხის ქვეშ ან გადაშენების პირას მყოფი სახეობების გადარჩენისთვის მისი მნიშვნელობის გამო, (გ) ენდემური ან გეოგრაფიულად შეზღუდული სახეობებისა და ქვესახეობებითვის მისი მნიშვნელობის გამო, (დ) მიგრაციული და კონგრეგაციული სახეობებისთვის მისი მნიშვნელობის გამო, (ე) ძირითად ევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებული სახეობების გაერთიანების მხარდაჭერაში მისი როლის გამო, (ვ) ადგილობრივი თემებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერაში მისი როლის გამო, (ზ) მისი მნიშვნელობის გამო იმ სახეობებისთვის, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია მთლიანობაში ეკოსისტემისთვის (მაღალი ეკოლოგიური დატვირთვის მქონე სახეობებისთვის).

14. კრიტიკული ჰაბიტატის გარდაქმნა ან დეგრადაცია არ უნდა მოხდეს. შესაბამისად, კრიტიკული ჰაბიტატის მქონე ადგილებში კლიენტი არ განახორციელებს არავითარ საპროექტო საქმიანობას, თუ:
    - არ შესრულდება ნებისმიერი საჭირო პროცესი, რომელსაც ითვალისწინებს საერთაშორისო ვალდებულებები ან ადგილობრივი კანონმდებლობა იმის წინაპირობად, რომ ქვეყანას მიეცეს საპროექტო სამუშაოების კრიტიკულ ჰაბიტატში ან მის მახლობლად წარმოების ნებართვა[27],
    - არ არსებობს შესამჩნევი უარყოფითი ზემოქმედება ან მისი ალბათობა კრიტიკულ ჰაბიტატზე, რაც ხელს შეუშლიდა მის იმგვარად ფუნქციონირებას, როგორც მე-13 პუნქტშია აღწერილი,
    - პრევენციული მიდგომის საფუძველზე პროექტი არ ითვალისწინებს საფრთხის ქვეშ ან გადაშენების პირას მდგომი სახეობების პოპულაციის შემცირებას ან ჰაბიტატის ტერიტორიის დაზიანებას,

[27]მაგალითად, ქვეყნებს შეიძლება დასჭირდეთ იმის დამტკიცება, რომ არანაირი შესაძლო ალტერნატივა არ არსებობს ან რომ პროექტის განხორციელებას ეროვნული ინტერესები ითვალისწინებს.

რაც გამოიწვევდა მასპინძელი ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის და რეპრეზენტატიულობის ხელყოფას,

- ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, ყველა სხვა ზემოქმედება შემცირებულია ზემოქმედებაზე რეაგირების იერარქიულობის შესაბამისად.

დაცული და განსაზღვრული ტერიტორიები

15. სამთავრობო უწყებების მიერ ტერიტორიები შეიძლება დაცულად განისაზღვროს სხვადასხვა მიზნის გამო, მათ შორის საერთაშორისო კონვენციების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში კანონმდებლობა შეიძლება გულისხმობდეს დაცული ტერიტორიების ან მიმდებარე ადგილების განვითარებას. ზემოთ, მე-14 პუნქტში მოყვანილი შესაბამისი მოთხოვნების გარდა, კლიენტმა:
    - შემოთავაზებულ პროექტზე კონსულტაციები უნდა გაიაროს მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად დაცული ტერიტორიების სპონსორებთან და მენეჯერებთან, ადგილობრივ თემებთან და ძირითად დაინტერესებულ წრეებთან,
    - უნდა დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი შემოთავაზებული განვითარება ამ ტერიტორიებზე იურიდიულად ნებადართულია და რომ ასეთი ნებართვის ასაღებად საჭირო პროცესი დაცულია მასპინძელი ქვეყნის და, საჭიროების შემთხვევაში - კლიენტის მიერ და რომ განვითარება წარიმართება ზემოქმედებაზე რეაგირების იერარქიული სისტემის თანახმად (თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა, შემცირება, დაბალანსება),
    - უნდა განახორციელოს დამატებითი პროგრამები დაცული ტერიტორიის კონსერვაციის მიზნების სტიმულირებისა და გაძლიერებისთვის.

ინვაზიური შემოტანილი სახეობები

16. ადგილობრივ ჰაბიტატში უცხო სახეობების შემთხვევითმა ან მიზანმიმართულმა გაშვებამ ან შემოტანამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიოს ბიომრავალფეროვნებაზე.
    - კლიენტები გამიზნულად არ შემოიყვანენ უცხო ან არაადგილობრივ სახეობებს ადგილებში, სადაც ისინი ჩვეულებრივ არ არსებობენ, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ეს ხორციელდება მარეგულირებელი სქემის თანახმად. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ინვაზიურად ცნობილი სახეობების შემოყვანა ახალ გარემოში.
    - დეტალური შესწავლისას კლიენტები შეაფასებენ უცხო სახეობების შემთხვევითი გადაცემის და გამოსვლის ალბათობას (მაგალითად, რისკების ანალიზის ჩატარებით) და გამოავლენენ ზომებს გამოსვლის შესაძლებლობათა მინიმუმამდე დასაყვანად.
    - საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გადაზიდვების საკითხზე ევრობანკი ხელმძვანელობს საერთაშორისო კონვენციით ხომალდების საბალასტო წყლებისა და სედიმენტების კონტროლისა და მართვის შესახებ. კლიენტებს მოეთხოვებათ ამ კონტექსტში შემუშავებული შესაბამისი ვალდებულებების დაკმაყოფილება.

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები

17. ევროკავშირის რამდენიმე დირექტივა შეეხება გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ბუნებაში მიზანმიმართულ გაფრქვევას (ევროკავშირის დირექტივა 2001/18/EC), ადამიანის ან ცხოველის საკვების ბაზარზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან შემდგარი ან მათი შემცველი პროდუქტების გამოშვებას (ევროკავშირის მარეგულირებელი დოკუმენტი 1829/2003), გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ექსპორტს ან არაგანზრახულ საერთაშორისო ტრანსპორტირებას და შეზღუდულ მოხმარებას (მაგალითად, კვლევის მიზნით) (დირექტივა 98/81/EC) და აღრიცხვასა და მონაცემთა მოძიებას (მარეგულირებელი დოკუმენტები 1829/2003, 1830/2003). ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში კლიენტს მოეთხოვება, დააკმაყოფილოს შესაბამისი ეროვნული და ადგილობრივი მოთხოვნები და პოლიტიკა. ამგვარად, არავითარი გენმოდიფიცირებული ორგანიზმი გამოყენებული ან გაშვებული არ უნდა იქნეს ბუნებაში კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე ან იმ ტერიტორიებზე, რომლებიც შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონად. ევრობანკის სხვა წევრ ქვეყნებში კლიენტმა უნდა იქონიოს ფრთხილი მიდგომა და რისკის შეფასება ჩაატაროს ევროკავშირის მოთხოვნებისა და წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად. ევრობანკიც გაითვალისწინებს ხსენებულ ფაქტორებს მის დეტალურ შესწავლაში.

ცოცხალი რესურსების მდგრადი განვითარება და გამოყენება

18. კლიენტები მოახდენენ ცოცხალი რესურსების მდგრად მართვას. ცოცხალი რესურსების მომცველ პროექტებზე დაფინანსების მსურველი კლიენტები დეტალურ შესწავლას ჩაატარებენ რესურსების გამოყენების მდგრადობის შესაფასებლად შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:
    - ნებისმიერი რესურსის გამოყენების საჭიროება გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკოსისტემაში მასზე დაკისრებული ფუნქციების მხედველობაში მიღებით. მაგალითად, ტყეების სრულმა გაჩეხვამ შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის ეროზია, საზიანო ზემოქმედება მოახდინოს წყლების ჰიდროლოგიასა და სათევზაო ადგილებზე. ხსენებულის მსგავსად, ერთ რომელიმე სახეობაზე გადაჭარბებულმა თევზაობამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ეკოლოგიურ ბალანსზე და გრძელვადიან პერიოდში – ეკოსისტემის ერთიანობაზე,
    - ფრთხილი დამოკიდებულება უნდა იქნეს გამოყენებული და ნაერთი ან კუმულაციური ზემოქმედება უნდა იქნეს გათვალისწინებული,
    - ცოცხალი რესურსების მომხმარებლები უნდა ცდილობდნენ, მინიმუმამდე დაიყვანონ ნარჩენები და საზიანო ზემოქმედება გარემოზე, მომხმარებლებისგან სარგებლის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებით,
    - ადგილობრივი ტერიტორიისთვის არაბუნებრივი, შეთავსებაზე ან ადგილობრივ სახეობებთან მიმართებით დომინირებაზე შეუმოწმებელი სახეობების ან პოპულაციების დარგვა ან მოყვანა შეზღუდული უნდა იყოს ან ექვემდებარებოდეს ადეკვატურ კვლევებს და გამოყენებამდე დამტკიცებას,
    - გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ძირძველი და ადგილობრივი თემების საჭიროებები, რომლებიც პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე ან მის მახლობლად ცხოვრობენ ან რომელთა მიერ ბიომრავალფეროვნების რესურსების გამოყენებაზე შეიძლება

იმოქმედოს პროექტმა, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ადამიანების პოტენციური პოზიტიური როლი ეკოსისტემის კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებაში.

19. პროექტის რესურსების გამოყენების მდგრადობის შეფასებისას ევრობანკი იხელმძღვანელებს *ადის-აბების პრინციპებით ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენების შესახებ,* რომლებიც გულისხმობს ბიომრავალფეროვნების რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფას[28]. ევრობანკი წაახალისებს პროექტებს, შესაბამის მთავრობებს და სხვა პასუხისმგებელ უწყებებს ეკოსისტემის მართვის ხარჯების ინტერნალიზაციისკენ. სატყეო და თევზჭერის სექტორში მოქმედი კლიენტები ასევე გამოიყენებენ ქვემოთ მოყვანილ შესაბამის პირობებს.

ბუნებრივი და პლანტაციური ტყეები

20. შელახული მიწის ან ტყეების ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაცია უნდა დაექვემდებაროს დეტალურ შესწავლას ზემოთ აღწერილის თანახმად. კრიტიკული ჰაბიტატი არ უნდა შეიცვალოს ან დეგრადირდეს. სატყეო სექტორში მოქმედ კლიენტებს მოეთხოვებათ იმის უზრუნველყოფა, რომ მათ მართვასა და კონტროლს დაქვემდებარებული ბუნებრივი ტყეები და პლანტაციები დამოუკიდებლად იქნენ სერტიფიცირებულნი სატყეო მეურნეობების მმართველი საბჭოს მიერ გამოცემულის მსგავსი საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებით. თუ დეტალური შესწავლა გამოავლენს, რომ ტყეების მართვის პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ხსენებულ სტანდარტებს, კლიენტებმა უნდა შეიმუშაონ მართვის გეგმა ევრობანკის მიერ გონივრულად განსაზღვრულ ვადებში შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სატყეო პროდუქტების მოსავლის აღება მდგრადი განვითარების პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

თევზსარეწი მეურნეობები

21. თევზჭერაზე ან სხვა აკვატორიულ სახეობებზე მომუშავე კლიენტებმა უნდა დაუდასტურონ ევრობანკს, რომ მათი საქმიანობა (თევზჭერიდან გადამუშავების ჩათვლით) მდგრადი განვითარების პრინციპებს ემყარება. ეს პირობა შეიძლება დაკმაყოფილდეს დამოუკდებელი სერტიფიკატის[29] მიღებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დეტალური შესწავლის პროცესში ჩატარებული კვლევებით. თევზის რეწვა არ შემოიფარგლება მხოლოდ თევზჭერით. რეპოპულაცია ან განსხვავებული სახეობების ან პოპულაციების შემოყვანა (განსაკუთრებით ისეთ დახურულ გარემოში, როგორიცაა ტბები) არ უნდა გულისხმობდეს არსებული თევზის სახეობების განადგურებას ან ჩანაცვლებას.

მიწოდების ჯაჭვი

---

[28] მდგრადი გამოყენება ან მართვა მიიჩნევა რესურსების იმგვარ ექსპლუატაციად, რომელიც ადამიანებს და ადგილობრივ თემებს აძლევს არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საშუალებას და ამასთანავე მათი პოტენციალის მდგრადობას განაპირობებს სამომავლო გენერაციის და სიცოცხლის მხარდამჭერი ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ეკოსისტემების გონივრულ განვითარების კუთხით, ასევე კრიტიკული ჰაბიტატის გრძელვადიანი ერთიანობის უზრუნველყოფით.

[29] როგორიცაა, მაგ. საზღვაო წყლების მართვის საბჭოს *პრინციპები და კრიტერიუმები მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული თევზჭერის შესახებ.*

22. თუ პროექტი ცოცხალი რესურსების (შემდეგში „რესურსები“) გარე მომწოდებლების გამოყენებას ითვალისწინებს, რომლებზეც კლიენტი მართვის კონტროლის ბერკეტებს არ ფლობს, და თუ ეს რესურსები აქტუალურია პროექტის ფუნქციების განხორციელების საქმეში, კლიენტმა უნდა დანერგოს და განახორციელოს რესურსების მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული შესყიდვების პოლიტიკა, პროცედურები და სამოქმედო გეგმა, რათა:
    - შესყიდული იქნეს მხოლოდ იურიდიული და მდგრადი განვითარების პრინციპით მოყვანილი რესურსები,
    - მონიტორინგი წარმოებდეს რესურსების წარმომავლობაზე,
    - რესურსები წარმოშობილი არ უნდა იყოს დაცულ ტერიტორიებზე ან ისეთ ადგილას, რომელიც მიჩნეულია მაღალი ეკოლოგიური ფასეულობის მქონედ, და ბიომრავალფეროვნება და შესაბამისი ეკოსისტემის ფუნქციები დაცულია საერთაშორისო მასშტაბით და ეროვნულ დონეზე დამტკიცებული პრინციპების შესაბამისად.

    კლიენტებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ შეძლებისდაგვარად მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მართვის საერთაშორისო პრინციპებით სერტიფიცირებული რესურსების შესყიდვას.

ბიომრავალფეროვნება და ტურიზმი

23. ახალი ან მნიშვნელოვნად გაფართოებული ტურიზმის და ინფრასტრუქტურის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებებით უნდა დაკმაყოფილდეს *ბიომრავალფეროვნების და ტურიზმის განვითარების ინსტრუქცია*[30]. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს საბაზისო ინფორმაციის საჭიროებებს, მხედველობაში მისაღებ საკითხებს, ზემოქმედების შემცირების, შესაბამისი მონიტორინგის და ანგარიშგების არსს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტის შესაბამის სამოქმედო გეგმაში.

[30] გათვალისწინებულია ბიომრავალფეროვნების საბჭოს გადაწყვეტილებაში COP 7, რომლის ასლი შეგიძლიათ იხილოთ ევრობანკის ინტერნეტგვერდზე.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 7:
ძირძველი მოსახლეობა

შესავალი

1. კერძო სექტორის პროექტებმა შეიძლება ძირძველ მოსახლეობას შეუქმნას პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაში მონაწილეობისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რაც ამ მოსახლეობას დაეხმარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიღწევაში. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა აღიარებს, რომ ძირძველ მოსახლეობას თავისი როლის შესრულება შეუძლია ღია საბაზრო ეკონომიკად ქვეყნის გარდაქმნის პროცესში კერძო სექტორისა და მთავრობის წარმომადგენლებთან პარტნიორობით საქმიანობისა და საწარმოების მართვით.

2. *პარტნიორობა.* წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა ძირძველ მოსახლეობას პარტნიორებად აღიქვამს, პატივს სცემს მათ როგორც ხალხს და ისეთ ადამიანებს, რომლებსაც დიდი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ეროვნულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. თუმცა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა აცნობიერებს, რომ ძირძველი მოსახლეობა, როგორც ეროვნული საზოგადოებისგან განსხვავებული იდენტურობის მქონე სოციალური ჯგუფი, ხშირ შემთხვევებში ყველაზე მარგინალიზებული და დაუცველი სეგმენტია ქვეყნის მოსახლეობაში. ამ ადამიანების ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული სტატუსი ხშირად ზღუდავს მათ საკუთარი ინტერესების და უფლებების დაცვაში მიწის, ბუნებრივი და კულტურული რესურსების კუთხით. იზღუდება ასევე მათი მონაწილეობის შესაძლებლობა განვითარებისგან მიღებული სარგებლის გაზიარებაში. ისინი განსაკუთრებით დაუცველნი არიან იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება მათი მიწებისა და რესურსების ტრანსფორმაცია ან მნიშვნელოვანი დეგრადაცია იმ ადამიანების მიერ, ვინც არ მიეკუთვნება ადგილობრივ თემებს.

3. *განსაკუთრებული ზომების აუცილებლობა.* წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა აცნობიერებს, რომ ძირძველი მოსახლეობის იდენტურობა, კულტურა, მიწა და რესურსები უნიკალურადაა გადახლართული და განსაკუთრებით დაუცველია გარკვეული სახის ინვესტიციებით გამოწვეული ცვლილებების წინაშე, რაც საშიშროებას უქმნის მათ ენას, კულტურას, რელიგიას, სულიერებას, რწმენას და დაწესებულებებს. ეს ფაქტორები ძირძველ მოსახლეობას აყენებს სხვადასხვა სახის რისკებისა და სერიოზული ზემოქმედების წინაშე, რაც ასევე გულისხმობს იდენტურობის, კულტურის და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებულ წეს-ჩვეულებების დაკარგვას, გაღარიბებისა და დაავადებების საშიშროებას. ასევე აღიარებულია, რომ მამაკაცებისა და ქალების როლი ძირძველი მოსახლეობის კულტურაში ხშირად განსხვავებულია დომინანტური ჯგუფისგან და რომ ქალები და მათი შვილები ხშირად გარიყულნი არიან თემის შიგნითაც და გარე განვითარებების შედეგადაც. ამ რეალობების გათვალისწინებით, ძირძველ მოსახლეობასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად რთული და კომპლექსურია. ამგვარად, განსაკუთრებული ზომებია საჭირო, რათა ძირძველმა მამაკაცებმა და ქალებმა თავი გარიყულად არ იგრძნონ,

შეძლებისდაგვარად ჩაერთონ და ისარგებლონ ევრობანკის მიერ მხარაჭერილი პროექტებიდან.

4. *თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის აუცილებლობა.* წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა აცნობიერებს ძირძველი მოსახლეობის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში[31] ჩამოყალიბებულ პრინციპს, რომელიც გულისხმობს პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობის წინასწარი ინფორმირებული თანხმობის მიღებას საპროექტო საქმიანობის განსახორციელებლად, 31-37 პუნქტებში განსაზღვრულის თანახმად, რადგან ძირძველი მოსახლეობა განსაკუთრებით დაუცველია ასეთი პროექტების საზიანო ზემოქმედებისგან.

5. *ევრობანკის სამოქმედო ქვეყნები:* წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა აცნობიერებს, რომ ევრობანკის სამოქმედო ქვეყნებში ძირძველი მოსახლეობის პირობები უნიკალურია მათი განსაკუთრებული ისტორიიდან გამომდინარე. ძირძველი მოსახლეობა აღარ მისდევს მხოლოდ ჩვეულ საარსებო საქმიანობას და მათი იდენტურობაც აღარ ასოცირდება მხოლოდ ტრადიციულ ცხოვრების წესთან. უფრო მეტიც, აღიარებულია, რომ ძირძველი მოსახლეობა ხშირად შერეულ ეთნიკურ დასახლებებში ცხოვრობს, მაგრამ, ამავე დროს, ნომადიზმის ან ტრანსჰუმანსის არსებობა, ასევე არანებაყოფლობითი გადასახლების ისტორია გულისხმობს იმას, რომ დამოკიდებულება კონკრეტულ ტერიტორიებზე მიჯაჭვულობაზე ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი.

მიზნები

6. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შემდეგ კონკრეტული მიზნებს ემსახურება:

- გარდაქმნის პროცესით გაძლიერდეს პატივისცემა ძირძველი მოსახლეობის ღირსების, უფლებების, სურვილების, კულტურისა და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული არსებობის მიმართ,
- თავიდან იქნეს აცილებული პროექტის საზიანო ზემოქმედება ძირძველი მოსახლეობის არსებობასა და ცხოვრების წესზე, ხოლო თუ ამ ზემოქმედების თავიდან აცილება გარდაუვალია – მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, შემსუბუქდეს ან კომპენსირებული იქნეს,
- ძირძველ მოსახლეობას პროექტიდან სარგებლის მიღების საშუალება მიეცეს ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი სახით,
- მხარი დაეჭიროს კლიენტის მიერ პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში ურთიერთობის დამყარებას და შენარჩუნებას,
- ხელი შეეწყოს კლიენტის კეთილ ნებაზე დაფუძნებულ მოლაპარაკებებს ძირძველ მოსახლეობასთან და ამ უკანასკნელის ინფორმირებულ მონაწილეობას, როდესაც პროექტების განხორციელება განსაზვრულია ძირძველი მოსახლეობის ტრადიციულ ან ჩვეულ ტერიტორიაზე, როდესაც

[31] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაცია ძირძველი მოსახლეობის უფლებების შესახებ მიღებული იქნა 2007 წლის 13 სექტემბერს.

პროექტი ზემოქმედებას მოახდენს მათ ჩვეულ ან არატრადიციულ ცხოვრების წესზე ან როდესაც მოხდება ძირძველი მოსახლეობის კულტურული რესურსების კომერციული ექსპლუატაცია,

- აღიარებული, პატივცემული და სრულად გათვალისწინებული იქნეს ძირძველი მოსახლეობის კანონები და ადათ-წესები,
- პატივცემული და დაცული იქნეს ძირძველი მოსახლეობის კულტურა, ცოდნა და პრაქტიკა მათი სურვილების შესაბამისად.

გამოყენების მასშტაბი

7. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შეეხება პროექტებს, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ძირძველ მოსახლეობაზე.

8. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება განსაზღვრული იქნება ევრობანკის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში 9-12 პუნქტებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ქმედებების განხორციელების მართვა უნდა მოხდეს წინამდებარე და პირველი, მე-5, მე-8 და მე-10 სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად.

9. არ არსებობს „ძირძველი მოსახლეობის“ უნივერსალურად აღიარებული განმარტება. სხვადასხვა ქვეყანაში ეს ხალხი სხვადასხვა ტერმინით შეიძლება მოიხსენიებოდეს.

10. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადსა და სამოქმედო მოთხოვნაში ტერმინი „ძირძველი მოსახლეობა“ გამოიყენება ტექნიკური მნიშვნელობით, ეროვნული საზოგადოების დომინანტური ნაწილისგან განსხვავებული სოციალური და კულტურული უმცირესობების აღსანიშნავად, რომლებიც სხვადასხვანაირად შეესაბამებიან შემდეგ მახასიათებლებს:

    - თვითიდენტიფიცირება გამოკვეთილი ძირძველი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფის სახით და სხვა ჯგუფების მიერ მათი იდენტურობის აღიარება,
    - კოლექტიური მიჯაჭვულობა გეოგრაფიულად განსხვავებულ ჰაბიტატთან, ტრადიციულ ტერიტორიებთან ან შთამომავლობით მიღებულ მიწებთან, ბუნებრივ რესურსებთან, ჰაბიტატთან და ტერიტორიებთან[32] პროექტის განხორციელების არეალში,

[32] ჯგუფი, რომელსაც დაკარგული აქვს „კოლექტიური მიჯაჭვულობა გეოგრაფიულად განსხვავებულ ჰაბიტატთან ან შთამომავლობით მიღებულ ტერიტორიებთან პროექტის განხორციელების არეალში“ საცხოვრებლის იძულებით დატოვების გამო, აკმაყოფილებს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობებს, თუ პროექტის ფარგლებში მოხდება. „საცხოვრებლის იძულებით დატოვება“ გულისხმობს კოლექტიური მიჯაჭვულობის დაკარგვას გეოგრაფიულად გმოკვეთილი ჰაბიტატისადმი ან შთამომავლობით მიღებული მიწებისადმი ამ ჯგუფის ცხოვრების განმავლობაში კონფლიქტის, მთავრობის გადასახლების პროგრამის, მიწების ჩამორთმევის, ბუნებრივი კატაკლიზმების ან ამ ტერიტორიების ურბანულ ზონაში შეყვანის შედეგად. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებისთვის, „ურბანული ტერიტორია“ ჩვეულებრივ გულისხმობს ქალაქს და ითვალისწინებს შემდეგ მახასიათებლებს, რომელთაგან არც ერთი არ არის დამოუკიდებლად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე: (ა) ეროვნული კანონმდებლობით ტერიტორია იურიდიულად განსაზღვრულია ურბანულად, (ბ) მჭიდროდ არის დასახლებული, (გ) დიდია არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობის პროპორციული თანაფარდობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან.

- წარმომავლობა იმ ხალხებისგან, რომლებიც ტრადიციულად[33] მისდევდნენ არაანაზღაურებად (ხშირად ნომადურ/ტრანსჰუმანისტურ) საარსებო საქმიანობის სტრატეგიას და რომელთა სტატუსი რეგულირდებოდა საკუთარი ადათ-წესებითა და ტრადიციებით ან განსაკუთრებული კანონებითა და ნორმებით,
- დამახასიათებელი კულტურული, ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური დაწესებულებების გამიჯვნა დომინანტური საზოგადოების ან კულტურისგან,
- გამორჩეული ენა ან დიალექტი, ხშირად განსხვავებული ქვეყნის ან რეგიონის ოფიციალური ენის ან დიალექტისგან.

11. ის ფაქტი, რომ ჯგუფი ან ჯგუფის წევრები ეწევიან ნომადური ან ტრანსჰუმანისტური ცხოვრების წესს, ცხოვრობენ შერეულ ან ურბანულ თემებში და/ან მხოლოდ სეზონურად სტუმრობენ თავიანთ ტრადიციულ მიწებს საცხოვრებლის იძულებით დატოვების შედეგად, არ შეიძლება უპირობოდ გულისხმობდეს მათზე წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენების გამორიცხვას.

12. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებისთვის, კონკრეტული ჯგუფის ძირძველ მოსახლეობად ჩათვლისთვის ევრობანკმა შეიძლება ექპერტთა რეკომენდაციები გამოიყენოს.

მოთხოვნები

13. პროექტის ფარგლებში ძირძველ მოსახლეობაზე ზემოქმედების[34] ალბათობის შემთხვევაში კლიენტს მოეთხოვება, განახორციელოს ძირძველ მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასება (იხილეთ ქვემოთ). ამ ქმედების შედეგებზე დაყრდნობით კლიენტს მოეთხოვება უპირველესად საზიანო ეფექტის თავიდან აცილება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმის შემუშავება (21-ე პუნქტში ჩამოყალიბებულის თანახმად), რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი და/ან შემცირებული ნებისმიერი პოტენციური საზიანო ზემოქმედება და გამოვლინდეს სარგებელი. კლიენტს ასევე მოეთხოვება, უზრუნველყოს ინფორმირებული კონსულტაციები პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან და მისი მონაწილეობა, დანერგოს კონკრეტული გასაჩივრების მექანიზმი, გამოავლინოს და განსაზღვროს კომპენსაციებისა და სარგებლის გაზიარების შესაბამისი პირობები.

14. თუ ევრობანკის მონაწილეობამდე კლიენტს დაწყებული აქვს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა, რამაც შესაძლოა უკვე მოახდინა და/ან შემდგომში მოახდინოს ზემოქმედება ძირძველ მოსახლეობაზე, ჩატარდება დეტალური შესწავლა, რათა გამოვლინდეს (ა) ნაკლოვანებები, (ბ) წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი გამოსასწორებელი ქმედებები, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს ხსენებული სამოქმედო გეგმის შეთანხმება.

---

[33] ეს პირობა აქტუალურია მაშინაც კი, როდესაც მცდელობა აღარ ხორციელდება ზემოთ მოყვანილი სქოლიოს შესაბამისად.

[34] პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობაა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის და/ან ტრადიციული კულტურისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანების ჯგუფი, რომლებზეც პროექტი ახდენს გავლენას.

15. თუ საჭირო რესურსები კლიენტის ორგანიზაციის შიგნით არ მოიპოვება, სოციალური საკითხების გამოცდილი და დამოუკიდებელი სპეციალისტის რეკომენდაციები უნდა იქნეს გამოყენებული პროექტის შემუშავებისა და განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

შეფასება

16. თუ არსებობს ეროვნული იურიდიული მოთხოვნა კონკრეტული სახის სოციალურ შეფასებაზე, კლიენტმა უნდა ჩაატაროს იგი და შეფასების ანგარიში გაუგზავნოს ევრობანკს, ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი სოციალური შეფასების გარდა.

17. იმ შემთხვევებში, თუ პროექტი ჯერ არ დაწყებულა, კლიენტი სოციალური შეფასებისას გამოავლენს ძირძველი მოსახლეობისგან შემდგარ ყველა თემს, რომლებიც შეიძლება პროექტის პოზიტიური ან ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ. პროექტის ზემოქმედების არეალში უნდა გამოვლინდეს აგრეთვე მოსალოდნელი სოციალური, კულტურული (კულტურული მემკვიდრეობის ჩათვლით) და გარემოზე სხვადასხვა ზემოქმედების ხასიათი და მოცულობა. უნდა დაიგეგმოს ზომები (ა) საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად და (ბ) პროექტთან დაკავშირებული სარგებლის გასაზიარებლად.

18. იმ შემთხვევებში, როდესაც მშენებლობა, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა ან ექსპლუატაცია უკვე დაწყებულია, კლიენტმა ევრობანკს უნდა მიაწოდოს დოკუმენტები და ინფორმაცია (წარსულში კომპანიის საქმიანობის ჩათვლით) და ხელისუფლებისადმი უკვე წარდგენილი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში ჩამოყალიბებულ პროცესზე შეძლებისდაგვარად დაყრდნობით გათვალისწინებული იყო პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობის აზრი.

19. თუ მე-18 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ევრობანკი კლიენტს მოსთხოვს, დაუკვეთოს ობიექტური და დამოუკიდებელი კვლევა პროექტის ფარგლებში ძირძველ მოსახლეობაზე შესაძლო ეფექტის და პროექტზე მათი მოსაზრებების გასაგებად. ხსენებული კვლევა ადგილობრივი კულტურისთვის შესაფერისი წესით უნდა განხორციელდეს და ასახოს კვლევის პერიოდისთვის ძირძველი მოსახლეობის ცხოვრებაზე განხორციელებული ზემოქმედება, კლიენტის მიერ საზიანო ზემოქმედების შესამცირებლად და პროექტის სარგებლის გასაზიარებლად განხორციელებული ქმედებები, ასევე პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში ძირძველი მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი.

საზიანო ზემოქმედების თავიდან აცილება

20. ყველა მცდელობა უნდა იქნეს მიმართული იქითკენ, რომ ძირძველ მოსახლეობაზე პროექტის საზიანო ზემოქმედება თავიდან იქნეს აცილებული. თუ ეს შეუძლებელია, კლიენტი მინიმუმამდე დაიყვანს, შეამცირებს ან აანაზღაურებს ამ ზემოქმედებას შესაბამისი და პროპორციული წესით.

ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმის მომზადება

21. კლიენტის მიერ საზიანო ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის, შემცირებისა და ანაზღაურების, ასევე სარგებლის გამოვლენისა და გაზიარების მიზნით შემოთავაზებული ქმედებები ჩამოყალიბებული იქნება ძირძველი მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობით და ასახული იქნება დროში გაწერილ გეგმაში, რომელსაც ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმა ეწოდება; ან უნდა მოხდეს მთელი თემის განვითარების გეგმის შედგენა, სადაც ცალკე კომპონენტად გამოიყოფა ძირძველი მოსახლეობა. კლიენტი დაიქირავებს სოციალურ საკითხთა კვალიფიციურ მეცნიერ-თანამშრომლებს შესაბამისი და საჭირო ტექნიკური გამოცდილებით ხსენებული გეგმის მოსამზადებლად.

    ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმის დეტალურობა და მასშტაბი განსხვავებული იქნება სხვადასხვა პროექტებში თავად პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით. ზოგადად ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმა შემდეგ კომპონენტებს უნდა მოიცავდეს:

    ნაწილი I – სოციალური შეფასების მოკლე ანოტაცია
    - საბაზისო ინფორმაცია
    - ძირითადი დასკვნები: ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების ანალიზი

    ნაწილი II – კონსულტაციები და მონაწილეობა
    - კონსულტაციების შედეგები და სამომავლო ჩართულობის გეგმა

    განხორციელების გეგმა
    - ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან შემცირების და პოზიტიური ზემოქმედების გაძლიერებისკენ მიმართული ზომები,
    - ბუნებრივი რესურსების თემზე დაფუძნებული მართვის უზრუნველმყოფი ზომები,
    - პროექტის სარგებლის და/ან განვითარების შესაძლებლობების წარმოქმნაზე ორიენტირებული ზომები,
    - გასაჩივრების მექანიზმი,
    - ხარჯები, ბიუჯეტი, გრაფიკი და ორგანიზაციული პასუხისმგებლობა,
    - მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება.

ინფორმაციის გაცემა, შინაარსობრივი კონსულტაციები და ინფორმირებული მონაწილეობა

22. კლიენტი სისტემატურ ურთიერთობას იქონიებს პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან პროექტის დაგეგმვის პროცესის შეძლებისდაგვარად ადრეული ეტაპიდან და პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში. ჩართულობის პროცესი უზრუნველყოფს მათ შინაარსობრივ კონსულტაციებს, რათა სტიმულირებული იქნეს მათი ინფორმირებული მონაწილეობა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ იმოქმედებს მათზე, ასევე ზემოქმედების შესამსუბუქებლად შემოთავაზებულ ზომებთან, განვითარების

სარგებლისა და შესაძლებლობების გაზიარებისა და განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით.

23. კლიენტი უზრუნველყოფს პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობის ადეკვატურ ინფორმირებულობას ადგილობრივი კულტურისთვის შესაფერისი ფორმით ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნების შესახებ, ასევე პროექტის გეგმების შესახებ, რომლებიც მათზე მოახდენს ზემოქმედებას.

24. თემის ჩართულობის პროცესი ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი წესით უნდა წარიმართოს, ძირძველი მოსახლეობის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესის პატივისცემით და მათზე პოტენციური ზემოქმედებისა და რისკების შესაბამისად. კლიენტმა უნდა დაუმტკიცოს ევრობანკს, რომ პროცესი ადეკვატურად განხორციელდა.

25. ჩართულობის პროცესი კონკრეტულად უნდა გულისხმობდეს შემდეგს:
    - ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლობითი ორგანოების (მაგალითად, თავკაცების ან სოფლის საბჭოს და ა.შ.), ორგანიზაციებისა და ცალკეული ძირძველი მოსახლეების მონაწილეობას,
    - ძირძველი მოსახლეობის კანონების გაცნობიერებას და პატივისცემას,
    - საკმარისი დროის უზრუნველყოფას ძირძველი მოსახლეობის კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის,
    - ძირძველი მოსახლეობის მიერ საკუთარი მოსაზრებების, პრობლემების და წინადადებების გამოთქმის სტიმულირებას მათთვის სასურველ ენაზე, გარედან მანიპულირების, ჩარევის ან დაშინების გარეშე და ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ფორმით,
    - ძირძველი მოსახლეობისთვის ყველა შესაბამისი გეგმისა და ინფორმაციის მიწოდებას გარემოზე პოტენციური ზემოქმედებისა და პოტენციური სოციალური ზემოქმედების შესახებ ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ფორმით და ენაზე, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე,
    - თემის ჰეტეროგენულობის გაცნობიერებას შემდეგის გათვალისწინებით:
        - ძირძველი მოსახლეობა ცხოვრობს შერეულ თემებში სხვა არაძირძველ მოსახლეობასთან ერთად,
        - ძირძველი მოსახლეობა მრავალმხრივია. კონსულტაციები და მონაწილეობა უნდა წარმოებდეს ორივე სქესის და ყველა თაობის წარმომადგენლებთან, ასევე გარიყულ ჯგუფებთან,
        - შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ევრობანკს და საჭიროების შემთხვევაში ევრობანკმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კონსულტაციების პროცესში.
    - კონსულტაციების პროცესის სრულ დოკუმენტირებას[35].

გასაჩივრების მექანიზმი და ეთნიკური დისკრიმინაციის პრევენცია

[35] ეს შეიძლება გულისხმობდეს წერლობით სტენოგრაფიულ და/ან აუდიოჩანაწერებს.

26. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ პროექტისთვის მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბებულ გასაჩივრების მექანიზმს ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ფორმა ჰქონდეს და ძირძველ მოსახლეობას მასზე ხელი მიუწვდებოდეს. ეს შეიძლება გულისხმობდეს წერილობითი პროცედურების ნაცვლად მეტ პირად (ზეპირ) ურთიერთობას.

27. ევრობანკი არ დააფინანსებს პროექტებს, რომლებშიც კლიენტი გამორიცხავს ძირძველი მოსახლეობის მონაწილეობას ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე. ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სადაც შეფარული მიზეზების გამო ეთნიკური ნიშნით გამოირიცხება ძირძველი მოსახლეობის და ინდივიდების მონაწილეობა ისეთი სარგებლის გაზიარებაში, როგორიცაა დასაქმების შანსები, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი გამოსასწორებელი ზომები: (ა) ძირძველი მოსახლეობის ორგანიზაციების და ინდივიდების ინფორმირება შრომის, სოციალური, ფინანსური და სამეწარმეო კანონმდებლობით განსაზღვრული მათი უფლებების, ასევე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ, (ბ) ინფორმაციის შესაბამისი და ეფექტური გავრცელება, ტრენინგი, ბარიერების მოხსნის ზომები ისეთი სარგებლისა და რესურსების გამოყენებისას, როგორიცაა კრედიტები, დასაქმება, ბიზნესი მომსახურება, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სამსახურები, პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი და სტიმულირებული სხვა სარგებელი, (გ) მომუშავე, მეწარმე და ბენეფიციარი ძირძველი მოსახლეობისათვის იმავე დამცავი მექანიზმების უზრუნველყოფა, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობა გულისხმობს სხვა ინდივიდებისათვის მსგავს კატეგორიებსა და სექტორებში, გენდერული საკითხების, საქონლისა და შრომის ბაზრებზე ეთნიკური სეგმენტაციის და ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით.

კომპენსაციების და სარგებლის განაწილება

28. ზემოქმედების შემსუბუქების, სარგებლის გაზიარების და დამახასიათებელი ცხოვრების წესის მხარდაჭერისკენ მიმართული ზომების განსაზღვრას მონაწილეობრივი მიდგომა დაედება საფუძვლად. ევრობანკი კლიენტს მოსთხოვს, უშუალოდ აუნაზღაუროს პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობას საარსებო წყაროს დაკარგვა (კომპენსაცია გამოთვლილი იქნება წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად) პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად და აღადგინოს ნებისმიერი მიწის ნაკვეთი თავდაპირველ მდგომარეობამდე. კომპენსაციის მიღების კრიტერიუმები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, კოლექტიური ან ამ ორი ვარიანტის კომბინაცია. კომპენსაცია უზრუნველყოფილი იქნება დამახასიათებელი ცხოვრების წესის საზიანო ეფექტზე და სახელფასო ან მოგებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ინიციატივაზე წარმოქმნილ ნეგატიურ ზემოქმედებაზე. „დამახასიათებელი ცხოვრების წესი“ თავისუფლად უნდა იქნეს გაგებული (და გულისხმობდეს ისეთ თანამედროვე ადაპტაციებს, როგორიცაა ეთნო-ტურიზმი და სურსათის გადამუშავება). კომპენსაციის გამოთვლისას კლიენტი ადეკვატურად გაითვალისწინებს პროექტის საზიანო სოციალურ ზემოქმედებას ძირძველი მოსახლეობის ტრადიციულ ცხოვრების წესსა და ოჯახურ საქმიანობაზე. ეს უნდა განხორციელდეს

ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობის გზით. წინამდებარე პუნქტის პირობები ასევე შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც კლიენტი ვალდებულია, კომპენსაცია გადაუხადოს ადგილობრივ ან რეგიონულ სამთავრობო ორგანოებს.

29. ძირძველ მოსახლეობასთან კონსულტაციების დროს განხილული უნდა იქნეს კომპენსაციისა და ძირძველი მოსახლეობის განვითარების გეგმის განხორციელების მისაღები და იურიდიულად გამართლებული ფორმები. ხსენებული კონსულტაციების საფუძველზე უნდა შემუშავდეს და შეთანხმდეს კომპენსაციების და/ან რესურსების გადაცემის მექანიზმი. თუ საჭირო გახდა, კლიენტმა დახმარება/მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მართვისა და მმართველობის სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

30. პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან[36] შინაარსობრივი კონსულტაციების და მისი ინფორმირებული მონაწილეობის პროცესში კლიენტი უზრუნველყოფს ადგილობრივი კულტურისთვის მისაღები განვითარების სარგებლის შესაძლებლობებს. ეს შესაფერისი უნდა იყოს პროექტის ზემოქმედების ხარისხთან, ძირძველი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების და მისთვის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების გრძელვადიანი მდგრადობის გაძლიერების მიზნით. კლიენტი დოკუმენტურად ასახავს განვითარების სხვადასხვა გამოვლენილ სარგებელს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობების შესაბამისად და დროულად უზუნველყოფს მათ. ძლიერი მხარდაჭერა უნდა იქნეს აღმოჩენილი დამახასიათებელი საარსებო საქმიანობისთვის, მათ შორის ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის და მისი თანამედროვე ნაირსახეობებისთვის – ხალხური რეწვისა და ეთნოტურიზმისათვის.

განსაკუთრებული მოთხოვნები

31. ძირძველი მოსახლეობა შეიძლება განსაკუთრებით დაუცველი იყოს პროექტთან დაკავშირებულ, ქვემოთ აღწერილ გარემოებებში და ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად მოთხოვნებთან ერთად ამ მოსახლეობას უნდა შეეხოს შემდეგი განსაკუთრებული მოთხოვნები. კლიენტმა უნდა:
    - აწარმოოს კეთილგანწყობილი მოლაპარაკება ძირძველ მოსახლეობასთან,
    - უზრუნველყოს ძირძველი მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობა,
    - მიიღოს ძირძველი მოსახლეობის თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა[37] ქვემოთ აღწერილი საქმიანობის დაწყებამდე.

ქვემოთ აღწერილი გარემოებების შემთხვევაში კლიენტი დაიქირავებს სოციალური საკითხების კვალიფიციურ დამოუკიდებელ მეცნიერ-თანამშრომლებს 32-37 პუნქტებში აღწერილი საქმიანობის განსახორციელებლად და პროცესის დოკუმენტურად ასახვის მიზნით:

[36] როგორც აღწერილია 22-25 პუნქტებში.

[37] თანხმობა გულისხმობს პროცესს, რომლის ფარგლებშიც პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობა იღებს გადაწყვეტილებას, საკუთარი კულტურული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების და პრაქტიკის საფუძველზე, შემოთავაზებულ პროექტში მონაწილეობის მიღებაზე.

ზემოქმედება ტრადიციულ ან ჩვეულ მიწათსარგებლობაზე

32. ძირძველი მოსახლეობა ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწებთან, ტყეებთან, წყლებთან, ველურ ბუნებასთან და სხვა ბუნებრივ რესურსებთან. ამიტომ განსაკუთრებული პირობები უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ პროექტით ხდება ამ კავშირების ხელყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწები შეიძლება მათ იურიდიულ მფლობელობაში არ იმყოფებოდეს ეროვნული კანონმდებლობით, მათი გამოყენება, სეზონური ან ციკლური გამოყენების ჩათვლით, ძირძველი მოსახლეობის სასიცოცხლო, კულტურული, რიტუალური ან რელიგიური მიზნებისთვის – რაც განსაზღვრავს მათ იდენტურობას და თემს, შეიძლება ხშირად დამტკიცებული და დოკუმენტირებული იქნეს.

33. თუ კლიენტი აპირებს პროექტის განხორციელებას ან ბუნებრივი რესურსების კომერციულ განვითარებას იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავებული აქვს ძირძველ მოსახლეობას, და მოსალოდნელია საზიანო ზემოქმედება[38] ადგილობრივი თემის საარსებო წყაროზე ან მიწის კულტურულ, რიტუალურ თუ რელიგიურ გამოყენებაზე, რაც განსაზღვრავს ძირძველი მოსახლეობის იდენტურობას, კლიენტმა ამ მიწების გამოყენებას პატივი უნდა სცეს შემდეგი სახით:
    - კლიენტი კეთილგანწყობილ მოლაპარაკებას წარმართავს პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან და დოკუმენტურად ასახავს მის ინფორმირებულ მონაწილეობასა და მოლაპარაკების შედეგად მიღებულ თანხმობას,
    - კლიენტი დოკუმენტურად ასახავს მის მცდელობებს პროექტისთვის მიწის გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან იმ გამოყენებული ნაკვეთის ზომის მინიმუმამდე დასაყვანად, რომელიც უკავია და/ან რომელსაც ფლობს ძირძველი მოსახლეობა,
    - ძირძველი მოსახლეობის მიწის გამოყენება დოკუმენტირებული იქნება ექსპერტების მიერ პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით, სხვა ძირძველი მოსახლეობის მიწებზე პრეტენზიების უგულებელყოფის გარეშე,
    - პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება ამ მიწებზე ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული მათი უფლებების შესახებ, მათ შორის მიწის მათთვის დამახასიათებელი გამოყენების უფლებებზე კანონის ნებისმიერი მოთხოვნის შესახებ,
    - პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას კლიენტი შესთავაზებს სულ მცირე კომპენსაციას და მიწაზე კომერციული განვითარებისთვის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის პროცესს სრული იურიდიული უფლების მქონე პირებს, ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი შესაბამის განვითარების შესაძლებლობებს; ფულადი კომპენსაციის ნაცვლად შესაძლებლობის შემთხვევაში შეთავაზებული იქნება მიწით ან ნატურით კომპენსაცია,
    - კლიენტი ადეკვატურ დროს მისცემს პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობას შიდა შეთანხმების მისაღწევად და პირდაპირ ან ირიბად თავად არ მოახვევს საკუთარ ნებას,

[38] საზიანო ზემოქმედება შეიძლება გულისხმობდეს (თუმცა არა მხოლოდ) ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია პროექტის სამუშაოების შედეგად აქტივების ან რესურსების დაკარგვით და მიწის გამოყენების ან ტრადიციული ცხოვრების წესის შეზღუდვით.

- კლიენტმა შეიძლება გამოიყენოს ისეთი ფუნქციები, როგორიცაა ომბუდსმენი და/ან ეროვნული სისტემით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საზოგადოებრივი დაწესებულება პროექტზე, მიწის შემოთავაზებულ გამოყენებაზე და ზემოქმედების შემცირების პაკეტზე თემის თანხმობის მისაღებად.

34. პროექტის განხორციელების დროს კლიენტი ევრობანკს მყისიერად შეატყობინებს ინფორმაციას ძირძველ მოსახლეობასთან წარმოქმნილი და გადაუჭრელი ნებისმიერი კონფლიქტის შესახებ, რომელიც ვერ დარეგულირდა პროექტის ფარგლებში შექმნილი გასაჩივრების მექანიზმით. ევრობანკი სიტუაციას შეაფასებს და მიიღებს გადაწყვეტილებას მისი მოგვარების შესაბამის მიდგომასთან დაკავშირებით.

ტრადიციული ან ჩვეული მიწებიდან ძირძველი მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა

35. კლიენტი შეეცდება, გამოძებნოს პროექტის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტები, რათა თავიდან აიცილოს ძირძველი მოსახლეობის გადასახლება ტრადიციული მიწებიდან, რომლებზეც ის ცხოვრობს ან რომლებიც უკავია. თუ გადასახლება გარდაუვალია, კლიენტი არ განახორციელებს მას კეთილგანწყობილი მოლაპარაკების შედეგად პროექტთან შეხებაში მყოფი ძირძველი მოსახლეობისგან თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მიღების გარეშე. ხსენებული მოლაპარაკება უნდა ითვალისწინებდეს ძირძველი მოსახლეობის კანონებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, მიწათსარგებლობის ვადებს და გულისხმობდეს მათ სრულ მონაწილეობას. ძირძველი მოსახლეობის ნებისმიერი გადასახლება უნდა აკმაყოფილებდეს გადასახლების მე-5 სამოქმედო მოთხოვნის პირობების შესაბამისად დაგეგმვის და განხორციელების პირობას. ძირძველმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს სამართლიანი და თანაბარი კომპენსაცია მიწებზე, ტერიტორიებსა და რესურსებზე, რომლებსაც ის ტრადიციულად ფლობდა ან სხვაგვარად ეკავა ან მოიხმარდა და რომლებიც ჩამორთმეული, დაკავებული ან დაზიანებული იქნა პროექტის ფარგლებში მისი თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე.

36. შეძლებისდაგვარად, გადასახლებულ ძირძველ მოსახლეობას უნდა შეეძლოს თავის ტრადიციულ ან ჩვეულ მიწებზე დაბრუნება, თუ ადგილმონაცვლეობის მიზეზი აღარ იარსებებს და მიწის ნაკვეთები სრულად დაუბრუნდება.

კულტურული რესურსები

37. თუ პროექტით გათვალისწინებულია ძირძველი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის გამოყენება კომერციული მიზნებით, კლიენტი ამ მოსახლეობას ინფორმაციას მიაწვდის: (ა) ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებზე, (ბ) შემოთავაზებული კომერციული განვითარების მასშტაბსა და ხასიათზე, (გ) ხსენებული განვითარების პოტენციურ შედეგებზე. კლიენტი არ დაიწყებს ხსენებულ კომერციალიზაციას, თუ: (ა) არ განახორციელებს კეთილგანწყობილ მოლაპარაკებას პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასთან,

(ბ) დოკუმენტურად არ ასახავს მის ინფორმირებულ მონაწილეობას და თავისუფალ, წინასწარ, ინფორმირებულ თანხმობას შემოთავაზებულ ქმედებაზე, (გ) სამართლიანად და თანაბრად არ გაუზიარებს ხსენებული ცოდნის, ინოვაციის ან პრაქტიკის კომერციალიზაციის შედეგად წარმოქმნილ სარგებელს ძირძველ მოსახლეობას მისი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესაბამისად.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 8: კულტურული მემკვიდრეობა

შესავალი

1. ევრობანკი აცნობიერებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, ასევე ხელთუქმნელი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციების თანახმად, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა მიზნად ისახავს შეუცვლელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და კლიენტებისათვის მითითებების მიცემას კულტურულ მემკვიდრეობაზე საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად მათი საქმიანობის პროცესში. ამასთანავე, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობები პროექტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებაზე ეფუძნება ნაწილობრივ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციით განსაზღვრულ სტანდარტებს. ევრობანკი მხარს უჭერს ფრთხილი დამოკიდებულების გამოყენებას კულტურული მემკვიდრობის მართვისა და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული გამოყენებისთვის, რიოს დეკლარაციის თანახმად.

2. კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია ძვირფასი ისტორიული და სამეცნიერო ინფორმაციის დასადგენად, რაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაპირობაა და ერის კულტურული იდენტურობის, პრაქტიკისა და განგრძობადობის განუყოფელი ნაწილია.

3. ხსენებული დაცვისა და კონსერვაციის მიზნების დაკმაყოფილებისას ევრობანკი იხელმძღვანელებს და მხარს დაუჭერს შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების და სხვა ინსტრუმენტების[39] გამოყენებას. ევრობანკი ასევე აღიარებს ყველა მხარის მიერ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ნორმების პატივისცემის აუცილებლობას პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე და ქვეყნის მიერ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ფარგლებში ნაკისრი ვალდებლებების კონტექსტში. ხსენებული კანონები შეიძლება შეეხებოდეს კულტურულ მემკვიდრეობას ან სიძველეებს, არქიტექტურულ ან სამშენებლო ნებართვებს, კონსერვაციის არეალს ან დაცულ ტერიტორიებს, არსებული ისტორიული გარემოს ან ძირძველი მოსახლეობის დაცვას.

მიზნები

[39] ესენია:

- კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 1972 წ. (იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია),
- კონვენცია ხელთუქმნელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2003 წ. (იუნესკოს ხელთუქმნელი მემკვიდრეობის კონვენცია),
- კონვენცია წყალქვეშა მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2001 წ. (იუნესკოს წყალქვეშა მემკვიდრეობის კონვენცია),
- ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის შესახებ, 2005 წ.,
- ავსტრალიის ქარტია კულტურული მნიშვნელობის ადგილების კონსერვაციის შესახებ (ბურას ქარტია)

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შემდეგ მიზნებს ემსახურება:
    1. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მხარდაჭერა ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში,
    2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი საზიანო ზემოქმედებისგან,
    3. ბიზნეს საქმიანობაში კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისგან მიღებული სარგებლის თანაბარი განაწილების სტიმულირება,
    4. კულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერების და მისი დაფასების სტიმულირება.

5. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში კლიენტებისთვის ჩამოყალიბებულია სქემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით ევრობანკის მიერ დაფინანსებული ქმედებების მიზეზით პოტენციური საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – შესაფერისი და პროპორციული წესით მის შესამცირებლად და დასარეგულირებლად.

გამოყენების მასშტაბი

6. წინამდებარე პოლიტიკის განაცხადი შეეხება პროექტებს, რომლებიც სავარაუდოდ ზემოქმედებას მოახდენენ შეუცვლელ კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ სამოქმედო მოთხოვნის პირობები გამოიყენება იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად იყო ადრე კულტურული მემკვიდრეობა იურიდიულად დაცული ან ხელყოფილი.

7. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებისთვის ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ განისაზღვრება როგორც წარსულიდან შემონახული რესურსების ჯგუფი, რომელსაც ადამიანები გამოავლენენ, მფლობელობის საკითხის მიუხედავად, როგორც მათი მუდმივად ევოლუციური ფასეულობების, სარწმუნოების, ცოდნისა და ტრადიციების ამსახველ და გამომხატველ ობიექტს. ეს ტერმინი აერთიანებს ფიზიკურ და ხელთუქმნელ მემკვიდრეობას, რომელთა შორის საზღვრების გავლება მნიშვნელოვან კამათს იწვევს მემკვიდრეობის ექსპერტთა შორის. კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება მიჩნეული იქნეს ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული ფასეულობის ან საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ფასეულობის მქონედ.[40]
    - ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს მოძრავ და უძრავ ობიექტებს, ადგილებს, კონსტრუქციებს, ბუნებრივ მახასიათებლებს და ლანდშაფტს, რაც არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონეა,
    - ხელთუქმნელი კულტურული მემკვიდრეობა გულისხმობს პრაქტიკულ გამოხატულებას, რეპრეზენტაციას, ექსპრესიას, ცოდნას, უნარ-ჩვევებს – ასევე ინსტრუმენტებს, ნივთებს, არტეფაქტებს და მათთან დაკავშირებულ კულტურულ სივრცეებს, რომლებსაც თემები, ჯგუფები და ზოგიერთ შემთხვევებში ინდივიდები აღიარებენ

[40] ტერმინის მოყვანილი განმარტება შეესაბამება საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას. კულტურული მემკვიდრეობა ასევე ცნობილია როგორც კულტურული პატრიმონია, კულტურული აქტივი, კულტურული რესურსი ან კულტურული ქონება.

საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად და რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.[41]

8. ევრობანკი აცნობიერებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობის ან მნიშვნელობის მქონე ადგილები და ობიექტები შეიძლება აღმოჩენილი იქნეს მოულოდნელ ადგილებში, დამტკიცებული პროექტის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების დროს. ამიტომ პროექტმა უნდა დააკმაყოფილოს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობები, თუ ის:
   - გულისხმობს მნიშვნელოვან გათხრებს, ნგრევას, მიწის მოძრაობას, დატბორვას ან ფიზიკური გარემოს სხვაგვარ ცვლილებას,
   - განთავსებულია ქვეყნის მიერ აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს,
   - შესაძლოა საზიანო ზემოქმედება მოახდინოს ძირძველი მოსახლეობის კულტურაზე, ცოდნასა და პრაქტიკაზე.

9. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის გამოყენება სხვა შემთხვევებში განსაზღვრული იქნება ევრობანკის მიერ გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესში (იხილეთ მე-10 პუნქტი ქვემოთ). პროექტები, რომლებიც კონკრეტულად კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ან მართვის მხარდასაჭერად შეიქმნა, ცალკეულად განიხილება ევრობანკის მიერ. საჭიროების შემთხვევაში ევრობანკი კლიენტს შეუთანხმდება წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მართვის გზებზე საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და/ან მართვის სისტემის ფარგლებში. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების და მართვის მოთხოვნები წარმოდგენილია პირველ და მე-10 სამოქმედო მოთხოვნებში.

მოთხოვნები

შეფასება

კულტურული მემკვიდრეობისთვის არსებული რისკებისა და ზემოქმედების ანალიზი

10. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ადრეულ ეტაპზე (იხილეთ პირველი სამოქმედო მოთხოვნა) კლიენტი გამოავლენს, რამდენად მოხდება კულტურული მემკვიდრეობის მოქცევა საზიანო ზემოქმედების ქვეშ პროექტის განხორციელების კონტექსტში და შეაფასებს ნებისმიერი შემთხვევითი აღმოჩენის ალბათობას (იხილეთ მე-16 პუნქტი). ამ პროცესში კლიენტი კონსულტაციებს აწარმოებს შესაბამის სამინისტროებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივ თემებთან.[42] კულტურული რესურსების კვლევის ინტენსიურობა საკმარისი უნდა იყოს რისკებისა და სხვადასხვა ზემოქმედების სრული დახასიათებისთვის, ფრთხილი მიდგომის თანახმად და შესაბამისი დაინტერესებული წრეების შეშფოთების გასათვალისწინებლად.

ზემოქმედება ხელთუქმნელ მემკვიდრეობაზე

---

[41] ხელთუქმნელი მემკვიდრეობის შესახებ კონვენციაში ჩამოყალიბებულის თანახმად.

[42] **იხილეთ პირველი და მე-10 სამოქმედო მოთხოვნები.** A კატეგორიის მქონე პროექტების შემთხვევაში ეს პირობა შეიძლება გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე იქნეს განხილული. იხილეთ მე-10 სამოქმედო მოთხოვნის მე-10 პუნქტი.

11. მიუხედავად იმისა, რომ ხელთუქმნელ კულტურულ მემკვიდრეობაზე პოტენციური ზემოქმედება შეიძლება ნაკლებად შესამჩნევი იყოს, ვიდრე ფიზიკურ კულტურულ მემკვიდრეობაზე, ისინი შეიძლება ტოლი მნიშვნელობის გამოდგნენ. თუ ბუნება მნიშვნელოვან ფაქტორს თამაშობს ტრადიციული უნარ-ჩვევების, ცოდნის და რწმენის საქმეში, ნებისმიერმა გადასახლებამ ან ადგილიდან მოწყვეტამ შეიძლება განაპირობოს ტრადიციული ცოდნის, სარწმუნოების და/ან უმცირესობათა დიალექტებისა და ენების დაკარგვა და საბოლოოდ თემის დეზინტეგრაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება

12. კლიენტი პასუხისმგებელია პროექტის ისეთ ადგილას და იმგვარ ჩამოყალიბებაზე, სადაც თავიდან იქნება აცილებული კულტურული მემკვიდრეობისთვის მნიშვნელოვანი ზიანი. თუ პოტენციური ზემოქმედება ადრეულ ეტაპზე გამოვლინდება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროექტის შემუშავებისა და ადგილის შერჩევის ეტაპებზე საზიანო ზემოქმედების თავიდან აცილებას.

გარდაუვალი ზემოქმედების შეფასება

13. თუ შეუძლებელია ზემოქმედების თავიდან აცილება, წინასწარი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით კლიენტი განახორციელებს კვლევებს პოტენციური ზემოქმედების შესაფასებლად და პროექტში საჭირო ცვლილებების შესატანად. ხსენებული კვლევების მასშტაბი შეთანხმებული იქნება ევრობანკთან ინდივიდუალურ საფუძველზე. კვლევები ჩატარდება კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტების მიერ საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში პირველი სამოქმედო მოთხოვნის თანახმად, ან დამოუკიდებლად. ევრობანკს შეიძლება დასჭირდეს გარეშე ექსპერტების მოწვევა.

14. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება და შემცირება განხორციელდება ეროვნული და/ან ადგილობრივი კანონების, ნორმების და დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების, საერთაშორისო კანონებითა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული პრაქტიკის შესაბამისი პირობების თანახმად. ევრობანკის სამოქმედო ქვეყნების უმრავლესობაში კანონები კრძალავს ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ამოღებას და ადგილების ნგრევას. საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს (თუმცა ამით არ შემოიფარგლება) არქეოლოგიურ ან პალეონტოლოგიურ საველე კვლევას, აღმოჩენილი ნივთების ლაბორატორიულ გამოკვლევას, ახალი აღმოჩენების გამოფენათა მოწყობას და დოკუმენტური სახით ასახვას.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების მართვა

15. კლიენტს მოეთხოვება, საველე კვლევებზე დაყრდნობით ექსპერტების მიერ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შეფასებაზე, ეროვნული კანონმდებლობის და შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებზე, ასევე პროექტთან შეხებაში მყოფ თემებთან კონსულტაციების შედეგებზე დაყრდნობით (იხილეთ მე-17 პუნქტი) შეიმუშაოს შესაბამისი რეაგირების ზომები, რათა შემცირდეს და დარეგულირდეს საზიანო ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე; კლიენტმა ასევე უნდა

შეიმუშაოს ამ ზომების განხორციელების გრაფიკი და გაითვალისწინოს საჭირო ბიუჯეტი. ხსენებული რეაგირების ზომები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ან კონკრეტული კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმაში. კლიენტი ასევე უზრუნველყოფს, რომ რეაგირების ზომებს ზედამხედველობა გაუწიონ ტრენინგგავლილმა და კვალიფიციურმა კადრებმა და რომ პროექტზე მომუშავე კონტრაქტორებს ჰქონდეთ აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება და ხდებოდეს მათი მართვა და მონიტორინგი პირველი სამოქმედო მოთხოვნის მე-19 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად.

შემთხვევითი აღმოჩენების მართვის პროცედურები

16. კლიენტი უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკაში დაინერგოს შემთხვევითი აღმოჩენების მართვის პროცედურები. თავად შემთხვევითი აღმოჩენა გულისხმობს ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობის მოულოდნელ აღმოჩენას პროექტის განხორციელების დროს და ადგილას. ასეთი დროს საჭიროა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება აღმოჩენილი ნივთებისა და ადგილების შესახებ, პროექტში მომუშავე თანამშრომლების გაფრთხილება შემთხვევითი აღმოჩენების ალბათობის თაობაზე, აღმოჩენის ადგილის შემოღობვა დამატებითი ხელყოფის და განადგურების თავიდან ასაცილებლად. კლიენტი არ გადაწყვეტს არც ერთი შემთხვევითი აღმოჩენის ბედს, სანამ დანიშნული და კვალიფიციური სპეციალისტი არ შეაფასებს ნივთს და არ დადგინდება ეროვნული კანონმდებლობისა და წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისი ქმედებები.

პროექტთან შეხებაში მყოფ თემებთან კონსულტაციები

17. თუ პროექტმა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტი კონსულტაციებს გაივლის მასპინძელ ქვეყანაში პროექტთან შეხებაში მყოფ თემებთან, რომლებიც კულტურული მიზნებისთვის ისტორიულად იყენებენ და იყენებდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, რათა გამოავლინოს მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობა და კლიენტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინოს პროექტთან შეხებაში მყოფი თემების მოსაზრებები ასეთ კულტურულ მემკვიდრეობაზე. კლიენტი პროექტთან შეხებაში მყოფ თემებს გამჭვირვალე და გასაგებ ენაზე მიაწვდის ინფორმაციას პროექტის მასშტაბის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობის და ნებისმიერი ისეთი ქმედების შესახებ, რამაც შეიძლება კულტურულ მემკვიდრეობაზე მოახდინოს ზემოქმედება. ხსენებული კონსულტაციები უნდა აკმაყოფილებდეს მე-10 სამოქმედო მოთხოვნის პირობებს და შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების საკითხებზე უფრო ფართომასშტაბიანი კონსულტაციების პროცესში მე-10 სამოქმედო მოთხოვნის შესაბამისად. კონსულტაციები ასევე გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ეროვნული ან ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების ჩართვას. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედება შესაბამისად დარეგულირდება პროექტთან შეხებაში მყოფი თემების ინფორმირებული მონაწილეობით.

18. თუ პროექტით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება კულტურული მემკვიდრეობისთვის, ხოლო ამ ზიანმა ან დანაკარგმა შეიძლება სამოქმედო ქვეყნის იმ კონკრეტული თემის კულტურული ან ეკონომიკური არსებობის საფრთხე წარმოშვას, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობას იყენებს ისტორიული კულტურული მიზნებისთვის, კლიენტმა უნდა დააკმაყოფილოს მე-17 პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნები და არ გააგრძელოს საქმიანობა, თუ ის: (ა) არ აწარმოებს კეთილგანწყობილ მოლაპარაკებას პროექტთან შეხებაში მყოფ თემებთან, (ბ) დუკუმენტურად არ ასახავს მათ ინფორმირებულ მონაწილეობას და მოლაპარაკების წარმატებულ შედეგებს.

კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება პროექტის ფარგლებში

19. თუ პროექტით გათვალისწინებულია ტრადიციული ცხოვრების განმასახიერებელი ადგილობრივი თემების კულტურული რესურსების, ცოდნის, ინოვაციების ან პრაქტიკის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის, კლიენტი მათ ინფორმაციას მიაწვდის: (ა) ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებზე, (ბ) შემოთავაზებული კომერციული განვითარების მასშტაბსა და ხასიათზე, (გ) ხსენებული განვითარების პოტენციურ შედეგებზე. კლიენტი არ დაიწყებს ხსენებულ კომერციალიზაციას, თუ: (ა) არ განხორციელებს კეთილგანწყობილ მოლაპარაკებას პროექტთან შეხებაში მყოფ მოსახლეობასთან, (ბ) დოკუმენტურად არ ასახავს მათ ინფორმირებულ მონაწილეობას და თავისუფალ, წინასწარ, ინფორმირებულ თანხმობას შემოთავაზებულ ქმედებაზე, (გ) სამართლიანად და თანაბრად არ გაუზიარებს ხსენებული ცოდნის, ინოვაციის ან პრაქტიკის კომერციალიზაციის შედეგად წარმოქმნილ სარგებელს მათი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესაბამისად. თუ პროექტით გათვალისწინებულია ძირძველი მოსახლეობის კულტურული რესურსების, ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენება, უნდა მოხდეს მე-7 სამოქმედო მოთხოვნის 37-ე პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების მისადაგება.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 9:
ფინანსური შუამავლები

შესავალი

1. ფინანსური შუამავლები ევრობანკისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური ბაზრების სტიმულირებისთვის და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ევრობანკის დაფინანსების გატარების მექანიზმის უზრუნველყოფისათვის. ფინანსური შუამავლების პარტნიორთა ქსელის გამოყენებით ევრობანკს შეუძლია მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას ისეთ საწარმოებში, რომლებიც თავიანთი მასშტაბით მცირენი არიან და ევრობანკის პირდაპირ დაფინანსებას სხვაგვარად ვერ მოიპოვებენ. ევრობანკი ეხმარება ფინანსური მომსახურების უზრუნველმყოფ სხვადასხვა სუბიექტს – კერძო კაპიტალის ფონდებს, ბანკებს, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიებსა და საპენსიო ფონდებს. ფინანსური შუამავლები გამოიყენება მთელ რიგ საქმიანობებში, მაგალითად, მიკროდაფინანსების, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაკრედიტების, სავაჭრო ოპერაციების დაფინანსების, საშუალო და გრძელვადიანი კორპორატიული ან პროექტების დაფინანსების, ასევე იპოთეკური სესხების უზრუნველსაყოფად.

2. შუამავლის მეშვეობით დაფინანსება თავისი არსით გულისხმობს ევრობანკის მიერ ფინანსური შუამავლისთვის პასუხისმგებლობის დელეგირებას ოპერაციების შეფასებასა და მონიტორინგზე, ასევე საერთო პორტფელის მართვაზე. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ფინანსური შუამავლებისადმი დელეგირებული პასუხისმგებლობის ნაწილია. თუმცა ფინანსურ შუამავლებთან ურთიერთობისას ევრობანკი აგრძელებს იმის შეფასებასა და მონიტორინგს, ადეკვატურად აგვარებს თუ არა ფინანსური შუამავალი მის საქმიანობასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. დელეგირებული პასუხისმგებლობების ზუსტი კატეგორიები და ევრობანკის ზედამხედველობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის ფინანსური შუამავლის ხასიათზე, მის ბიზნეს საქმიანობაზე, უზრუნველყოფილი დაფინანსების სახეობაზე და ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოზე.

მიზნები

3. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შემდეგ მიზნებს ემსახურება:
   - იმგვარი პრაქტიკული მეთოდის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ევრობანკის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მანდატის განხორციელება ფინანსურ შუამავლებში ინვესტირების გზით, კომერციულ საფინანსო სექტორში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად,
   - ფინანსური შუამავლებისათვის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის შესაძლებლობის მინიჭება და კარგი გარემოსდაცვითი და სოციალური ბიზნეს პრაქტიკის სტიმულირება მათ კლიენტებში,
   - გარემოსდაცვითი და საკადრო რესურსების კარგი მართვის სტიმულირება თავად ფინანსურ შუამავლებში.

გამოყენების მასშტაბი

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა შეეხება ყველა პროექტს, რომელსაც მინიჭებული აქვს FI კატეგორია, წინამდებარე პოლიტიკის განაცხადის 24-ე პუნქტის თანახმად.

5. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მიზნებისთვის ტერმინი „პროექტი“ გამოიყენება ევრობანკის მიერ ფინანსური შუამავლების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების აღსანიშნავად, ხოლო „ქვეპროექტი“ გულისხმობს ფინანსური შუამავლების მიერ დაფინანსებულ კლიენტებს/პროექტებს.

6. თუ ევრობანკი საკრედიტო ხაზს ან სხვა მიზნობრივ დაფინანსებას გამოყოფს, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობები შეეხება ევრობანკის რესურსებით დაფინანსებულ ყველა ქვეპროექტს.

7. თუ ევრობანკი ახდენს სრულ ან კვაზი-წილობრივ მონაწილეობას ფინანსური შუამავლის კაპიტალში, წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობები შეეხება ფინანსური შუამავლის მთელ საკრედიტო პორტფელს – კომერციულ ქვეპროექტებს, რომლებიც ევრობანკის აქციონრობის ან ინვესტორობის მომენტიდან არიან წარმოქმნილი, მე-16 პუნქტის თანახმად.

8. თუ ევრობანკი მიიჩნევს, რომ ფინანსური შუამავლის პროექტი მინიმალურ ან არანაირ საზიანო გარემოსდაცვითი ან სოციალურ რისკთან არ არის დაკავშირებული, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურების მხრივ ფინანსურ შუამავალს არ მოეთხოვება არავითარი კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მოთხოვნები

გარემოსდაცვითი და სოციალური დეტალური შესწავლისა და მონიტორინგის პროცედურები

9. ფინანსური შუამავალი დანერგავს და განახორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური დეტალური შესწავლისა და მონიტორინგის პროცედურებს (შემდგომში „პროცედურები“) მის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ევრობანკის პროექტის სახეობის შესაბამისად. ხსენებული პროცედურები შეთანხმებული იქნება ევრობანკთან.

10. თუ ფინანსურ შუამავალს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მას უკვე გააჩნია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურები, ევრობანკი განიხილავს მათ არსსა და ფინანსური შუამავლის განხორციელების შესაძლებლობებს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის კონტექსტში.

11. ფინანსური შუამავალი შეიმუშავებს პროცედურებს, რათა უზრუნველყოს 13-16 პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. პროცედურები ასევე მოიცავს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, მათ შორის:
    - შემოთავაზებული ქვეპროექტების რისკების კატეგორიზაციას,

- კლიენტებისა და ქვეპროექტების დეტალური შესწავლის ვალდებულებას გამოვლენილი რისკების შესაბამისად,
- ქვეპროექტების შედგენას ისე, რომ დაკმაყოფილდეს ეროვნული მოთხოვნები გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, შრომისა და საზოგადოებრივი კონსულტაციების სფეროში, მათ შორის, საჭიროებისამებრ, კლიენტებისთვის გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმების განხორციელების მოთხოვნა, და
- ქვეპროექტების მონიტორინგი გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, უსაფრთხოების, შრომის და საზოგადოებრივი კონსულტაციების შესახებ ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და, გარემოებათა მიხედვით, გამოსასწორებელი სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად.

12. ფინანსური შუამავლების დასახმარებლად პროცედურების პრაქტიკაში განხორციელებაში ევრობანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს პროცედურების მოდელებს და მითითებებს სხვადასხვა სახის ფინანსური შუამავლების და ფინანსური მომსახურებებისთვის. ფინანსურ შუამავლებს, რომლებსაც ჯერ არ გააჩნიათ ეკვივალენტური პროცედურები, მოეთხოვებათ ევრობანკის მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ინსტრუქციის გამოყენება შესაბამის ქვეპროექტების მიმართ.

მოთხოვნები ქვეპროექტებისადმი

13. ფინანსური შუამავლები გააანალიზებენ ყველა ქვეპროექტს ევრობანკის მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური აკრძალვების ნუსხის საფუძველზე, რომელიც თან ერთვის წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნას პირველი დანართის სახით. ნუსხაში მოხსენიებულ სექტორებში შემოთავაზებული ქვეპროექტები არ მიიღებენ დაფინანსებას ფინანსური შუამავლისგან და დაფინანსების შესახებ ასეთ განაცხადებს უარი უნდა ეთქვას.

14. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მე-2 დანართში შეტანილია რამდენიმე ბიზნეს საქმიანობა განსაკუთრებით მაღალი სოციალური და გარემოსდაცვითი რისკებით. თუ ქვეპროექტი გულისხმობს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მე-2 დანართში წარმოდგენილ სფეროებს, ფინანსური შუამავალი ევრობანკს გააცნობს მას და შეეცდება, მიუსადაგოს ევრობანკის შესაბამის სამოქმედო მოთხოვნას. ევრობანკი ფინანსური შუამავლებისგან მოითხოვს ასეთი შემთხვევების შესახებ ინფორმაციის ადრეულ ეტაპზე - დეტალური შესწავლის დაწყებისას - მიღებას. ევრობანკი დაეხმარება ფინანსურ შუამავლებს მათი ქვეპროექტების შეფასებაში. ევრობანკის გარემოს დაცვის/სოციალური დარგის სპეციალისტები განიხილავენ დეტალურ შესწავლაში ფინანსური შუამავლის მიერ თავმოყრილ ინფორმაციას, განსაზღვრავენ დამატებითი ინფორმაციის საჭიროებებს და დაეხმარებიან ზემოქმედების შესაბამისი დარეგულირების ზომების და საჭიროებისამებრ ქვეპროექტების დასამუშავებლად კონკრეტული პირობების შემუშავებაში.

15. ფინანსური შუამავლები ყველა კლიენტს მოსთხოვენ (ა) გარემოს დაცვასთან, (ბ) საზოგადოებრივ კონსულტაციებთან და (გ) დასაქმებასთან, მათ შორის, გამონაკლისის გარეშე, საწარმოო ჯანდაცვასთან,

უსაფრთხოებასთან, ბავშვთა შრომასთან, იძულებით შრომასთან, დასაქმებაში დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან, გაერთიანებებისა და კოლექტიური შეკრებების თავისუფლებასთან დაკავშირებული ეროვნული ნორმებისა და სტანდარტების დაკმაყოფილებას.

16. თუ ფინანსური შუამავალი პროექტის დაფინანსებას[43] გამოყოფს ევრობანკის საკრედიტო ხაზიდან სავარაუდოდ 10 მილიონი ან მეტი აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალურ ხარჯებზე ქვეპროექტისათვის, რომელიც გულისხმობს (ა) ახალ განვითარებას, (ბ) არსებული საწარმოს გაფართოებას ან გადაიარაღებას, რომლის ფარგლებშიც გაზრდილმა მასშტაბმა ან მოცულობამ შეიძლება გარემოზე მნიშვნელოვანი დამატებითი ზემოქმედება ან ასეთივე სოციალური ზემოქმედება წარმოქმნას, ასეთმა ქვეპროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ევრობანკის 1-8 და მე-10 სამოქმედო მოთხოვნები.

17. ევრობანკმა შეიძლება დააწესოს დამატებითი ან ალტერნატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები ფინანსური შუამავლის ხასიათიდან, საკრედიტო პორტფელიდან და სამოქმედო ქვეყნის მახასიათებლებიდან გამომდინარე.[44]

ფინანსური შუამავლების ორგანიზაციული შესაძლებლობები

18. ფინანსური შუამავლები დანერგავენ საკადრო რესურსების პოლიტიკას, მართვის სისტემასა და პრაქტიკას ევრობანკის მე-2 სამოქმედო მოთხოვნის – „შრომისა და სამუშაოს პირობები“ – შესაბამისად.

19. ფინანსური შუამავალი ხელმძღვანელი რგოლის წევრს დანიშნავს და დააკისრებს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე. მას ასევე დაევალება პროცედურების განხორციელების ზედამხედველობა.

---

[43] „პროექტის დაფინანსება“ არის „დაფინანსების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც ფინანსური რესურსის გამცემი უპირველესად აანალიზებს კონკრეტული პროექტით მისაღებ შემოსავლებს როგორც კრედიტის დაფარვის წყაროს და ინვესტიციის გარანტიას. ამ ტიპის დაფინანსება ჩვეულებრივ გამოიყენება დიდი მოცულობის, კომპლექსური და ძვირადღირებული სადგურებისა და დანადგარებისთვის, მაგალითად, ელექტროსადგურებისთვის, ქიმიური გადამუშავების საამქროებისთვის, კარიერებისთვის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის, გარემოსდაცვითი და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისთვის. პროექტების დაფინანსებამ შეიძლება მიიღოს ახალი კაპიტალური საწარმოო ხაზის მშენებლობის ან არსებულის რეფინანსირების ფორმა - გაუმჯობესებებით ან მათ გარეშე. ასეთ ოპერაციებში კრედიტორი ჩვეულებრივ თავის ფულს იღებს მხოლოდ ან თითქმის ექსკლუზიურად ობიექტის პროდუქციის შესყიდვაზე გაფორმებული კონტაქტების ფარგლებში მიღებული შემოსავლებიდან, მაგალითად, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენეგრიის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. მსესხებელი ჩვეულებრივ სპეციალიზირებული საწარმოა, რომელსაც არ გააჩნია სხვა ფუნქცია, გარდა პროფილური პროექტის შემუშავების, ფლობის და ექსპლუატაციისა. ამის შედეგად სესხის დაფარვა დამოკიდებულია უპირატესად პროექტის ფინანსურ ნაკადებზე და პროექტის აქტივების საგირავნო ღირებულებაზე”. წყარო: ბაზელის კომიტეტის პუბლიკაცია საბანკო ზედამხედველობის, კაპიტალური პარამეტრების და სტანდარტების საერთაშორისო მოცვის არეალზე (ბაზელი II), 2005 წლის ნოემბერი http://www.bis.org/publ/bcbs118.pdf

[44] მაგალითად, თუ ქვეყანას არ განუხორციელებია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა ძირითადი კონვენციის რატიფიკაცია [შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები 29 და 105 (იძულებითი ან სავალდებულო შრომა), 87 (გაერთიანებების უფლება), 98 (კოლექტიური პოზიციონირების უფლება), 100 და 111 (დისკრიმინაცია), 138 (მინიმალური ასაკი), 182 (ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები)] და არ გადაუტანია ისინი ეროვნულ კანონმდებლობაში.

20. ფინანსური შუამავლის და მისი ბიზნეს საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, ფინანსურმა შუამავალმა ასევე უნდა (ა) დანიშნოს ერთი ან მეტი პასუხისმგებელი თანამშრომელი პროცედურების ყოველდღიური განხორციელების მეთვალყურეობის და განხორციელების პროცესში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით, (ბ) უზრუნველყოს, რომ მათთვის მისაწვდომი იყოს ადეკვატური ტექნიკური გამოცდილება პოტენციურად მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მქონე გარიგებების შესაფასებლად ან თავად ორგანიზაციაში, ან გარედან მოწვეული სპეციალისტების მიერ.

21. ფინანსური შუამავალი უზრუნველყოფს პროცედურების და 9-20 პუნქტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების ნათლად გაცნობას ყველა შესაბამისი კადრისთვის და სათანადო ტრენინგის უზრუნველყოფას, რათა თანამშრომლებს საჭირო უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ მათ განსახორციელებლად.

ევრობანკთან ანგარიშვალდებულება

22. ფინანსური შუამავლები ევრობანკს პერიოდულად (ყოველწლიურად) წარუდგენენ ანგარიშებს პროცედურებისა და თავისი საინვესტიციო/საკრედიტო პორტფელის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის განხორციელების შესახებ. სტანდარტული ანგარიშგების ფორმატი წარმოდგენილია ევრობანკის ინსტრუქციაში.

დაინტერესებული წრეების ჩართულობა

23. ფინანსური შუამავლები დანერგავენ სისტემას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე გარე კომუნიკაციისთვის, მაგალითად, დანიშნავენ საკონტაქტო პირს საზოგადოებისათვის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაწოდებლად. ფინანსური შუამავლები დროულად გააკეთებენ რეაგირებას ხსენებულ კითხვებსა და შემოსულ საჩივრებზე.

საუკეთესო პრაქტიკა

24. ევრობანკი ყველა მის ფინანსურ შუამავალს სთხოვს, იხელმძღვანელონ საუკეთესო პრაქტიკით მათი მთელი საკრედიტო და საინვესტიციო საქმიანობის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მართვის განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, დაფინანსება ევრობანკის რესურსებით ხდება თუ არა. კონკრეტულად, ფინანსურ შუამავლებს მოეთხოვებათ:
    - პერიოდულად წარუდგინონ ანგარიშგება გარე დაინტერესებულ წრეებს მათი საქმიანობის და მუშაობის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დარეგულირების შესახებ. ეს შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ფინანსური შუამავლის წლიური ანგარიშით, ინტერნეტგვერდზე ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების დოკუმენტით, სადაც ცალკე თავი დაეთმობა წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნაში ჩამოყალიბებული ვალდებულების შესრულებას,

- იხელმძღვანელონ საუკეთესო პრაქტიკით შიდა გარემოსდაცვითი მართვის კუთხით (მათ შორის ენერგოეფექტურობისა და რესურსების ეფექტურობის, ნარჩენების შემცირებისა და გადამუშავების საკითხებზე),
- პროცედურები და ევრობანკის ინსტრუქცია გამოიყენონ მთელ მათ ბიზნეს საქმიანობაში, მათ შორის იმ საქმიანობაშიც, რომელზეც წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის მოქმედება არ ვრცელდება,
- შეძლებისდაგვარად გამოავლინონ შესაძლებლობები მაღალი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური სარგებლის მქონე ფინანსური პროდუქტების შესაქმნელად (მაგალითად, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ან ბიომრავალფეროვნების ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება, ქალი მეწარმეების ხელშეწყობა, მიკრომეწარმეების დაკრედიტება).

დამატებითი მითითებები საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ევრობანკის ინსტრუქციაში. ფინანსურმა შუამავლებმა შეიძლება ასევე გაითვალისწინონ შესაბამის საერთაშორისო ინიციატივაში გაერთიანება, რაც ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკას ფინანსურ სექტორში, როგორიც არის, მაგალითად, ეკვატორის პრინციპები, გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამების დაფინანსების ინიციატივა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული ინვესტიციების პრინციპები[45].

[45] www.equator-principles.com; www.unepfi.org; www.unpri.org .

სამოქმედო მოთხოვნა 9, დანართი 1:

<u>ევრობანკის გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით გამორიცხულ საქმიანობათა ჩამონათვალი</u>

ევრობანკი გაცნობიერებულად არ დააფინანსებს, პირდაპირ ან ირიბად, იმ პროექტებს, რომლებიც მოიცავს:

ა) მასპინძელი ქვეყნის (ე.ი. ეროვნული) კანონმდებლობით ან მარეგულირებელი ნორმატივებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებით და ხელშეკრულებებით უკანონოდ მიჩნეული, წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი პროდუქტების წარმოებას ან ამგვარი პროდუქტებით და მათთან დაკავშირებული საქმიანობით ვაჭრობას; აღნიშნულ პროდუქციას და საქმიანობას განეკუთვნება:

(i) პოლიქლორირებული ბიფენილის[46] შემცველი პროდუქტების წარმოება ან რეალიზაცია,

(ii) წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი ფარმაცევტული პროდუქციის, პესტიციდებისა და ჰერბიციდების და სხვა საზიანო ნივთიერებების წარმოება ან რეალიზაცია[47],

(iii) წარმოებიდან ამოღების ან აკრძალვის საერთაშორისო რეჟიმში მყოფი[48] მყოფი ოზონის მცვეთი ნივთიერებების წარმოება ან რეალიზაცია,

(iv) ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას არსებული სახეობების საერთაშორისო კონვენციით[49] რეგულირებული ველური სამყაროს პროდუქტებით ვაჭრობა ან წარმოება,

---

[46] პოლიქრორილებული ბიფენილი ძალზე ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც მოიპოვება 1950-1985 წლებში წარმოებულ ზეთიან ელექტროტრანსფორმატორებში, კონდენსატორებსა და საკომუტაციო აპარატურაში.

[47] ნაგულისხმევია შემდეგი დოკუმენტები: ევროკავშირის მარეგულირებელი დირექტივა (EEC) No 2455/92 გარკვეული საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტის და იმპორტის თაობაზე (შეტანილი ცვლილებებით), გაეროს მიერ მოხმარებისა და/ან რეალიზაციისთვის აკრძალული პროდუქტების კონსოლიდირებული ნუსხა, მთავრობების მიერ გამოთხოვნილი, მკაცრად შეზღუდული ან დაუმტკიცებელი პროდუქტები, საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეული საზიანო ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების წარმოებამდე წინასწარი ინფორმირებული თანხმობის პროცედურების შესახებ კონვენცია (როტერდამის კონვენცია), სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების თაობაზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პესტიციდების კლასიფიკაცია ზიანის ხარისხის მიხედვით

[48] ოზონის მცვეთი ნივთიერებების: ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაგირებენ და ცვეთენ სტრატოსფერულ ოზონს და შედეგად წარმოქმნიან ფართოდ გახმაურებულ ოზონის ხვრელებს. მონრეალის პროტოკოლში ჩამოთვლილია ოზონის მცვეთი ნივთიერებები და მათი სამიზნე შემცირების და წარმოებიდან ამოღების ვადები. მონრეალის პროტოკოლით რეგულირებული ქიმიური ნაერთების ნუსხა, რომელიც მოიცავს აეროზოლებს, რეფრიგერანტებს, ქაფის გამომტყორცნ რეაგენტებს, გამხსნელებს, ხანძრის დამცავ რეაგენტებს ხელმომწერ ქვეყანათა დეტალებით, წარმოებიდან ამოღების საორიენტაციო ვადებით. ამ ინფორმაციის მიღება ევრობანკისგან არის შესაძლებელი.

[49] ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია, რომლის ფარგლებში დაცული სახეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: www.cites.org/eng/app/index.shtml

(v) საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული[50] ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირება,

ბ) დაუკავშირებელი აზბესტის ბოჭკოს ან აზბესტის შემცველი პროდუქტების[51] წარმოებას, გამოყენებას ან რეალიზაციას,

გ) მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ საქმიანობას ბიომრავალფეროვანი რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის[52] დაცვასთან დაკავშირებით,

დ) ბადით თევზაობას საზღვაო წყლებში 2.5 კმ და მეტი სიგრძის ბადეების გამოყენებით,

ე) ნავთობის ან სხვა საზიანო ნივთიერებების ტრანსპორტირებას ტანკერებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ნაოსნობის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებს[53],

ვ) საქონლით ვაჭრობას აუცილებელი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების საქონლით ვაჭრობა ან ექსპორტის, იმპორტისა და, გარემოებათა მიხედვით, ტრანზიტის შესაბამისი ქვეყნებიდან ტრანზიტის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში.

---

[50] ნაგულისხმევია შემდეგი დოკუმენტები: ევროკომისიის მარეგულირებელი დირექტივა No 1013/2006, დათარიღებული 2006 წლის 14 ივნისით, რომელიც შეეხება ნარჩენების ტრანსპორტირებას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება C(2001)107 ამოკრეფის საქმიანობისთვის ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირების კონტროლზე, 1989 წლის 22 მარტით დათარიღებული ბაზელის კონვენცია საზიანო ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირების და განადგურების კონტროლის შესახებ.

[51] ეს პირობა არ ეხება შედუღაბებული აზბესტცემენტის ფირფიტების შეძენასა და გამოყენებას, თუ აზბესტის შემცველობა 20 პროცენტზე დაბალია.

[52] შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები გამონაკლისის გარეშე მოიცავენ შემდეგს: გარეული ცხოველების მიგრაციული სახეობების კონსერვაციის შესახებ კონვენციას (ბორნის კონვენცია), საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციას – განსაკუთრებით ისეთებისას, როგორიცაა წყლის ფრინველთა ჰაბიტატი (რამსარის კონვენცია), ევროპული ველური სამყაროსა და ბუნებრივი ჰაბიტატის შესახებ კონვენციას (ბერნის კონვენცია), მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ კონვენციას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციას და პროტოკოლებს.

[53] მოიცავს ტანკერებს, რომლებსაც არა აქვთ „მარპოლ სოლასის“ ყველა საჭირო სერტიფიკატის არმქონე ტანკერებს (მათ შორის, და არა მხოლოდ, ISM კოდთან შესაბამისობის სერტიფიკატი), ევროკავშირის მიერ შავ სიაში შეყვანილ ან პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმით პორტების მდგომარეობის კონტროლის საფუძველზე აკრძალულ ტანკერებს (პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმი) და „მარპოლის“ მარეგულირებელი ნორმატივით №13G ექსპლუატაციიდან სავალდებულოდ ამოსაღებ ტანკერებს. ასევე დაუშვებელია 25 წლის სიძველის ტანკერების გამოყენება.

სამოქმედო მოთხოვნა 9, დანართი 2:

ფინანსური შუამავლების მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი, გარემოსდაცვითი ან სოციალური თვალსაზრისით სენსიტიური ბიზნეს საქმიანობების დაფინანსება საჭიროებს ევრობანკის ვიზირებას:

დახრილი ტექსტით მითითებულია ის ძირითადი სამოქმედო მოთხოვნები, რომლებიც შემოთავაზებულმა ოპერაციებმა უნდა დააკმაყოფილოს.

ა) არანებაყოფლობითი გადასახლების მომცველი ქმედებები – *ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 5,*

ბ) ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული დაცული ტერიტორიების შიგნით, მახლობლად ან ზედა მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობის, იშვიათი/გადაშენების პირას მყოფი ჰაბიტატის სახეობების, ეკონომიკური მნიშვნელობის თევზსარეწი მეურნეობების და ეკოლოგიური მნიშვნელობის პირველადი ან ძველი მოშენების ტყეების საქმიანობები – *ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 6,*

გ) ძირძველი მოსახლეობის ტერიტორიაზე, მის მიმდებარედ ან ზედა მიმართულებით და/ან დაუცველი ჯგუფების მიწებისა და ობიექტების გამოყენება საარსებო მიზნით, მაგ. საძოვრებად, სანადიროდ ან სათევზაოდ – *ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 7,*

დ) კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ობიექტებზე საზიანო ზემოქმედების მქონე საქმიანობა – *ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 8,*

ე) ატომური სადგურების საწვავის წარმოების ციკლში საქმიანობა (ურანის მოპოვება, ატომური სადგურების საწვავის წარმოება, გამდიდრება, შენახვა ან ტრანსპორტირება),[54]

ვ) ენერგოგენერაცია ატომური საწვავის გამოყენებით (არ იგულისხმება ელექტროენერგიის იმპორტი/ექსპორტი)[55]

ზ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ბუნებრივ გარემოში გამოშვების საქმიანობა – *ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 6,*

თ) მინი ჰიდროკასკადების მშენებლობა – *ევრობანკის შესაბამისობის კრიტერიუმები მცირე ჰიდროპროექტებისთვის.*

---

[54] ევრობანკის ენერგეტიკული პოლიტიკის განაცხადის თანახმად, ევრობანკს უფლება ენიჭება, დაფინანსება გამოიყენოს (პირდაპირ ან ირიბად - ფინანსური შუამავლების საშუალებით) ატომური უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის ან რადიოაქტიური ნარჩენების და გახარჯული ატომური საწვავის უსაფრთხო და დაცული მართვისთვის, ასევე მაღალი რისკის მქონე რეაქტორების დახურვასთან პირდაპირი კავშირის არმქონე ექპლუატაციიდან ამოღებისთვის. ნებისმიერი სხვა ქმედება ატომური საწვავის წარმოების ციკლში გამორიცხულია ფინანსური შუამავლების დაფინანსების ოპერაციებიდან.

[55] ევრობანკის ენერგეტიკული პოლიტიკის განაცხადის თანახმად, ევრობანკს უფლება ენიჭება, დაფინანსება გამოიყენოს (პირდაპირ ან ირიბად - ფინანსური შუამავლების საშუალებით) ატომური უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის ან რადიოაქტიური ნარჩენების და გახარჯული ატომური საწვავის უსაფრთხო და დაცული მართვისთვის, ასევე მაღალი რისკის მქონე რეაქტორების დახურვასთან პირდაპირი კავშირის არმქონე ექპლუატაციიდან ამოღებისთვის. ნებისმიერი სხვა ქმედება ატომური საწვავის წარმოების ციკლში გამორიცხულია ფინანსური შუამავლების დაფინანსების ოპერაციებიდან.

ევრობანკის სამოქმედო მოთხოვნა 10:
ინფორმაციის გაცემა და დაინტერესებული წრეების ჩართულობა

შესავალი

1. ევრობანკი მიიჩნევს, რომ დაინტერესებული წრეების ჩართულობა კარგი ბიზნეს პრაქტიკის და კორპორატიული მოქალაქეობის აუცილებელი ნაწილია. ეს არის პროექტების ხარისხის გაუმჯობესების მეთოდიც. სახელდობრ, ადგილობრივი თემების ეფექტური ჩართულობა საკვანძო როლს თამაშობს პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემებისთვის რისკებისა და ზემოქმედების წარმატებულ მართვაში, ასევე თემების სარგებლის გაძლიერების საქმეში.

2. განსაკუთრებით გარემოსდაცვით საკითხებზე ევრობანკი ემხრობა გაერო-ს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის „არჰუს“ კონვენციის მიდგომას, რომელიც გარემოს დაცვას *საზოგადოებრივ კუთვნილებად* აღიქვამს. კონვენცია განსაზღვრავს საზოგადოების ინფორმირებულობის უფლებას გარემოს ფონური მდგომარეობისა და მასში გაბნეული ემისიების შესახებ, ასევე შინაარსობრივი კონსულტაციების უფლებას შემოთავაზებულ პროექტებსა და პროგრამებზე, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე. კონვენციაში განსაზღვრულია ასევე გასაჩივრების უფლება იმ შემთხვევებში, თუ ადგილობრივი თემი მიიჩნევს, რომ გარემოსდაცვითი საკითხების სათანადო გათვალისწინება არ ხდება.

3. დაინტერესებული წრეების ჩართულობა განგრძობადი პროცესია და მოიცავს: (ა) კლიენტის მიერ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას შინაარსობრივი კონსულტაციების გასამართად დაინტერესებულ წრეებთან, (ბ) შინაარსობრივ კონსულტაციებს პოტენციურად პროექტთან შეხებაში მყოფ მხარეებთან და (გ) პროცედურას ან პოლიტიკას, რომლითაც ხალხს შეუძლია შენიშვნების ან საჩივრების წარმოდგენა. ეს პროცესი უნდა დაიწყოს პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და გრძელდებოდეს მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

მიზნები

4. წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა განსაზღვრავს სისტემურ მიდგომას დაინტერესებული წრეების ჩართულობის მიმართ, რაც კლიენტებს დაეხმარება დაინტერესებულ წრეებთან, განსაკუთრებით პროექტთან შეხებაში მყოფ ადგილობრივ თემებთან, კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. დაინტერესებული წრეების ჩართულობის პროცესი კლიენტის ინვესტიციებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასების, მართვისა და მონიტორინგის აუცილებელი კომპონენტია. ამიტომ წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნა პირველ სამოქმედო მოთხოვნასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული.

   პირველი და მეათე სამოქმედო მოთხოვნები შემდეგ კონკრეტულ მიზნებს ემსახურება:

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვა (პირველი სამოქმედო მოთხოვნა)	**ინფორმაციის გაზიარება და დაინტერესებული წრეების ჩართულობა (მეათე სამოქმედო მოთხოვნა)**
• პროექტთან დაკავშირებული საზიანო და სასარგებლო გარემოზე და სოციალური ზემოქმედების და საკითხების გამოვლენა და შეფასება,	• პროექტთან ამჟამად ან მომავალში შეხებაში მყოფი ადამიანების ან თემების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების გამოვლენა

• მუშა-მოსამსახურეებზე, შეხებაში მყოფ თემებსა და გარემოზე საზიანო ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი ზომების მიღება და, თუ ეს შეუძლებელია – მინიმუმამდე დაყვანა, შემსუბუქება ან ანაზღაურება/კომპენსირება, • გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა და შეძლებისდაგვარად გამოყენება • გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის სტიმულირება საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების დინამიკური პროცესის საშუალებით.	• ხსენებული დაინტერესების მხარეების საჭირო ჩართულობის უზრუნველყოფა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში, რომლებიც პოტენციურად იმოქმედებს მათზე ინფორმაციის გაზიარების და შინაარსობრივი კონსულტაციების პროცესში, • დაინტერესებულ წრეებთან კონსტრუქციული ურთიერთობების შენარჩუნება განგრძობით საფუძველზე შინაარსობრივი ჩართულობის საშუალებით პროექტის განხორციელების პერიოდში.

გამოყენების მასშტაბი[98]

5. ევრობანკი შეუთანხმდება კლიენტს წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის პირობების შესაბამისი განხორციელების მეთოდზე კლიენტის საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და/ან მართვის სისტემის (განსაზღვრულია პირველ სამოქმედო მოთხოვნაში) კონტექსტში.

მოთხოვნები

6. დაინტერესებული წრეების ჩართულობა თავისუფალი იქნება მანიპულირების, ჩარევის, დაშინების და იძულების ქმედებებისგან და დაეფუძნება დროულ, შესაბამის, გასაგებ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი ფორმით.

7. დაინტერესებული წრეების ჩართულობის ხასიათი და სიხშირე განსხვავებული იქნება ცალკეული პროექტების მიხედვით, რაც დამოკიდებულია პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემებისთვის რისკებსა და ზემოქმედებაზე, დარგისა და გარემოს სენსიტიურობაზე, საზოგადოებრივი ინტერესის დონეზე. იმისათვის, რომ ჩართულობა შესაბამისობაში მოვიდეს კლიენტისა და პროექტის კონკრეტულ მახასიათებლებთან, აუცილებელია, რომ ევრობანკის დაფინანსების მსურველმა ყველა კლიენტმა გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ადრეულ ეტაპზე განახორციელოს მე-8 და მე-10 პუნქტებში ჩამოყალიბებული ქმედებები. ევრობანკის დეტალური შესწავლის კონტექსტში, ევრობანკი შეაფასებს გასაცემი ინფორმაციის და კლიენტის მიერ წინამდებარე სამოქმედო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად განხორციელებული კონსულტაციების დონეს, რამაც შეიძლება დამატებითი ჩართულობა მოითხოვოს. ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან კონსულტაციების შესახებ, საერთაშორისო კანონებით[99] ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების განმახორციელებელი კანონების ჩათვლით, ყოველთვის უნდა სრულდებოდეს.

[98] ამასთანავე, საგანგებო მდგომარეობებში მზაობისა და რეაგირების განსაკუთრებული პირობები განსაზღვრულია მე-4 სამოქმედო მოთხოვნაში.
[99] მაგ. არჰუს და ესპუ კონვენციები.

ჩართულობა პროექტის მომზადების პროცესში

დაინტერესებული წრეების გამოვლენა და ანალიზი

8. დაინტერესებული წრეების წარმატებული ჩართულობის საქმეში პირველი ნაბიჯია კლიენტის მიერ სხვადასხვა ინდივიდისა და ჯგუფის გამოვლენა, (ა) რომლებიც პროექტთან ამჟამად ან პოტენციურად არიან შეხებაში (პირდაპირ ან ირიბად) (შემდგომში „შეხებაში მყოფი მხარეები“), ან (ბ) რომლებსაც შეიძლება ინტერესი ჰქონდეთ პროექტში (შემდგომში „სხვა დაინტერესებული მხარეები“). საზოგადოების ინფორმირებისა და მასთან კონსულტაციების რესურსები უპირველეს ყოვლისა კონცენტრირებული უნდა იქნეს პროექტთან შეხებაში მყოფ მხარეებზე.

9. დაინტერესებული წრეების გამოვლენის კონტექსტში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ ინდივიდებს ან ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება განსხვავებულად ან არაპროპორციულად მოდიოდნენ შეხებაში პროექტთან, მათი გარიყულობის ან დაუცველობის სტატუსიდან გამომდინარე. კლიენტი ასევე გამოავლენს, თუ როგორ შეიძლება პროექტთან შეხებაში იყვნენ დაინტერესებული წრეები და როგორი შეიძლება იყოს მათზე პოტენციური ზემოქმედება (ფაქტიური ან სავარაუდო). თუ ზემოქმედება სავარაუდოა, დამატებითი კომუნიკაცია შეიძლება გახდეს საჭირო ინფორმაციის უზრუნველსაყოფად და შეფასებული ზემოქმედების დონეებში დასარწმუნებლად. დეტალურობის ადეკვატური დონე უნდა იქნეს გათვალისწინებული დაინტერესებული წრეების გამოვლენისა და ანალიზის დროს, რათა ევრობანკს მიეცეს პროექტის ფარგლებში კომუნიკაციის საჭირო დონის განსაზღვრის საშუალება. თანამშრომლები ყოველთვის მიიჩნევიან დაინტერესებულ წრეებად.

10. იმ პროექტებისთვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ A კატეგორია, კლიენტი გამოვლენილ დაინტერესებულ წრეებთან განახორციელებს ანალიზის პროცესს, რათა დადგინდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესში შესასწავლი ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ხსენებული ანალიზის პროცესი ხელს შეუწყობს ასევე პროექტისთვის დაინტერესებული წრეების ჩართულობის გეგმის შემუშავებას. ანალიზის პროცესის ფარგლებში დაინტერესებულმა წრეებმა უნდა შეძლონ შენიშვნებისა და რეკომენაციების წარმოდგენა დაინტერესებული წრეების ჩართულობის გეგმის პროექტთან და ნებისმიერ სხვა გასაანალიზებელ დოკუმენტთან დაკავშირებით.

დაინტერესებული წრეების ჩართულობის გეგმა

11. კლიენტი ევრობანკს შეატყობინებს, თუ როგორ მოხდება დაინტერესებულ წრეებთან კომუნიკაციის წარმართვა პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში, გასაჩივრების პროცედურების გათვალისწინებით (იხილეთ პუნქტები 24-26). შესაძლოა, პროექტთან შეხებაში მყოფ და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მიზანშეწონილი იყოს ჩართულობის და კონსულტაციების განსხვავებული დონეები. კლიენტმა ცალკე პროცესები უნდა შეიმუშაოს თანამშრომლების და პროექტთან შეხებაში მყოფი თემების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ურთიერთობა თანამშრომლებთან უნდა წარმოებდეს სამუშაო პირობების, მათ შორის საწარმოო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე. სამსახურებრივი ურთიერთობები უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე მე-2 სამოქმედო მოთხოვნას. თუ გამოვლენილი დაინტერესებული წრეები გარიყულად და დაუცველად იქნებიან მიჩნეულნი, სპეციალური მიდგომები და გაზრდილი რესურსები შეიძლება გახდეს საჭირო ასეთ დაინტერესებულ წრეებთან კომუნიკაციისთვის, რათა მათ სრულად გააცნობიერონ მათთან პოტენციურად შეხებაში მყოფი საკითხები. კლიენტებმა ასევე უნდა აცნობონ ევრობანკს დაფინანსებისთვის ევრობანკთან დაკავშირებამდე მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაციისა და ჩატარებული კონსულტაციების შესახებ.

ინფორმაციის გაცემა

12. პროექტის ფარგლებში შესაბამისი ინფორმაციის გაცემა დაინტერესებულ წრეებს დაეხმარება რისკების, ზემოქმედების და შესაძლებლობების გაცნობიერებაში. თუ თემებზე იმოქმედებს პროექტის შედეგად გაუარესებული გარემოზე ან სოციალური ზემოქმედება, კლიენტმა უნდა მიაწოდოს მათ შემდეგი ინფორმაცია (შემდგომში „ინფორმაცია“):
    - პროექტის მიზნების, არსისა და მასშტაბის შესახებ,
    - პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული ქმედებების ხანგრძლივობის შესახებ,
    - ნებისმიერი რისკისა და პოტენციური ზემოქმედების შესახებ გარემოზე, მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე, ასევე სხვა სოციალურ ზემოქმედებაზე ადგილობრივ თემებზე და შემოთავაზებულ დამარეგულირებელ გეგმებზე,
    - გათვალისწინებული კონსულტაციების პროცესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაძლებლობებისა და საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების შესახებ,
    - საზოგადოებრივი შეხვედრების დროისა/ადგილის და შეხვედრების თაობაზე შეტყობინებების, მოკლე ანოტაციებისა და ანგარიშების დაგზავნის პროცესის შესახებ.

13. ინფორმაცია გაიცემა ადგილობრივ ენაზე/ენებზე ყველასათვის გასაგები და ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი წესით. პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ნებისმიერი დაუცველი ადამიანი (მაგალითად, ეთნიკური ჯგუფები ან ადგილნაცვალი ადამიანები). გარემოზე პოტენციურად მნიშვნელოვანი საზიანო ზემოქმედების ან ასეთივე სოციალური ზემოქმედების მქონე პროექტებზე ინფორმაცია უნდა გაიცეს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ადრეულ ეტაპზე.

14. თუ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია, A კატეგორიის მქონე პროექტებზე კლიენტი მას გააცნობს პროექტთან შეხებაში მყოფ ყველა მხარეს. ყველა სხვა შემთხვევაში კლიენტი გეგმის მხოლოდ არატექნიკურ ანოტაციას გახდის საზოგადოებრივი ინფორმაციის საგნად. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა/მოკლე ანოტაცია გაიცემა მე-13 პუნქტის შესაბამისად. ის ასევე განთავსდება კლიენტის ინტერნეტგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დამატებითი ინფორმაციის დროდადრო გაცემა შეიძლება გახდეს საჭირო პროექტის წინსვლის პარალელურად, პროექტის არსში რაიმე მნიშვნლოვანი ცვლილების ან ზემოქმედების, ასევე ახალი არსებითი რისკისა და ზემოქმედების აღმოჩენისას.

შინაარსობრივი კონსულტაციები

15. ნებისმიერი კონკრეტული კონსულტაციის აუცილებლობა და არსი შეთანხმებული იქნება ევრობანკთან დაინტერესებული წრეების გამოვლენის, ანალიზის და პროექტის დეტალური აღწერის, ასევე მუშა-მოსამსახურეებსა და ადგილობრივ თემებზე არსებული და პოტენციური ზემოქმედების ხასიათისა და მასშტაბის საფუძველზე. თუ მუშა-მოსამსახურეები და/ან პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემები ამჟამად იმყოფებიან ან მომავალში იქნებიან მნიშვნელოვანი რისკის ან პროექტით გამოწვეული საზიანო ზემოქმედების ქვეშ, კლიენტი განახორციელებს შინაარსობრივი კონსულტაციების პროცესს იმგვარად, რომ პროექტთან შეხებაში მყოფ მხარეებს მიეცეთ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება პროექტის რისკებზე, ზემოქმედებაზე და რეაგირების ზომებზე. ეს საშუალებას მისცემს კლიენტს, გაითვალისწინოს გამოთქმული შენიშვნები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. შინაარსობრივი კონსულტაციები:

- უნდა ემყარებოდეს შესაბამისი და ადეკვატური ინფორმაციის გაცემას, საჭიროებისამებრ – დოკუმენტების და გეგმების სამუშაო ვარიანტების ჩათვლით, გადაწყვეტილებების მიღებამდე და ალტერნატიული ვარიანტების არსებობის პირობებში,
- უნდა დაიწყოს გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის ადრეულ ეტაპზე,
- ყურადღება უნდა გამახვილდეს სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და საზიანო ზემოქმედებაზე, შემოთავაზებულ ზომებსა და ქმედებებზე, შემოთავაზებული უნდა იქნეს ზომები და ქმედებები მათ დასარეგულირებლად,
- უნდა განხორციელდეს სისტემატურად – საკითხების, ზემოქმედებისა და შესაძლებლობათა გამოვლენის პარალელურად.

16. კონსულტაციების პროცესი განხორციელდება ინკლუზიურად და ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი წესით. კლიენტი კონსულტაციების პროცესს წარმართავს პროექტთან შეხებაში მყოფი ადგილობრივი თემების სასურველ ენაზე, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესის და ნებისმიერი გარიყული და დაუცველი ჯგუფების საჭიროებათა გათვალისწინებით. პროექტთან შეხებაში მყოფი მხარეების გარდა, კონსულტაციებში მონაწილეობას მიიღებენ ნებისმიერი ჯგუფები და ინდივიდები, რომლებიც მიჩნეულნი არიან დაინტერესებულ მხარეებად. კონსულტაციების პროცესი დოკუმენტირებული იქნება კლიენტის მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების კონტექსტში. კლიენტი დროულად შეატყობინებს კონსულტაციებში მონაწილე პირებს პროექტის საბოლოო გადაწყვეტილების, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შესამსუბუქებელი ზომების, ადგილობრივი თემებისთვის პროექტის შედეგად წარმოქმნილი სარგებლის, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლებისა და მიზეზების, გასაჩივრების მექანიზმის ან პროცესის არსებობის შესახებ.

ინფორმაციის გაცემა და კონსულტაციები A კატეგორიის პროექტებზე

17. პროექტებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ A კატეგორია, შეიძლება წარმოქმნან პოტენციურად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი საზიანო სამომავლო ზემოქმედება გარემოზე და სოციალური ზემოქმედება, რომელთა აშკარა გამოვლენა, შეფასება და შემსუბუქება ვერ ხერხდება. ამიტომ საჭიროა ფორმალიზებული და მონაწილეობრივი შეფასების პროცესის წარმოება. ინფორმაციის გაცემისა და კონსულტაციების ჩატარების მოთხოვნები ამ პროცესის ყოველ ეტაპზეა გათვალისწინებული. კლიენტებმა შინაარსობრივი დიალოგი უნდა აწარმოონ პროექტთან შეხებაში მყოფ მხარეებთან და ხელი შეუწყონ მათ ინფორმირებულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 12-16 პუნქტების შესაბამისად. ინფორმირებული მონაწილეობის პროცესი გულისხმობს ორგანიზებულ და ინტერაქტიულ კონსულტაციებს, რათა კლიენტმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინოს პროექტთან შეხებაში მყოფი ადამიანების მოსაზრებები მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, მაგალითად, შემოთავაზებულ შემამსუბუქებელ ზომებზე, განვითარების სარგებლის განაწილებაზე და განხორციელების საკითხებზე. დაუცველი ადამიანები შეიძლება განსაკუთრებულ ყურადღებას და რესურსებს საჭიროებდნენ პროექტის ზემოქმედების გასაცნობიერებლად და შინაარსობრივი მონაწილეობის მისაღებად.

18. იმ პროექტებზე, რომლებიც გულისხმობენ გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასებების ჩატარებას, კლიენტებმა ინფორმაციის გაცემა და კონსულტაციები უნდა განახორციელონ 12-17 პუნქტებში ჩამოყალიბებული პირობების თანახმად. გაცემული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების

სრულ ანგარიშებს, ევრობანკის მოთხოვნების შესაბამისად.[100] ამასთანავე, კონსულტაციების პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს ევრობანკის მოთხოვნებს ინფორმაციის გაცემის დროის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევრობანკის საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკის განაცხადის 3.4.1 პუნქტში, ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და სხვა შესაბამისი კანონების მოთხოვნებს. გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებები პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ინფორმირების საგნად უნდა იქცეს, თუმცა შესაძლებელია დროდადრო მათში შესწორებები შევიდეს დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებით.

19. იმ პროექტებზე, რომლებიც არანებაყოფლობით გადასახლებას გულისხმობს და ზემოქმედებას ახდენს პროექტთან შეხებაში მყოფ ძირძველ მოსახლეობასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე, კლიენტმა უნდა გამოიყენოს მე-5, მე-7 და მე-8 სამოქმედო მოთხოვნების განსაკუთრებული პირობები.

20. თუ ადგილობრივი თემები ამჟამად ან სამამავლოდ პროექტის ფარგლებში სერიოზულ ან მუდმივ ზემოქმედებას დაექვემდებარებიან და ვერ მიიღებენ ტოლხვედრ სარგებელს, კლიენტი კონკრეტულ თემებთან შინაარსობრივ კონსულტაციებს ჩაატარებს სარგებლის მომტანი სათემო განვითარების პროგრამების გამოსავლენად.

ჩართულობა პროექტის განხორციელების და გარე ანგარიშგების დროს

21. პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში კლიენტი სისტემატურად მიაწვდის გამოვლენილ დაინტერესებულ წრეებს ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება პროექტის არსს და მის ზემოქმედებას გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებას, ასევე საზოგადოებრივ ინტერესს. ეს რეგულარული ურთიერთქმედება უნდა ეფუძნებოდეს დეტალური შესწავლის პროცესში ჩამოყალიბებულ კომუნიკაციისა და მონაწილეობის არხებს. სახელდობრ, კლიენტებმა უნდა გამოიყენონ თემების ჩართვის შესაბამისი პრაქტიკა გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული შესამსუბუქებელი ზომების განხორციელების ეფექტურობის, ასევე პროექტთან შეხებაში მყოფი თემების ინტერესებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის გაცემის და უკუგების მიზნით. დამატებითი ინფორმაციის გაცემა შეიძლება საჭირო გახდეს პროექტის ციკლის საკვანძო ეტაპებზე, მაგალითად, მშენებლობის ან ექსპლუატაციის დაწყებამდე.

22. თუ პროექტთან შეხებაში მყოფი თემები გამოვლენილი იქნებიან პროექტის მომზადებისას, კლიენტი მათ პერიოდულად მიაწვდის ანგარიშებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეული წინსვლის, მუდმივ რისკთან ასოცირებული საკითხების ან ზემოქმედების, ასევე ნებისმიერი ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც კონსულტაციების ან გასაჩივრების მექანიზმის შედეგად გამოვლენილი იქნა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხი. ეს ანგარიშები ისეთ ფორმატში და პერიოდულობით მიეწოდება პროექტთან შეხების მქონე ადგილობრივ თემებს, რომელიც მათი შეშფოთების საგნის ტოლფარდი იქნება, მაგრამ წელიწადში სულ მცირე ერთხელ. თუ პროექტმა არსებითი ცვლილებები განიცადა და შედეგად დამატებითი საზიანო ზემოქმედება იქონია ან საჭირბოროტო საკითხები წარმოშვა, კლიენტი ინფორმაციას მიაწვდის ადგილობრივ მოსახლეობას განახლებულ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმაში ზემოქმედებისა და საკითხების დარეგულირების მეთოდების შესახებ. თუ ეს დამატებითი საზიანო ზემოქმედება მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია, ევრობანკმა შეიძლება ცალკეული

[100] გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე ევროკავშირის დირექტივის შესაბამისი გარემოსა და სოციალური ზემოქმედების შეფასების ფორმატის გასაცნობად მიმართეთ ევრობანკს.

პროექტების შემთხვევაში დამატებითი კონსულტაციები მოითხოვოს 15-20 პუნქტების შესაბამისად. ევრობანკი კლიენტებს მოუწოდებს, ეს ინფორმაცია ინტერნეტშიც განათავსონ სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

23. ამასთანავე, კლიენტებს მოეთხოვებათ, რეგულარულად გამოაქვეყნონ ანგარიშები გარე დაინტერესებული წრეებისთვის მათი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ, მაგალითად, წლიური ანგარიშის ფარგლებში ან სხვა საზოგადოებრივი დოკუმენტის, ცალკეული პუბლიკაციის სახით თუ ინტერნეტით.

გასაჩივრების მექანიზმი

24. კლიენტი უნდა აცნობიერებდეს და დროულად ეხმაურებოდეს დაინტერესებული წრეების შეშფოთებას პროექტთან დაკავშირებით. ამ მიზნით კლიენტი ჩამოაყალიბებს გასაჩივრების მექანიზმს, პროცესს ან პროცედურას დაინტერესებული წრეებისგან კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და გადასაჭრელად. გასაჩივრების მექანიზმით დაბალანსებული უნდა იქნეს რისკები და პროექტის პოტენციური საზიანო ზემოქმედება.

25. გასაჩივრების მექანიზმი, პროცესი ან პროცედურა დროულად და ეფექტურად უნდა არეგულირებდეს საკითხებს გასაგები და გამჭვირვალე პროცესის გამოყენებით, ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელი წესით და უზრუნველყოფდეს პროექტთან შეხებაში მყოფი ყველა სეგმენტისათვის ხელმისაწვდომობას რაიმე ხარჯების გარეშე. მექანიზმი, პროცესი ან პროცედურა არ უნდა ხელყოფდეს სასამართლო ან ადმინისტრაციული ზომების გამოყენების საშუალებებს. პროექტებზე, რომლებსაც მე-5 და მე-7 სამოქმედო მოთხოვნები შეეხებათ, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი და ობიექტური აპელაციის მექანიზმის არსებობა. კლიენტი პროექტთან შეხებაში მყოფ მოსახლეობას გასაჩივრების პროცესის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს თემთან ურთიერთქმედების თავისი საქმიანობის პროცესში და რეგულარულად წარუდგენს ანგარიშებს საზოგადოებას აღნიშნული მექანიზმის განხორციელების შესახებ, ადამიანთა პირადი ინფორმაციის დაცვის პრინციპით.

26. გასაჩივრების მექანიზმი მუშა-მოსამსახურეებისთვის ცალკე იარსებებს და ის მე-2 სამოქმედო მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს.

კორპორატიული დაფინანსება

27. მრავალ განსხვავებულ ადგილას საწარმოების მქონე კლიენტებმა საერთო კორპორატიული დაფინანსების, საბრუნავი კაპიტალის ან წილობრივი მონაწილეობის მისაღებად უნდა დანერგონ და განახორციელონ კორპორატიული დაინტერესებული წრეების ინფორმირებისა და კომუნიკაციის პროგრამა, რომელიც მოიცავს გასაჩივრების მექანიზმსაც 22-ე და 25-ე პუნქტების შესაბამისად. დაინტერესებული წრეების ჩართულობის პროგრამა კომპანიის ბიზნესის არსის და მასთან დაკავშირებული გარემოზე და სოციალური ზემოქმედების, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის ტოლფასი იქნება. პროგრამა ობიექტებზე დროულად უნდა გავრცელდეს. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს პროცედურები და რესურსები ობიექტებზე დაინტერესებული წრეების ადეკვატური ჩართულობის უზრუნველსაყოფად და კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობაზე საჭირო ინფორმაციის მისაღებად. სულ მცირე წელიწადში ერთხელ კლიენტებმა უნდა წარმოადგინონ საზოგადოებრივი ანგარიშები მათი სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ, მათ შორის ნებისმიერი შეთანხმებული გარემოსდაცვითი და

სოციალური სამოქმედო გეგმის არატექნიკური ნაწილი და ამ უკანასკნელის განხორციელების სფეროში მიღწეული წინსვლის ანგარიში დასახული ინდიკატორების და მიზნების ფონზე. ნებისმიერ საინვესტიციო პროექტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს A კატეგორია ევრობანკის პოლიტიკის თანახმად, კლიენტმა უნდა გამოიყენოს 6-20 პუნქტებში ჩამოყალიბებული დაინტერესებული წრეების ჩართულობის პროცესი.